

~~K 3288~~

1a

ମୂଲ ଶାସ୍ତ୍ରବିଜ୍ଞାନୀୟ ପ୍ରକାଶକ ପାତ୍ରଙ୍କ

ହାତିଲାଗା

ପ୍ରକାଶକ ପରିଚୟ

ବିଜ୍ଞାନିକ ପରିଚୟ


ବିଜ୍ଞାନିକ ପରିଚୟ ଏବଂ ବିଜ୍ଞାନିକ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ଏବଂ
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ସାହିତ୍ୟ ଓ କବିତା

ს. ს. ს. ს.

899.962.1(09)

ვანათლების სახ. კომისარიატის დაუსწრებელი პედინსტრიტუტი

ვროვ. ქ. ეგეგიშვილი



1 899.962.1(09)
3-483.

ეს თუ რი ვითქარუ 60 რითენაზურის კანონის ციფრის

სოციოლოგია ძველი კათოლიკოსობა და
ფილმებისა მისი განვითარება

W-3288
12



რეგ. № 2019-28942

• 8 0 3 0 6 0 — 1 9 8 2

ა. თ. მიასწოდეს ჭითელდროშოვანი სტამბა ა/კ. პარტგამომცემლობისა

შეკვეთა № 540.

შთავლიტი № 475.

ტირაჟი - 1000.

**ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია
(სოციოლოგია ძველი ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი
განვითარებისა)**

ქართულ ლიტერატურას სრული 15 საუკუნის ისტორია აქვს; ამ ხნის განმავლობაში მან რამდენიმე პეგემონი გამოიცვალა: ჯერ იყო და, მის დროშაზე იქვეთებოდა ლოზუნგები ქედმალალი ფეოდალისა, მერე—ჩერები. ხანმოკლე და უსუსური ბურუუაზისა, უკანასკნელად ამ დროშას ხელი ჩასჭიდა ახალი ცხოვრების შემქნელმა პროცეტარიატმა, რომელიც გაბედულად და ლირესულად მიაქანებს მას უკლასო საზოგადოების სამყაროსაკენ. წინამდებარე ნარკვევში მე არ მინდა ბურუუაზიულისა და პროლეტარული ლიტერატურის შესახებ ვიღაპარაკო, ჩემი მიზანი და სურვილია—გავარკვიო განვითარების ეტაპები ან, უფრო ნათლად—პერიოდები ფეოდალური ლიტერატურისა, რომელსაც ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს ჩერები.

ჩემი კვლევა-ძიების ობიექტია ამ შემთხვევაში ქართული მწერლობა დღიდან მისი გაჩენისა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე. ამ ლიტერატურას შე ვუწოდებ ფეოდალურს, რადგანაც ის ვითარდებოდა და იშლებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ ფორმაციის ჩარჩოებში, რომელიც ფეოდალიზმის სახელითაა ცნობილი. 5—18 ნახევ. საუკუნეთა სიგრძეზე ეს ფორმაცია ერთად-ერთი იყო, ის შემდეგ ფორმაციად, თუ ასეთად კაპიტალისტურ ურთიერთობას ვივარაუდებთ, არ შეცვლილა. მართალია, დროდადრო იმაში თავს იჩენდა ხოლმე საგაჭრო კაპიტალი, მაგრამ მას არასდროს არ მოჟებდა ნატურალური მეურნეობა და, მაშასადამე, ფეოდალიზმის ადგილი მთლიანად და სავსებით არ დაუკავებია.

შეიძლება კი ლაპარაკი ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაციაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი თვითონ წარმოადგენს ერთს გარკვეულს პერიოდს მთლიანი ქართული მწერლობის ისტორიაში? შეიძლება და აუცილებელიცა: არსად, არც ერთს ქვეყანაში, კერძოდ არც საქართველოში, ფეოდალიზმი გაქვავებული სახით

არ გვევლინება, ფეოდალიზმსაც თავისი განვითარებისა და ცვალებადობის ეპოქები ახასიათებს, მაშასადამე—ასეთივე ეპოქები და ეტაპები შეიძლება ჰქონდეს მის ზედნაშენს—ლიტერატურასაც; ეს ზოგადად, კერძოდ—ფეოდალური კლასის წიაღში აღილი აქვს სხვადასხვა დაჯგუფებებს და მათ შორის ბრძოლას. რამდენადაც პლიშნული დაჯგუფებანი და ბრძოლა ლიტერატურაში პპოულობენ გამოძახილს, იმდენად ფეოდალურ ლიტერატურასაც თავისი ისტორია აქვს და, მაშასადამე, მკვლევარსაც შესაძლებლობა და ვალდებულება ენიჭება მის პერიოდიზაციაზე ილაპარაკოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა ცდები ფეოლი ქართული მწერლობის, რომელსაც მე ფეოდალურს უწოდებ, პერიოდიზაციისა; ამ ცდებს, არსებითად და ზოგადად, საფუძვლად უძევს განსვენებული პროფ-ის ა. ცაგარლის კონცეპცია; თუ რამდენიმე განსხვავება არსებობს მათ შორის, ის დეტალებსა და ნიუანსებს ეხება მხოლოდ. ამ კონცეპციით მთელი ეპოქა მეხუთე საუკუნიდან მეცხრამეტემდე გაყოფილია ოთხ ხანად. პირველს ხანას, მეხუთე საუკუნიდან მეთერთმეტემდე, როდესაც ქართული მწერლობა საექლესიო-სასულიერო შინაარსის ძეგლებით ამოიწურება, ეწოდება ჩვეულებრივ შოსამზადებელი ხანა. ასეთი სახელწოდება ორის მხრით არს საყურადღებო: სასულიერო მწერლობას, ლიტერატურის ისტორიის აგებისას, თავისთვად კი არ ჰქონია მნიშვნელობა, არამედ როგორც საშუალებას რაღაც სხვა მოვლენის შოსამზადებლად, ასე რომ ის, ამ კონცეპციით, სულ ამოგდებულია ლიტერატურული პროცესის ისტორიიდან. მეორე—რის „მომზადება“ ემსახურებოდა სასულიერო მწერლობა? ამ შემთხვევაში მხედველობაში არ უნდა ჰქონდეთ შემდეგი, მეორე პერიოდი,— ყოველი წინაერიოდი „მოსამზადებელია“ შემდეგი პერიოდისა, ასე რომ, ამ თვალსაზრისით, მეორე პერიოდისაც უნდა „მოსამზადებელი“ დარქმეოდა მესამისათვის, მესამეს მეოთხისათვის და ასე; არა, როდესაც პირველს პერიოდს „მოსამზადებელს“ უწოდებენ, მხედველობაში აქვთ შემდეგს პერიოდში აღმოცენებული საერთო ლიტერატურა. მაშასადამე, ლიტერატურის ისტორიის ობიექტად, ამ კონცეპციით, აღიარებულია მხოლოდ საერთო მწერლობა, პერიოდიზაციის პრინციპად კი— ლიტერატურული სტილი; ერთს პერიოდში სასულიერო სტილია, მეორეში საერთო. ასეთი მიღვომა საკითხისადმი: გაუმართდებელია: ცნობილია, რომ ერთსადარმავე პერიოდში შეიძლება არსებობა რამდენიმე სტილისა, ანადა ერთიდაიგივე სტილი შეიძლება არსებობდეს რამდენსამე სხვადასხვა პერიოდში. ამასთან ერთაც

თსიც დაუშვებელია — მკვლევარმა, რომელიც ქართული ლიტერატურის მთლიანი ისტორიის მოცემას ფიქრობს, თავისი კვლევა-ძიების საგნად მხოლოდ საერო ლიტერატურა აიღოს და გვერდი აუაროს დასაწყისს, სასულიერო მწერლობის, ხანას. სასულიერო მწერლობა ისეთივე ორგანიული ნაწილია ჩვენი ლიტერატურის საერთო მდინარისა, როგორც საერო, ის პირველი საფეხურია ჩვენი ლიტერატურული კიბისა, ამასთან ისეთივე რეფლექსი გარკვეულ ხანაში გაბატონებული კლასის ფიქო-იდეოლოგიისა, როგორც საერო მწერლობა თავისი ეპოქისა. მეორე — ამ კონცეპციით ისე გამოდის, თითქოს მეორე პერიოდში, რომლის „მომზადებას“ ემსახურება პირველი, სასულიერო მწერლობის, პერიოდი, უკანასკნელს უკვე ადგილი აღარ აქვს, მაგრამ ეს, თავისთავად იგულისხმება, გაუგებრობის ნაყოფია, უფრო მეტი რომ არა ვთქვათ.

მეორე პერიოდი ძველი ქართული მწერლობისა, პ. ცაგარლის და მის მიმდევართა კონცეპციის თანახმად, ხვდება მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებს; ეს არის „ოქროს“ ან „კლასიკური“ ხანა ქართული მწერლობისა, იგულისხმება საერო ლიტერატურა. ზოგიერთი ფაქტიური შესწორებით ეს დებულება მისალებია: XI—XII საუკუნეები მართლაც „კლასიკური“ ხანაა ძველი ქართული მწერლობისა, მაგრამ, რასაკვირველია, არა იმიტომ მხოლოდ, რომ, როგორც ფიქრობენ, ამ ხანაში ჩნდება საერო ლიტერატურა; ვერც ერთი მოვლენა, მისი აღმოცენების მომენტში, „კლასიკურ“ ხასიათს ვერ მიიღებს, და ვერც საერო მწერლობა, მეორე პერიოდში აღმოცენებული, გახდებოდა მაშინვე „კლასიკურ“ ლიტერატურად. XI—XII საუკუნეთა ქართული ლიტერატურა შეიქნა „კლასიკური“ იმიტომ, რომ ის იყო შედეგი საუკუნეთა ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედებისა, რომელსაც პირველს პერიოდში ჰქონდა ადგილი და რომელიც მძლავრ ნაკადად მეორეშიდაც გადმოვიდა.

ზოგიერთები კიდევ, რომელნიც ვერ უარპყოფენ ამ პერიოდში სასულიერო მწერლობის არსებობას, მის უგულებელყოფას ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვისას ამართლებენ იმით, რომ „დომინანტი“ ამ პერიოდში საერო მწერლობას ეკუთვნისო. ეს ფაქტიურადაც არაა მართალი: ვინც საბუთიანად ჩაკვირვებია XI—XII საუკუნეთა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას, კერძოდ იმდროინდელი სასულიერო მწერლობის ხასიათსა და მდგომარეობას; ის არასდროს არ იტყვის, რომ „დომინანტი“ ამ დროს საერო მწერლობას ეკუთვნის, ეს ზერელე შეხედულებაა, რომელსაც საფუძვლად უძევს ამ ეპოქის სასულიერო მწერლობის უკოდინარობა. აღნიშნუ-

ლი დებულება, კიდევაც რომ დაუშვათ ერთი წუთით იგი, მიგვი-
ყანდა ჩვენ, როგორც იტყვიან ზოლმე, ლიტერატურაში „ღენერლე-
ბის“ ძებნამდე, რაც სახელმძღვანელოსა და მონოგრაფია-ნარკვევში
თუ დასაშვებია რამდენადმე, ლიტერატურის ისტორიის მთლიან
კურსში მიუღებელია: ლიტერატურის მდინარის გათვალისწინებისშე-
მხედველობაში უნდა მიღებულ იქნეს ყველა ნაკადი, მსხვილი და
წვრილი, რომელთაგანაც ის შესღება.

მეცამეტედან მოყოლებული მეოვრამეტე საუკუნის დამლევამდე
ჩვეულებრივ უჩვენებენ ორ პერიოდს: დაცემა-დაკინებისა (მესამე
პერიოდი) და აღორძინებისას (მეოთხე). არსებითად ასეთი დანაწი-
ლების საწინააღმდევოდ ბევრი არაფერი ითქმის: მონლოლთა ბატო-
ნობამ და მისმა მომდევნო სავალალო მდგომარეობამ მართლაც გა-
მოიწვია მწერლობის დაცემა და დაკნინება; რომელსაც შემდეგ, ხელ-
საყრელ პირობებში, „აღორძინება“ მოჰყვა. საქმე მხოლოდ ისაა,
რომ ვერ არის ნაჩვენები ზუსტი მიჯნა ამ ორ პერიოდს შორის:
ზოგი ასეთს მიჯნას მეთუთხმეტე საუკუნის მიწურულში სდებს, ზოგი
მეთექვსმეტეში, ზოგი მეჩვიდმეტეში, ზოგი კიდევ მეთურამეტე საუ-
კუნეში. ۱) სადაც არ უნდა დასდონ ეს მიჯნა, ერთს რამემ
შეკვლევართ სრული თანხმობა ახასიათებს: ამ მიჯნის მომდევნო ეპო-
ქას, მის სოციალ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ვითარებას, ისეთი
მუქი ფერებით გვისურათებენ ისინი, რომ უნებლიერ იკითხავთ:
როგორ შეიძლება ამ ეპოქაში კულტურულ-ლიტერატურულ „აღორ-
ძინებას“ ჰქონდეს ადგილი? „ბაზის“ მთლიანი განადგურება და ამავე
დროს „ზედნაშენის“ აყვავება და აღორძინება! ეს ისეთი ლაპსუსია
მკვლევართა კონცეპციაში, რომელიც სახელს უტეხს მას და ახალი
გზების ძიების აუცილებლობას გვიკარნახებს.

ამრიგად, არსებული ცდები ძველი ქართული მწერლობის პე-
რიოდიზაციისა თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებას ვერ აქმა-
ყოფილებს; ამისი მთავარი მიზეზი არის ის, რომ ლიტერატურის
ისტორიული მიმოხილვისას ჩვეულებრივ დგებიან არა საზოგადოებ-
რივ-ეკონომიკური ფორმაციის თვალსაზრისზე, არამედ სულ სხვა ნია-
დაგზე. ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი, რომელიც ამ ახალ გზა-
ზე დადგომას მოინდობებს, დიდსა და ძლიერ დაბრკოლებას შეხვ-
დება წინ: საქართველოს ისტორიის მარქსისტულად დაუშუშავებლო-

¹⁾ ამ მარივ მეც რყევა განვიცადე: თავდაპირველად „აღორძინების“ ხანას
მე-17 საუკუნის დამდგიღიან ვიწყებდი (ქართველ ლიტერატურის ისტორია ტ. I),
მერე ის გადმოვიტანე მე-16 საუკუნის დამდეგს (ტ. II), სულ უკანააკულად კი
ს „ბარამ-გურიანის“ გამოცემა) მე-15 საუკუნის ნახევარში.

ბის გამო, მას თვითონ მოუხდება ჩვენი წარსულის საზოგადოებრივ-
ეკონომიური ფორმაციების რევენუ და ისეთს საკითხებზე შეჩერება,
რომელიც ლიტერატურის ისტორიკოსის კომპენტენციაში უშუალოდ
არ შედის. ასეთს პირობებში წინამდებარე შრომას შემიძლია შევხვ-
დო როგორც ცდას, რომელსაც მიზნად აქვს ძველი ქართული ლი-
ტერატურის პერიოდიზაცია მარქსისტული სოციოლოგიის მიხედვით.
ამ მიღვმით ძველი ქართული, ფეოდალური, ლიტერატურა ოთხ
პერიოდად უნდა გაიყოს.

I. ადრიცდელი ფილიალიზმის ძეგლი

(პარიკულ ურთიერთობათა ხანა)

პირველი პერიოდი ძველი ქართული მწერლობისა, რომელსაც
შე ვუწოდებ „აღრინდების ფეოდალიზმის“ პერიოდს, გრძელდება
დღიდან მწერლობის დაწყებისა მეცხრე საუკუნის გასვლამდე (888 წ.),
როდესაც ქართლში აღდგენილ იქნა მეფობა და ამასთან დაკავში-
რებით ფეოდალიზმიც თავისი განვითარების ახალს ფაზისში შევიდა.
პირველს პერიოდში ქართული მწერლობის ასპარეზად გამოდის
„ქართლი“ ან, უკეთ, აღმოსავლეთი საქართველო, დასავლეთი სა-
ქართველო (ლაზიკა-აფხაზეთი) ქართულს კულტურულ-პოლიტიკურ
მუნიციპალობაში, გარკვეული ისტორიული მიზეზების გამო, ჯერ მო-
ნაწილეობას ვერ იღებს. ქართული ანბანის შემოღება, რომელმაც
შექმნა შესაძლებლობა მწერლობის დაწყება-გაჩაღებისა, დაკავშირე-
ბულია ქართლში ქრისტიანობის შემოღებასთან. წინააღმდეგ მის
მიერ შეცვლილი ცეცხლთაყვანისმცემლობისა, რომელიც არ იყო
მწიგნობრული რელიგია, 1) ქრისტიანობა, პირველ ყოვლისა, მწიგნო-
ბრული სარწმუნოებაა, რომელიც თავის გავრცელებისათვის პირველს
რიგში მწერლობას იშველიერდა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას
ქართლის შესახებ, სადაც მეოთხე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან,
უფრო კი შეხუთე საუკუნის დამდეგიდან, როდესაც მცხეთაში გაჩნ-
დენ სპარსეთის პოლიტიკის ავენტები მაზრეიზმის მოვცების სახით,
ცოცხალი, სიტყვიერი, პროპაგანდის საშუალებას ქრისტიანობა მო-
კლებული იყო და, გავრცელება-გამტკიცების მიზნით, მას მწერლო-
ბისათვის უნდა მიემართა.

¹⁾ 377 შლის მანლობლად ბასილი დიდი, კესარია კაპადოკიის მთავარ-
ეპისკოპოზი, სწერს კვიპრის ეპისკოპოზს ეპიფანეს: „ჰო, მაგუსეველი ჩვენში (კა-
სარგებელი) ყველგან ბლობად არიან. მაგრამ მ.თ არც წიგნები აქვთ, არც [სარ-
წმუნოებრივი] დოლმატების მასწავლებლები ჰყავთ, თავის რჯულს ისინი ასრუ-
ლებენ თანიხედ ჩაუწერები ჩვეულებისა“ [S. Basilii Epistola 258 (al. 325),
or. 4].

რა პიონერებში უხდებოდა ამ პერიოდში ქართულ მწერლობას ზრდა და განვითარებისათვის გზების ძებნა?

მწერლობის დაწყების ხანაში ქართლი საბოლოოდ და, საფიქრო-ბელია, დიდი ხნის გამოსული იყო გვაროვნული წყობილების გარ-სიღან; აյ არსებობდა მტკიცე პოლიტიკური ორგანიზმი, რომელშიაც მკაფიოდა ჩანს სოციალური დიფერენციაციის ფესვები.

შუშანიკის მარტვილობაში აღნიშნულია მცხოვრებთა ორი კატე-გორია: საერონი და სამღვდელონი. საერონი არიან „აზნაურნი“ და „უაზნონი“. „აზნაურნი“ წარმოადგენენ მბრძანებელთა გაბატონებულ კლასს, მათ შორის განირჩევიან „აზნაურნი დიდებულნი“ და, იგულის-ხმება, „აზნაურნი მცირენი“. პირველთ, უეჭველია, ეკუთვნიან: მეფი და მისი გვარეულობა, სეფეწულნი, ერისმთავარნი, resp. ერისთავნი, სპასალარნი, ათასის თავნი, მთავარნი, დიდებულნი და წარჩინებულნი (ეს სახელები ყველა მოხსენებულია იმდროინდელ ძეგლებში); მეო-რეთ—მათ ამალაში მყოფნი პირები და ისეთები, რომელთაც რაიმ საზოგადოებრივ—სახელმწიფოებრივი სამსახური ჰქონდათ მინდობილი: ციხისთავები, ხევისთავები, მამასახლისნი და სხვ. „უაზნონი“ შეად-გენდენ დაბალ სოციალურ ფენებს, მბრძანებლობისა და ბატონობის ობიექტს; ესენი იყვნენ: მონა-მხევალნი, რომელთაც არავითარი უფლება არ გააჩნდათ; „მდაბიურნი“ და „ქვეყნის მოქმედნი“ ან გლეხნი, რო-მელნიც ჯერ კიდევ არ ყოფილან მოკლებულნი ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. მცხოვრებთა „საერო“ კატეგორიას ეკუთვნოდენ აგრეთვა წვრილი ხელოსნები და ვაჭრები, რომელთა არსებობა ძეგლებით და-მოწმებულია; ეს უკანასკნელნი ამ პერიოდის სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს, რასაკვირველია, ვერ თამაშობენ. „სამღვდე-ლოთა“ კატეგორია, რომელიც სასულიერო წოდებად ჩამოყალიბდა, ფეოდალური საზოგადოებრივობის ისეთსავე გაბატონებულ ფრთას წარმოადგენდა, როგორსაც „აზნაურნი“. თავისებურ დიფერენცია-ციას აქაც აქვს ადგილი: სათავეში დგას „ეპისკოპოსთა თავი“ ან, შემდეგდროის ტერმინოლოგიით, კათოლიკოზი, და ეპისკოპატი, ძირს, ქვედა საფეხურზე,—ხუცესნი და დიაკონნი, რომელთაც მათი მდგო-მარეობა არ უზრუნველ ჰყოფდა ზურგზე კვერთხის ან არგნის „ხე-თქებისაგანაც“ კი. „სამღვდელოთა“ მეორე ფრთას ეკუთვნოდა შავი სამღვდელოება ან ბერმონაზნობა, რომელიც ჩვენში ჩნდება მეექვს საუკუნიდან, როდესაც ქართლში ფეხი მოიკიდა სამონასტრო ინსტიტუტმა.

სოციალური დიფერენციაციის მთავარ ბაზას წარმოადგენს მიწათმფლობელობა, ამაზეა დამყარებული აზნაურთა „სიღიდე“ და

„სიმცირე“, მათი ძალა, უფლება და გავლენა. ოოგორც ქვემოთ დავინახავთ, ჯერ კიდევ მეტქვეს საუკუნეში ჩაყრია საფუძველი მსხვილ მიწათმფლობელობას: ერისთავები გამოდიან მთელი საერისთაოს ბატონ-პატრონად; ასეთსავე მსხვილ მიწათმფლობელსა და მესაკუთხეს წარმოადგენს ეკლესია; ყოველ შემთხვევაში მეტქვეს საუკუნის გასულს შიო—მღვიმის მონასტერი, ოოგორც ესა ჩანს სტეფანოზ პირველთან მომხდარი ინცინდენტისაგან (საქართველოს სამოთხ გვ. 257-8), უკვე მსხვილი მემამულეა. სპარსთა და არაბთა თავაშვებული თარეშობისა და კლება-წიოკობის ხანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი უმიწა-წყლოდ და უსახლ-კაროდ ჩებოდა. ასეთს შემთხვევაში „გლახა“ (penites, უბიგი, „გლახისაგან“ შემდეგში წარმოიშვა ტერმინი „გლეხი“, ოომელიც ამ პერიოდში არ გვხვდება) ან „მონა“ იძულებული ხდებოდა მემამულის მიწაზე, ოომელსაც ამ ხანში „უფალი“ ან „მდიდარი“ (dynatós—властель) ეწოდებოდა, დასახლებულიყო და შესდგომოდა მის დამუშავებას. თავისთავად ივულისხმება, გარდა ყოველწლიური ნატურალური გამოსალებისა მამულით სარგებლობისათვის, მემამულესა და გლეხს შორის იდებოდა გარკვეული პირობები, ოომელიც ჰქმნიდენ ფეოდალიზმის სხვადასხვა სახეს. ბიზანტიაში, ოომელიც მცირეაზით ჩვენს ქვეყანას ემიჯნებოდა და ამიტომ სოციალ-ეკონომიურ სფეროშიაც გავლენას ახდენდა იმაზე, ცნობილია სამი ვარიანტი ფეოდალური ურთიერთობისა: კოლონური, პრეკარული და პარიკული (paroikoi). პირველი უმთავრესად იმით ხასიათდებოდა, ოომ გლეხი მიმაგრებული იყო მიწაზე და ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიატოვებდა მას, ვერც მიწათმფლობელი აიძულებდა მას დაეტოვებია მამული, იქამდის, ოომ, თუ გაყიდვაზე, მაგალითად, მიღებოდა საქმე, მამულთან ერთად გლეხიც უნდა გაყიდულ ყოფილიყო და გლეხთან მამული პრეკარულ ურთიერთობას ახასიათებდა ის, ოომ გლეხს, ოომელსაც არ შეეძლო არც გაყიდვა, არც გასაჩუქრება, არც მემკვიდრეობით გადაცემა მამულისა, ყოველ წუთს შეეძლო მამულის მიტოვება, მემამულესაც უფლება ჰქონდა, როდესაც მოინდომებდა, ჩამოურთმია ის გლეხისათვის. პარიკული ურთიერთობა შემდეგში მდგომარეობდა:

1) გლეხს უფლება ჰქონდა დაეტოვებია მამული, ოოდესაც მოისურვებდა, მხოლოდ მემამულესათვის უნდა მიეცა გარკვეული კომპენსაცია, 2) გარკვეული ვადის შემდეგ, ოომელიც ბიზანტიაში 30 წელს უდრიდა, მემამულე ჰქარგავდა უფლებას ჩამოერთმია გლეხისათვის მამული, ოომელიც გლეხის აუცილობელ განკარგულებაში გადადიოდა, იქამდის, ოომ შეეძლო მემკვიდრეობით გადაეცა შვილებისა-

თვის, იმ პირობით კი, რომ მემამულეს ყოველწლიურად მისცემოდა მამულით სარგებლობისათვის გარკვეული ჯამოსაღები.

რომელი სახის ფეოდალიზმს ჰქონითა პერიოდში ქართლში აღილი? თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ სპარსო-არაბთა რბევისა და ნგრევის დროს მოსახლეობას მასიურად უხდებოდა აყრა, ახალი სამოსახლო-საცხოვრებლის ძებნა და ერთი აღვილიდან მეორეზე გადასვლა, სადაც ახალ მემამულესთან იყო საჭირო საქმის დაჭერა, ამ ხანაში კოლონური ურთიერთობა შეუძლებელი იქნებოდა ჩვენში. მართლაც, სხვა პირდაპირი წყაროს უქონლობის გამო, მივმართოთ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“, რომელშიაც წარმოდგენილია მერვე საუკუნის გასულის თუ მეცხრის დამდეგის ვითარება. ამ ძეგლის მიხედვით ჩვენში ამ დროს არ უნდა ჰქონოდა აღვილი კოლონურ ურთიერთობას, ვინაიდან სერაპიონსა და მის ძმას, „ალსა შინა სიგლახაკისასა შეთხეულთ“, შემდგომ მშობლების გარდაცვალებისა, რომელნიც (მშობელნი) „შრომითა და ქუეყნისმოქმედებით იზარდებოდეს“ (გვ. 4—5), ესე იგი—გლეხები იყვნენ,—მიუტოვებიათ აღვილ-მამული, რაც კოლონს არ შეეძლო. და თავისუფლად წასულან მონასტერში. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პრეკარულ ურთიერთობასთან, რაღაც სერაპიონის მონასტერში წასვლის შემდეგ მისი უფროსი ძმა „წესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკვიდრებელსა“ (გვ. 6), ესე იგი—გახდა მემკვიდრე მამულისა, რაც პრეკარული ურთიერთობისას შეუძლებელი იყო. ამრიგად, უნდა ვითიქოთ, რომ აღნიშნულს პერიოდში ჩვენში აღვილი ჰქონდა ფეოდალურ ურთიერთობათა ღმ სახეს, რომელსაც პარიკული ეწოდებოდა. ამას ადასტურებს ჯერ ის გარემოება, რომ ძმების ბერად შედგომისა და მამის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც „მიიცვალა სიბერითა კეთილითა განპოხებული“ (გვ. 4), მაშასადამე—ხანგრძლივი მფლობელობის შემდეგ, სერაპიონის უფროსი ძმა გამხდარა მემკვიდრე მამულისა; მეორედ—ამ ძეგლში გადმოცემული შემდეგი ეპიზოდი: სოფ. ძარღვას ერთი გლეხი შემდგარა ბერად ისე, რომ ეს არც ბატონმა იცოდა და არც სოფლელებმა; ბერად შედგომის შემდეგ ეს კაცი სახლში მობრუნებულა, რათა მონასტერში წაეღო „ევლოგიად“. ის ოქრო-ვერცხლი, რაც ერისკაცობაში შეეკრიბა. ბატონს წინადადება მიუცია მისთვის სოფლადვე დარჩენილიყო, თუ არა და მიეცა მისთვის შესაფერისი ფულადი კომპენსაცია, როგორც ეს ნავარაუდევი იყო პარიკული ფეოდალური ურთიერთობით. მართალია, ძეგლში კომპენსაცია პირდაპირ ნახსენები არაა, მაგრამ, ის

რომ იგულისხმება, შემდევიდანა ჩანს: სოფლიდან გაქცეულ ბერს, რომელსაც თან მიჰქონდა ცხვირსახოცში შეხვეული ოქრო-ვერცხლი, უკან დაედევნენ, „რათა წარულონ რაი იგი აქუნდა“ (გვ. 37—38): ესე იგი, გადაუწყვეტიათ, რადგანაც გლეხს მამულზედ ველარ აბრუ-ზებდენ, ოქრო-ვერცხლი მაინც „წარელოთ“ მისგან საკომპენსაციუდა:

პირველი პერიოდი ჩვენი მწერლობისა არის პერიოდი ქართლ-ში სპარსთა და არაბთა უსასტიკესი ბატონობისა. ეს ბატონები იმის ცდაში იყვნენ, რომ აქედან ხარჯის სახით გაეტანათ ყელაფერი, რის გატანაც კი შეიძლებოდა. ამიტომ ისინი ოდნავადაც არ ფიქრობდენ ხელი შეეწყოთ ქვეყნის საწარმოო ძალთა და ვაჭრობა-ზელოსნობის განვითარებისათვის, პირიქით, ვაჭრობა მათ დროს სულერთიან მოდუნდა მტკვარ-რიონის სატრანზიტო გზის ლიკვიდა-ციისა და ქართლის მსოფლიო სავაჭრო ცენტრებისაგან ჩამოშორების გამო. მე ვფიქრობ, რომ იბერიის ვაჭრობა ქ. დვინთან, რომელსაც პროკოპი კესარიელი იხსენიებს, ეხება მეფობის გაუქმების (532 წ.) წინადროს ქართლში, ამავე დროს გულისხმობს ვაჭრული ურთიერ-თობა ანტიოქიასთან, საიდანაც, როგორც შუშანიკის მარტვილო-ბიდანა ჩანს, შემოქონდათ დიდებულთათვის ძეირფასი ქსოვილები, მაგალითად — პალეკარტი. იყო თითქოს ხელოსნობა, — ძეგლებში მო-ხსენებულია მეხამლეობა-მეჩექმეობა (ესტატე მცხეთელი), სურნლების ღამზადება (აბო ტფილელი), გალატოზობა („კირითა ხურონი“) და სხვ., მაგრამ ასეთი ხელოსნობა, აგრეთვე იმგვარი ვაჭრობა, რომელ-საც გულისხმობს, თუ გნებავთ, აბოს მარტვილობა (აბო სთხოვს თავისიანებს, გაეყიდათ ბაზარზე მისი ტანისამოსი და ეყიდათ სან-თოლ-საკმელვე), ცხოვრების მამოძრავებელ ძალად ვერ გახდებოდა. ეკონომიკაში ბატონობას ჰპოულობს კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობა, მიწის ღამუშავებასა, მესაქონლეობასა და ნადირობაზე დამყარებული; თვითეული კუთხე ან საერისთავო, რომელიც მეორი-საგან სრულს დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა, პქმნის მხოლოდ იმას და იმდენს, რაც და რამდენიც მისთვისაა საჭირო. ყველა ამით აიხსნება, რომ ქვეყანა მოიცო საშინელმა სილარიბემ და გაჭირებამ რასაც ასე უსვამს ხაზს აბო ტფილელის მარტვილობა.

მწერლობის დაწყების მომენტში აღმოსავლეთი საქართველო ორ ნატილად იყო (368 წლიდან) გაყოფილი; დასავლეთი სექტორი რომაელების გავლენის წონაში იმყოფებოდა, ხოლო აღმოსავლეთის შექტორი, რომელსაც მეხუთე საუკუნის თუდაათიანი წლებიდან და-სავლეთის სექტორიც უერთდება, ფაქტიურად იმყოფებოდა სპარსე-თის ხელში, რომელიც მეხუთე საუკუნის დამდეგიდან, — ბაკურ დი-

დის დროიდან, — როდესაც პირველად დაირშო აქვანი ქართული მწერლობისა, თანდათან უჭერს მას არტახებს, 532 წელს საბოლოოდ აუქმებს აქ მეფობას და თავის წარმომადგენლად მარზაპანს ნიშნავს. შინაგანი მართვა-გამგეობის აპარატისათვის სპარსეთს ხელი არ უბლია, და ის ერთისთავები, რომელნიც წინათ ამათუიმ საერისთაოს განაგებდნენ, თავიანთ აღგილზე დარჩენ. მხოლოდ, თუ წინათ ისინი ადმინისტრატიული პირები იყვნენ, ეხლა, სპარსთა ბატონობისას, და შემდეგაც, როდესაც სპარსთა ბატონობა არაბებმა შესცვალეს აქ (643 წ.), ეს ერთისთავები მემამულებად და თავიანთი საერისთაოს სრულ ბატონპატრონად იქცენ. „მეფემან სპარსთამან ურმიზდ“ (VI ს.), ამბობს ისტორიკოსი „მისცა ძესა თვისსა (ქასრეს) რანი და მოვაკანი“... მან (ქასრემ) „დაუწყო ზრახვად ერისთავთა ქართლი-სათა, ალუთქუა კეთილი დიდი, დაუწერა ერისთავთა მამულები შეი-ლითი შეილამდე და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა; და განდეგს ერის-თავნი თვისთვისად, ხარჯსა მისცემდეს ქასრეს ამბრავეზსა“ (ქართ ცხოვრ. მარიამ დედოფლ. გვ. 189-190). საწინააღმდეგოდ სპარსეთის ჯეთი პოლიტიკისა, ბერძნთა მეფეს იმავე დროს ერთერთი ერის-თავი, გვარამი, მეფედ გამოუცხადებია ქართლში, მაგრამ მან, ამ-ბობს ისტორიკოსი „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერის-თავოთან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძნთა მეფი-საგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისანი საერისთაოთა მათთაო“ (იქვე, ვგ. 192). „ვინაიდგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლი-სათა“, ესე იგი მეფობის გაუქმების შემდეგ, ამბობს ისტორიკოსი, „მით უამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთაო“ (იქვე, ვგ. 338), იგულისხმება — ერისთავებს. ამგვარად, ეს ერისთავები, მეფო-ბის გაუქმების შემდეგ, შეიქნენ თავისებური მეფეები თავინთ საბრ-ძნებელ საერისთაოში; ისინი ცხოვრობდენ და ბატონობდენ ერთმანე-თისაგან განცალკევებით და დამოუკიდებლად, რაც, თუ გნებავთ, იქი-დანაცა ჩანს, რომ, არაბების შემოსევისას, თვითეული მათგანი ცალკე, როგორც სრული ბატონ-პატრონი თავისი სამფლობელოსი, მოდის არაბთა მხედართმთავართან და დამოუკიდებელ ხელშეკრუ-ლებას სდებს მასთან. ასე რომ მეექვსე საუკუნიდან, ერთის ნაცვლად, ალმოსავლეთ — საქართველოში იმდენი სამეფო გაჩნდა, რამდენიც წი-ნათ საერისთაო იყო. მათ არაფერი საერთო ერთმანეთში არ ჰქონდათ გარდა ენისა, სარწმუნოებისა, სპარსთა-არაბთა წინაშე ყმობისა და ურთიერთშორის დაუნდობელი ბრძოლისა, როგორც ეს დამოწმებულია ისტორიკოსის შემდეგს სიტყვებში: „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა. და მტერ იქმნეს

ურთიერთას“ (იქვე, გვ. 217). ალნიშნული ბრძოლისა და მტრობის პროცესში, არაბთა დასუსტების ზეგავლენით, მერვე-მეცხრე საუკუნეთა განმავლობაში, ამ უამრავ ფეოდალურ საერისთაოთა შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე ცოტადოუბევრად მსხვილი უჯრედი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ფეოდალიზმის შემდეგი განვითარებისათვის.

ასეთი იყო ზოგადად სურათი ქართლის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობისა პირველს პერიოდში; ამ „მდგომარეობამ“ შექმნა შესაფერისი „შეგნება“-იდეოლოგია, სახელდობრელიგიური იდეოლოგია, რომელმაც მხატვრული განსახიერება პოვა საეკლესიო-სასულიერო სტილის ლიტერატურაში. რა იყო, უფრო კონკრეტულად, მიზეზი ამ პერიოდში რელიგიური იდეოლოგიის გაბატონებისა და აქედან მწერლობაში სასულიერო-საეკლესიო სტილის დამყარებისა? ამის მიზეზი იყო:

1. სასულიერო წოდების ძალა საზოგადოებაში, როგორც შედეგი მისი ძალისა ეკონომიკაში. თეთრი და შავი სამღვდელოება შეადგენდა ფეოდალური კლასის ცალკე ფრთას, რომელმაც უაღრესი გავლენა მოიპოვა საზოგადოებაში. ეკლესია წარმოადგენდა ეკონომიურად უძლიერესს ორგანიზაციას, მის ხელში თავმოყრილი იყო უზარმაზარი მამულები; საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობა იმდენად მძიმე ყოფილა, რომ, როგორც სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებიდან“ ვტყობილობთ, ზოგიერთ ადგილას მემამულეები და გლეხები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ბერებს, რომელნიც მონასტრის გაშენების მიზნით გამოჩენდებოდენ იქ. უმეფობის ხანაში ეკლესიას მეტოქე აღარავინა ჰყავდა, რადგანაც ის უფრო მდიდარი და ძლიერი იყო, ვიდრე თვითეული ცალკე საერისთაო. საერისთაო, როგორც ვიცით, ამ პერიოდში მრავლად იყო ქართლში, ეკლესია კი, როგორც ინსტიტუტი, ერთი, ამით აიხსნება, რომ ის არამც თუ ადვილად იგერიებს ერისთავთა შეტევას (სტეფანი I მეექვსე საუკუნეში), იერიშითაც კი მიდის მათი უფლება-ძლიერების წინააღმდეგ (გრიგოლ ხანძთელის დრო): ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი ბქამდე ძლიერდებოდა, რომ ამათუიმ ადგილას ის მემამულე-ერისთვის ფუნქციებსაც კი ითვისებდა; ასე, მაგალითად, მეცხრე საუკუნის პირველს ათეულებში, როდესაც სამცხეში გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ დიდი მღელვარება დაიწყო, გიორგი მაწყვერელმა „ხელთიდვა განგება სამცხისა, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თავისი, ვითარცა წეს იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ. მეშფოთეთანი (გვ. 41).

2. გონებრივი ინტერესების შემოფარგვლა, როგორც შედეგი ეკონომიური და პოლიტიკური პარტიკულიარიზმისა. როდესაც თვითეული ხევი ან საერთაო განცალკევებულს, მტკიცედ შემოზღულდუ ერთეულს წარმოადგენდა, რომლის ზედაპირს არ არხევდა მძლავრად არც გაცხოველებული სავაჭრო, არც გამომაფხიზლებელი საერთაშორისო ურთიერთობანი, თავისთვად იგულისხმება, მას სხვა ინტერესები, გარდა სარწმუნოებრივისა, არ შეიძლება ჰქონოდა. ამას სელს უწყობდა საწარმოო ძალთა უაღრესი პრიმიტიულობა, კუთხური წარმოება და კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობა.

3. მეცნიერული ცოდნის უქონლობა. მეცნიერული აზროვნება იმ საუკუნეებში, რომელთა შესახებ ლაპარაკი გვაქვს, ყველგან თითქმის მიძინებული იყო, ამიტომ არც ქართლში შეეძლო მას გაღვიძება და ფრთების გაშლა. ეს გარემოება, კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობის პირობებში, აღამიანს ბუნების ძალთა მონადა ჰქონის, რომელიც მისთვის გაუგებარს ბუნების მოვლენებს მიჰყავს უხილავი, ზეციური ძალის, ვითარების, აღიარებამდე და მისი პრიმობის ცნობამდე.

4. გაბატონებული ფეოდალური კლასის, როგორც სასულიეროსი, ისე საერთოსი, „სოციალური დაკვეთა“ ყველაზე მკვეთრ გამოხმაურებას და გამართლებას მწერლობაში ჰქონულობდა. ცნობილა, რომ რელიგია სანქციას უკეთებს იმ სოციალურ უთანასწორობას და უსამართლობას, რომელზედაც დამყარებული იყო ფეოდალური საზოგადოებრივობა. ამ უთანასწორობის იღეოლოგიურ ბაზას სწორედ სასულიერო-რელიგიური მწერლობა ჰქმნიდა.

5. ქრისტიანული პროპაგანდის და ქრისტიანული კულტის საჭიროებანი. როგორც ზემოთა ვთქვით, მწერლობის დასაწყისი ქართლში დაკავშირებულია ქრისტიანობის დამყარებასთან ამ ქვეყანაში. ქრისტიანობის დოლმები, მისი მორალი და კულტის კოდიფიკაცია მოცემულია ბიბლიურს, პატროლოგიურს და ლიტურლიკულ წიგნებში, რომელთა გადაღება ქართულს ენაზე და პოპულიარიზაცია. მხოლოდ მწიგნობრობის საშუალებით იყო უზრუნველყოფილი. მწერლობაც პრველს, პერიოდში, რასაკვირველია, ამ მიზანსა და მოთხოვნილებას ემსახურებოდა.

6. მწერლობის მესვეური ინტელიგენციის-კადრებს (მთარგმნელებს, ავტორებს და მკითხველებს) იძლეოდა სამღვდელოება, რომლის მიზნებსა და საჭიროებას ემსახურებოდა პირველი შკოლები, ის შკოლები, რომელთაც თავისი პროგრამითა და მიმართულებით განათლება სარწმუნოებრივი გეზით მიჰყავდა. მართალია, ინტელიგენ-

ციის კადრებს საერო ფეოდალური წრეც იძლეოდა, მაგრამ აქედან გამოსული მოღვაწენი იმავე საეკლესიო-სამონასტრო სწავლა-განათლების მატარებელნი იყვნენ.

7. მორალური ავტორიტეტი ექლესისა, რომელიც მან მოიპოვა ამ პერიოდში. ოოდესაც ქართლში მოისპო მეფობა და მასთან ეროვნული ხელისუფლება, ქვეყანა მრავალ პატარ-პატარა ფეოდალურ ერთეულებად დაიყო; ამ შემთხვევაში ეროვნული მთლიანობის ხიმბოლოდ და მატარებლად გამოდიოდა ეკლესია, რომელიც, სპართა და არაბთა ბატონობისას, ქრისტიანობის დროშის ქვეშ, ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებას ჰქადაგებდა ითანე საბანიძე).

8. საერთაშორისო კულტურულ-ლიტერატურული გარემოცულობა. იმ ქრისტიანულ ქვეყნებში, რომლებთანაც ქართლს კულტურული კავშირი ჰქონდა ამ პერიოდში. (ბიზანტია, სომხეთი, სირია), გაბატონებული იყო სასულიერო-ეკლესიური მწერლობა; რაც შეეხება არაქრისტიანულ ქვეყნებს, ირანის ლიტერატურა არაბებმა თითქმის მოსპეს და მეცხრე საუკუნემდე მას მოძრაობის ნიშნები არ ეტყობოდა, არაბულ ენაზე კი ქართველებს მხოლოდ ქრისტიანული ლიტერატურა იზიდავდა.

ასეთი იყო ის შიზეზები, რომლებიც ჰირველი პერიოდის ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ სასულიერო სტილის შექმნასა და გამაგრებას უწყობდენ ხელს. ეპოქის აუტანელმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა მწერლობის უანრულ ფორმაციაზედაც. ითანე საბანიძე თავისი თხზულების ერთს აღიღს ამბობს: ქართველები „მდლავრებასა ქუეშე დამონებულნი არიან და, ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ძვირ-ძვირად ზღუეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“. ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ტანჯვა-წამების ან, როგორც თვით საბანიძე ამბობს, „ჭირთა მოთმინების“ კულტის განმტკიცებას, რამაც თავი იჩინა იმდროინდელ ლიტერატურულ უანრებში,—ეპოსსა და ლირიკაში: ჰაგიოგრაფიული თხრობა, რომელიც ერთადერთი უანრია ამ პერიოდის ორიგინალური ეპონისა, წარმოდგენილია მხოლოდდამხოლოდ მარტიროლოგიით (მარტვილობა შუშანიკის, ესტატე მცხეთელის, ძმათა კოლაელთა, ამო ტფილელისა, კონსტანტი კახისა, გობრონისა), აქ არ გვაქვს არც ერთი ისეთი ნაწარმოები, რომელსაც „ცხორება“ ეწოდება; ლირიკაში კი გაბატონებულია „ჭირთა მოთმინების“, სინანულის და სასჯელის მოტივები.

რაც კარჩაკვტილი და შემოზღუდული არ უნდა ყოფილიყო

ჭეოდალური სალტეებით ქართლის ცხოვრება აღნიშნული პერიოდისა, ქართველები საესებით მაინც ვერ დაახწევდენ თავს, ყოველ შემთხვევაში, მისი მახლობელი ქვეყნების შაჯისცემას და ნებით თუ უნებლიერი გამოხმაურებოდენ მას; ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამბები, რომელიც ამ დროს იშლებოდა აღმოსავლეთში, მის საზღვრებამდიც მოახწევდა და თავისებურ გამოძახილს ჰპოებდა აქ. და მართლაც, ამ პერიოდში ქართლი პოლიტიკურ-კულტურულის და, მასთან დაკავშირებით, ლიტერატურული ორიენტაციის გაფაციცებულს ძიებაშია. ამ ძიების გათვალისწინებით მთელი პირველი პერიოდი ორ ხანად შეიძლება გაყოფილ იქნეს. პირველს ხანაში, რომელიც 5-7 საუკუნეებს ემთხვევა და რომელსაც მე პირობით „მოსამზადებელ“ ხანას უწოდებ, აქ ბატონობს „აღმოსავლური“, — სირიული, სომხური და სპარსული, ქრისტიანულ-კულტურული ორიენტაცია. ეს იმით აიხსნება უშუალოდ, რომ ქრისტიანობა, ეს უძლიერესი იმპულსი პირველი პერიოდის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებისა, ქართლში შემოვიდა პალესტინიდან დასახელებული ქვეყნების გზით. „მოსამზადებელი“ ხასიათი ამ ხანის მწერლობისა გამოიხატებოდა „მთარგმნელობასა“ და „მიმბაძველობაში“; ლიტერატურული პროდუქცია წარმოდგენილია უმთავრესად ნათარეგმნ ძეგლებში (ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ არის ბიბლიის თარგმნა) და ორიოდე, ჩვენამდე შენახულს, ორიგინალურ ნაწარმოებში, რომელიც შედგენილია სხვა ენებზე დამუშავებული ფანრული ნორმების მიხედვით. ეს ასეც იყო მოსალოდნელი: ცნობილია, რომ ამათუმიმ კლასის ლიტერატურა, მისი აღმოცენების და „დადგინდის“ ხანაში, როდესაც მას ჯერ ტრადიციები არ მოეპოვება, იქვებება მთარგმენტობით და უცხო ქვეყანაში არსებული მონათესავე კლასის ლიტერატურის მიბაძვით; ეს მონათესავე მისაბაძი კლასი შეიძლება იყოს როგორც თანამედროვე, ისე წარსული დროისაც. ამ პირობებში ქართულ სასულიერო მწერლობას, ბუნებრივად, უნდა მიემართა და მისაბაძ მაგალითად გაეხადა ზემოჩამოთვლილი ქვეყნების სასულიერო მწერლობა, რომელსაც იქ უკვე ისტორიია და ტრადიციები ჰქონდა. და მართლაც, რა ენიდან სთარეგმნიდენ უმთავრესად ქართლში თავდაპირველად? სომხურიდან და სირიულიდან. რა უანრული გავლენა გვაქვს ამ დროის ორიგინალურს ძეგლებში, როგორიცაა მარტვილობა შუშანიკისა და უსტატე მცხეოლისა? სირიულ „მოწამეთა აქტებისა“.

მეორე ხანა აღნიშნული პერიოდისა, რომელსაც მე „ეროვნულს“ უწოდებ, ემთხვევა მეტად მეტად საუკუნეებს. ეს არის ხანა,

როდესაც ქართული მწერლობა საკუთარ ფეხზე დგება და „ეროვნული“ იდეოლოგიის შემუშავებას ემსახურება. ამ დროის ლიტერატურული ძეგლები, წარმოიდგინეთ—ნათარგმნიც კი, იმდენად არიან გამსჭვალულნი „ეროვნული“ ტენდენციით, რომ შემდეგიპერიოდის თაობა მათ აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „ქართული“. ეროვნული იდეოლოგიის გაღვიძება იყო, ერთის მხრით, რეაქცია არაბების მძიმე და აუტანელი ბატონობის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით შედეგი დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს კოლონიზაციისა, რომელიც ინტენსიურ ხასიათს მერვე საუკუნიდან ღებულობს. „ეროვნული“ მიმართულება მწერლობისა ეროვნულ სექტანტობასა და ქარდახშულობას კი არ გულისხმობს. თუ ამ ხანაში ქართველები ეროვნული კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედების გზას დაადგენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა მეზობელ ერებს ზურგი შეაქციეს და მათთან ლიტერატურული კავშირი შეწყვიტეს. პირიქით, სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორების შემდეგ, რასაც აღიღი მეშვიდე საუკუნეში ჰქონდა, ქართული ცხოვრების მესვეურდი ეძებენ ბიზანტიურ საეკლესიო სფეროებსა და წრეებთან დაახლოებას; აქედან იწყება ბიზანტიური ნაკადი ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული წარსულისა, რომელიც არ შეწყვეტილა მანემდის, სანამ ბიზანტია არსებობდა. მეორე მხრით ქართული მწერლობა კავშირს აბამს ქრისტიანულ-არაბულ მწერლობასთან, ეს კავშირი უმთავრესად პალესტინის მონასტრებში ხორციელდება. „ეროვნული“ იდეოლოგიის და მიმართულების გზას შეადგენდა „ეროვნული“, თუ შეიძლება ითქვას, ეკონომიკა, რომელსაც საფუძველი ეყრება მას. შეძლება, რაც მერვე-მეცხრე საუკუნეებში, არაბებისა და ბიზანტიიელების პოლიტიკურად დასუსტების გამო, საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდებიან პატარა „ეროვნული“ სამთავროები. ეროვნულ იდეოლოგიას გამოხატულებას აღლევს: 1) ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობა (მერვე საუკუნის ნახევარში), 2) ნაციონალური წმიდანების კულტის შექმნა (იოანე საბანისძე), 3) „ეროვნული“ განმანათლებელის ძიება (ლეგენდა ნინოს შესახებ), 4) ნაციონალური კალენდრისა და წელთაღრიცხვის შექმნა (მერვე საუკუნეში) და 5) ეროვნული საკულტო წიგნების კოდიფიკაცია (მეცხრე საუკუნეში).

როდესაც მე ვამბობ, რომ აღნიშნული პერიოდის პირველს ნახევარში ქართველთა კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში აღვილი ჰქონდა „აღმოსავლურ“ ტენდენციებს, ხოლო მეორე ნახევარში—„დასავლურს“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველს ნახევარში ბერძნულ-ბიზანტიურ კვალს ვერ ვხედავთ, ანთა მეორეში აღ-

გოსავლურის. მე მინდა ვთქვა, რომ პირველს ნახევარში სჭარბობს აღმოსავლური, მეორეში კი დასავლური ტენდენციები. მთელი ამ პერიოდის ლიტერატურის განვითარებას წარმართავს ბრძოლა ორ აღნიშნულ ტენდენციათა, აღმოსავლურსა (სირიულ — სპარსულ — სომხურ — არაბული) და დასავლურს (ბერძნულ — ბიზანტიური), შორის. ეს ტენდენციები ასოციალ-კლასიური წარმოშობისაა: „აღმოსავლურის“ მატარებელია უფრო დაბალი საფეხურები ფეოდალური საზოგადოებრივობისა, „დასავლურის“ კი მაღალი მბრძანებელი ფენები. საჭმე ისაა, რომ ქართული ქრისტიანობა, როგორცა ვთქვი, აღმოსავლური წარმოშობისაა, თვით ქართლი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ეკონომიკით, ზე-ჩვეულებით, აღათით და ყოფა-ცხოვრებით აღმოსავლეთს უფრო ენათესავებოდა, ვიდრე დასავლეთს. ამიტომ გასაკვირვი ჰარაა, რომ აღნიშნული პერიოდის ფეოდალური საზოგადოებრივობის დაბალი ფენები და მასსა უფრო ეგუებოდა და ეკიდებოდა აღმოსავლურ-ქრისტიანული კულტურისა და მწერლობის ტენდეციებს, ვიდრე დასავლეთისას. მაღალი საფეხურები კი, მმართველი სასულიერო და საერო წრეები, უფრო დასავლურს, რომაულ-ბიზანტიურ, ტენდეციებს ემოტინებოდენ; ეს იმიტომ, რომ აღმოსავლურს, სპარსულსა და არაბულ, პოლიტიკას მუდამ ახასიათებდა დაპყრობილ ქვეყნებში, მაშასადამე ქართლშიაც, არა უბრალო დაჩრდილვა-დაბეჩავება, არა-მედ სრული მოსპობა და გაუქმება ეროვნული, ადგილობრივი ხელისუფლებისა, რომელიც შეადგენდა მაღალი ჭუოდალური წრეების კუთვნილებას. ასე იყო საეკლესიო სფეროშიაც: „„აღმოსავლეთის“, ესე იგი ანტიოქიის, პატრიარქი არასდროს არ ურიგდებოდა ქართლის ეკლესიურ დამოუკიდებლობას. რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკა კი ეროვნულ ხელისუფლებას არ სპობდა, პირიქით, ზოგიერთ ზემოთხვევაში, ხელს უწყობდა კიდევაც მის გამაგრებას, რათა თავისი მიზნები ეროვნული ხელისუფლების საშუალებით უფრო ადვილად განეხორციელებდა. აღნიშნულ წინააღმდეგობათა და ბრძოლის ნიადაგზე გადაშლილია ქართლში პირველი პერიოდის ანტიმაზდეისტური და ანტიმონოფიზიტური (განსაკუთრებით წანტისომხური) პოლემიკა ბერძნულ-ბიზანტიური ორთოდოქსისა (კირიონ პირველი და არსენ ლიდი). ფინალი ამ ბრძოლისა იყო ჩამოყალიბება უძველესი „ქართული“ კულტურისა, რომელიც წარმოადგენს სინთეზს და გადამუშავებას აღმოსავლურისა და დასავლურის ლიტერატურულ-ყოფაცხოვრებითი საუკეთესო ტრადიციებისას.

II. პატრინ-ჰერი ფეოდალიზმის პირიოდი

(ფეოდალური მონარქიის ხანა)

მეორე პერიოდი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც პატრინ-ყმური ფეოდალიზმის ხანას ემთხვევა, გრძელდება შეათე საუკუნის დამდეგიდან მეცამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე. ეს ის ხანაა, როდესაც პირველი პერიოდის მიწათმფლობელი „უფალი“ „პატრინიად“ იქცევა, ხოლო „გლახა“ ან „მონა“—„ყმად“. ამ პერიოდში ქართული ლიტერატურა გამოდის ქართლის ვიწრო ფარგლებიდან და გაერთიანებული საქართველოს, ფეოდალური მონარქიის, ტერიტორიაზე იშლება.

პარიკულ-ფეოდალური სისტემა პირველი პერიოდის ცხოვრებისა მეცხრე საუკუნის გასულს დაგვირგვინდა მეფის ინსტიტუტით, რომელიც 888 წელს იქნა აღდგენილი აღარნასე დავითის-ძის „ქართველთა მეფედ“ გამოცხადებით. ამ დროიდან დაახლოებით და ამ ფაქტთან დაკავშირებით საფუძველი ეყრება პატრინ-ყმურ ურთიერთობას, რომელიც წარმოადგენს ქართული ფეოდალიზმის ახალს სტადიაში გაღასვლას. პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით (ქართული სამართლის ისტორია II, 63, ქუთაისი 1919), ტერმინი „პატრინი“, რომელიც საყოველთაო ხმარებაში მე-11 საუკუნიდან შემოდის, ცხოვრებაში ამაზე კარგახნით უწინარეს უნდა ყოფილიყო მიღებული, ასე რომ, როგორც ის შემდეგში არკვევს (ქართული სამართლის ისტორია I, 198, ტფილისი 1928), „მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მარტო პატრინ-ყმობა იყო“. მაგრამ, თუ აღნიშნული ინსტიტუტის დასაწყისის გარკვევის მიზნით, ჩვენ ტერმინოლოგიით ვიხელმძღვანელებთ, სწორედ მეფობის აღდგენის სანახთან მივალთ. მართლაც, ტერმინი „პატრინი“ ჩვენ გვხვდება პირველად მიქელ მემლების მონასყიდობის წიგნში, რომელიც დაწერილი ყოფილა კახეთის მეფეების ფალლე-კვირიკესა და აფხაზეთის მეფეთა კონსტანტინე—ბაგრატის დროს, მაშასადამე—მეცხრე საუკუნის გასულს თუ მეათის დამდეგს (თ. უორდანია, ისტორიული საბუთები შიომლების მონასტრისა, გვ. 1—3; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II, 63, მისივე ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 91, 120). ამავე ტერმინს ხმარებს მე-11 საუკუნის ისტორიკოსი მეცხრე საუკუნის მიწურულის ფაქტის გადმოცემისას, როდესაც შენიშვანეს, რომ კლდეკარის მფლობელმა ლიპარიტმა იპატრინა დაეით ბაგრატისძეო

(ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, გვ. 224) ¹⁾). რაც შეეხება ტერმინს „ყმა“, ისიც პირველად გვხვდება მეათე საუკუნის დამდეგის ძეგლში, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, სადაც „ყმა“ და „მონა“ სინონიმური ცნება; აქ ნათქვამია: „უბრძანა ერთსა ვისშე მონათ აგანსა... და წარვიდა შეის ყმა იგი“ (გვ. 10). ამრიგად, პატრონ-ყმური ურთიერთობის რასაწყისი ქრონოლოგიურად მეფობის აღდგენას ემთხვევა. რაც ნომინალური არ უნდა ყოფილიყო თავისთვალ, თავდაპირველად მაინც, მეფობის ავტორიტეტი, რომელიც აქ მეექვსე საუკუნიდან იყო მოსპობილი, ის შაინც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქართველთათვის; „ქართველთა მეფის“ არჩევით დამთავრდა ფეოდალურ-მთარველობითი ურთიერთობის კიბე, რომლის უმაღლესი საფეხური მეფე იყო.

ამ დროისათვის, მეცხრე საუკუნის გასულისა და მეათხს დამდეგისათვის, მთელი საქართველოს ტერიტორია ოთხს ნახევრად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს უქავია, ესენია: „ქართველთა მეფის“ საბრძანებელი, აფხაზეთის სამეფო, რომელიც მეათე საუკუნის დამდეგიდან უკვე მონაწილეა ზოგადი ქართული კულტურულ-პოლიტიკური მშენებლობისა, კახეთის საქორიკოზო და ტფილისის ემირატი. ამ ნახევრად დამოუკიდებელი ერთეულების შექმნის მიზეზი იყო დასუსტება იმ ძალისა, რომელიც მძიმე უღლად აწვა კისერჩე ქართველ ერს, განსაკუთრებით კი არაბეთისა. არაბეთის ხალიფატის დასუსტებამ, რომელიც მერვე საუკუნის ნახევრიდან იწყება, მეცხრე საუკუნის გასულისათვის უმაღლეს წერტილს მიახწია; ის დაიყო ცალკე, დამოუკიდებელ ერთეულებად, გამოყოფას სცდილობს ტფილისის ემირატიც, რომელიც მეათე საუკუნეში ნახევრად დამოუკიდებელი გადმოდის. ამ მდგომარეობით არ შეეძლოთ არ ესარგებლნათ ქართველებს და არაბეთის მეტოქის, ბიზანტიის, ჩუმი თანხმობით არ აღედგინათ მეფობა. მეათე საუკუნიდან იწყება პროცესი აღნიშნული ერთეულების შერწყმისა, „ქართლის“, „საქართველოდ“ ქცევისა და მონარქიის გაფართოვებისა. ინიციატივა ამ მოქრაობაში ეკუთვნის პერიფერიებს, აფხაზეთსა და ტაო-კლარჯეთს, გაერთიანების პუნქტად კი არჩეულია გეოგრაფიული ცენტრი საქართველოსი

¹⁾ ტერმინი შემსულია ჩვენში ბიბლიიდან, სადაც *patron* ჯეზადება ზიხანტიური პერიოდის დასაწყისიდანაცე (იხ. D. E. C. a n g e, *Clossarium I*, 1137). საყურადღებოა, რომ ნემესიოს გმენელის ასხულების „ბუნებისათვის დაცისა“ ქართულ თარგმანში, რომელიც ითხე პეტრიზ ეკუთვნის, ბერძნული despoton (Migne, PC. t. 40, col. 812 C) გადმოცემულია სიტყვით „პატრონი“ (ს. გრადის გამოცემა, გვ. 172).

ქართლი საკუთრივ, რომლის ხელში ჩაგდებისათვის იბრძეიან ზერმოდასახელებული პოლიტიკური ერთეულები. პროცესი სარქოველოს გაერთიანებისა და მისგან ძლიერი აბსოლუტური მონარქიის შექმნისა დამთავრდა ქ. ტფილისის შემოქმნებით დავით აღმაშენებლის დროს, რომლის საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელებას ხელს უწყობდა, მის მიერ შექმნილი რეგულიარული ჯარის გარდა, მის მეფობაში დაწყებული ჯვაროსნული ომები, რომელთაც მაჰმადიანთა, განსაკუთრებით სელჯუკიანთა, ყურადღება საქართველოს საზღვრებიდან პალესტინისა და ევროპისაკენ გადაიტანეს. ფეოდალური ძალები, რომლებზედაც აშენდა საქართველოს აბსოლუტური მონარქია, ერთნაირად არ უყურებდენ ამ მონარქიის შექმნას: მსხვილი ფეოდალები, მეფეების წინააღმდეგ მიმართული გამუდმებული კინკლაობითა და ბრძოლით, ობიექტურად აფერხებდენ ძლიერი მონარქიის შექმნას¹⁾), სამაგიეროდ წვრილი მემამულე და მსახურეული აზნაურობა, აგრეთვე ეკლესია და ვაჭართა წრე, ხელს უწყობდა მის ჩამოყალიბებას და სიძლიერეს. ეს ადვილი გასაგებიცაა: მსხვილ ფეოდალებს, რომელნიც მესაკუთრენი და მბრძანებელი იყვნენ, არ ეპრიანებოდათ მათი ალვირაბესნილობის შემზღვდველი ძალა მეფის სახით, წვრილი და მსახურეული აზნაურობა ამით მოგებაში იყო, რადგანაც მისი პირდაპირი მბრძანებლის უფლება რომ შეიზღუდებოდა საერთო კანონმდებლობით, მას მეტი უფლება მიეცემოდა და დამოკიდებულების ულელი ოდნავ მაინც შეუმსუბუქდებოდა. ეკლესიისათვის, ყოველგვარი ეკონომიურ-უფლებრივი მოსაზრების გარეშეც, ერთმთავრობა თეორიულად უფრო მისალებია, ვინაიდან ქრისტიანობა მონოთეისტური რელიგიაა.

ყველაზე მეტად ამ პროცესის განხორციელებას ხელს უწყობდა ჩვენში ვაჭართა წრე და სავაჭრო კაპიტალის გაძლიერება. გაერთიანებული საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და მისი გზების მიმართულება მას მძლავრად უმორჩილებდა მსოფლიო ბაზრის კარნახს, ამიტომ გაერთიანების პროცესი პარალელურად. მიმდინა-

1) დიდგვარიანი ფეოდალები ებრძოდენ არა მფლობას პრინციპიულად, არამედ ამათუიმ მეფეს პირადად; მეფობა თავისითავად, როგორც იარაღი გაუსათიანაბული ძალით თავდაცვისა და მეზობელ ქვეყნებშე, მათი დარბევა-დასაწევის მაზნით, იერიშების მიტანისა, მათვინაც სასურველი ინსტიტუტი იყო. დიდფლებული ფეოდალები იბრძოდნ ან იმისათვის, რომ ეს ინსტიტუტი თავიანთი კანციდატებისათვის მოეპოვებით, ან იმისთვის, რომ ხელუხლებლივ დაუცვათ თავიანთი პრივატულები, განსაკუთრებით ცეფეთა ანტიპრონიული პოლიტიკისაგან.

რეობს ვაჭრობის ზრდა-განვითარებასთან, რომელსაც სახელმწიფოებ-რივობაში ცენტრალისტური ელემენტები შეაქვს. ამით აიხსნება, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართული ფეოდალიზმი ცენტრალიზრებულ ხასიათს იღებს. ვაჭარსა და სავაჭრო კაპიტალს პოლიტიკურ-ოლქობრივი საზღვრები და საბაჟო ზღუდეები არ აძლევს თავისუფალ გასაქან არეს, ამიტომ ის თავგამოდებით იბრძვის ამ საზღვრებისა და ზღუდეების მოსპობისა და ცენტრალისტური მონარქიული ხელისუფლების შექმნისათვის. მეცხრე საუკუნის შემდეგ არაბების დასუსტებასა და ხალიფატის დაშლას მოჰყვა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეების დაახლოვება სააღებ-მიცემო ნიადაგზე არაბეთის, უფრო სწორად ბალდადის, საშუალებით. ალბათ ამით აიხსნება, რომ ტაოკლარჯეთში, რომელიც ყველაზე ახლო იყო საბერძნეთთან და ახალ, ბალდადზე მიმავალ, მსოფლიო სავაჭრო გზასთან, ყველაზე აღრე იჩინა თავი სავაჭრო ურთიერთობამ, ასე რომ ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე ძოწითმოსილი, 952 წელს დაწერილს თხზულებაში, (De administr. imper.) ამბობს: „არტანუჯი, რომელიც ითვლება კლდედ ივერიისა, აფხაზეთისა და მოსხიისა და რომელიც არის წილი და სასაყდრო ქართველთ ბაგრატიონებისა, არის სავაჭრო შუაგული ტრაპიზონისა, ივერიისა, აფხაზეთისა, მთელი სომხეთისა და ასურეთისა, რომლებთანაც ის ვაჭრობს“. ვაჭრობა გაცხოველებულია ამ პერიოდში შუაქართლშიდაც, რომელიც თავის საქონელს, თითქმის მე-11 საუკუნის გასვლამდე, ქ. დვინში გზავნის. საკმაოდ განვითარებული ყოფილა ის ტფილისშიაც, სადაც ვხვდებით ქულბაქებსა და სავაჭრო მოედნებს და სადაც, როგორც გიორგი მეორის სიგელიდან ვტყობილობთ, ბაზრის საგანგებო ზედამხედველიც კი ყოფილა შურიას სახელწოდებით. აქაური ვაჭრების წარმომადგენლი უნდა ყოფილიყვნენ ის „ბერები“, რომელიც ბაგრატ მეფეს ქალაქის დაჭერის წინადადებას აძლევდნენ. ტფილისში რომ ვაჭრობა განვითარებული ყოფილა, იქიდანაც ჩანს, რომ დავით ალმაშენებელი, მის შემოერთებამდე, იქაურ ვაჭრებს გზას ულობავდა და განჯისა და დვინისაკენ არ უშვებდა, რის გამო მათ სულტანთან უჩივლიათ კიდეც. სავაჭრო უთიერთობა საქართველოს ამ დროს შორეულ აღმოსავლეთთან, ცენტრალურ აზიასა და ინდოეთთანაც, პქონდა. ეს ურთიერთობა ორი გზით ხორციელდებოდა: ერთი იყო ე. წ. ხუმარ-მაჯარის სატრანზიტო გზა, რომელიც დღევანდელი სოხუმიდან იწყებოდა, კლუ-ხორის უღელტეხილით გადადიოდა ჩრდილოეთ-ქავკასიაში და თერგის გასწვრივ მიემართეობდა იტილის ან ვოლგის შესართავისაკენ, საიდანაც ცენტრალურ აზიაში გადადიოდა. დიდ-ვაჭრის ზანქან ზორობა-

ბელის საქმიანობა თამარის დროს და ჩრდილოეთთან მისვლა-მოსვლა
და კავშირებული უნდა ყოფილიყო ამ გზასთან. მეორე ასეთს გზას
წარმოადგენდა რიონისა და მტკვრის სავაჭრო ტრაქტი, რომელმაც
ძველი, რომაელთადროინდელი, მნიშვნელობა სწორედ ამ პერიოდში
აღიდგინა. ამ ტრაქტის აღდგენას ხელი შეუწყვეს იტალიის ქალაქების
მა, რომელთაც წილად სვდათ ვაჭრობის განვითარებისა და აღმო-
სავლეთთან სააღებ-მიცემო ურთიერთობის გაჩაღების ინიციატივა სა-
შუალო საუკუნეებში. მეორობმეტე საუკუნიდან ისინი კავშირს აბშენ
კასპიისიქითა მხარესა და ინდოეთთან უმთავრესად რიონ-მტკვრის
ხეობით, როგორც უმოქლესი და უადვილესი გზით. აღნიშნულმა
გზებმა საქართველო აქტიური წევრი გახდა მსოფლიო სავაჭრო
ორომ-ტრიალისა და იმდენად გააძლიერა აქ ვაჭართა მნიშვნელობა,
რომ ისინი სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზედაც კი ახდენენ გა-
ვლენას. სავაჭრო კაპიტალის ზეგავლენით ქართულმა ფეოდალიზმა,
როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ცენტრალიზირებული ხასიათი მიიღო
და გამოიწვია შექმნა აბსოლუტური მონარქიისა, რომელიც მნიშვნე-
ლოვან როლს თამაშობდა წინააზიის საეთრაშორისო პოლიტიკაში.

ქლიერი, ორ ზღვას შორის გადაჭიმული მონარქიული სახელ-
მწიფო, სოციალ-ეკონომიკი დუღილის პროცესში ჩამოყალიბებული,
თავის მხრით უდიდეს გავლენას ახდენდა ეკონომიური ცხოვრების
აყვავებაზე. შიგნით შედარებით მოწესრიგებული, გარეშე მტერთა
თავდასხმა-მძლავრობისაგან უზრუნველყოფილი და მოსვენებული, ის
უკეთ პირობებს ჰქმნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ჩვენ უკვე
გვქონდა ლაპარაკი, თუ რა შედეგებს მიახწია ამ დროს ვაჭრობამ,
რომლის განვითარებისათვის გაჭყავდათ გზები, აშენებდენ ხიდეებს,
ქარვალსებს და სხვ. დაწინაურდა ამასთან ერთად ხელოსნობის სხვა-
დასხვა დარგი, გიგანტური ნაბიჯით წავიდა. წინ საქალაქო ცხოვ-
რება, მაგრამ დომინანტი სახალხო მეურნეობაში მაინც მიწათმოქმე-
დებას ეკუთვნოდა, რომლის განვითარებისათვის გაჭყავდათ სხვადა-
სხვა სისტემის არხები. მიწათმფლობელობა და მიწათმოქმედება იყო
მთავარი ბაზა, რომელზედაც დამყარებული იყო ფეოდალურის ტრუქ-
ტურა ქვეყნისა. მიუხედავად ყველა ამისა, დაკვირვებული თეატრი
შეამჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიური ქლიერება იმდენად საკუთარი
საწარმოო ძალების განვითარებაზე არ ყოფილა დამყარებული, რამ-
დენადაც გარედან შემოსულ რესურსებზე, იგულისხმება სამხედრო
ალაფი და დაპყრობილი ქვეყნებიდან აღებული ხარკი. საქართველოს
არ ჰქონდა თავისი წარმოებით შექმნილი საქონლისა და ფულის ექ-
ვივალენტი და ეს ნაკლულევანება მას აღნიშნული წყაროებით უნდა

შეეცსო. ამას ნათლადა პგრძნობდა მბრძანებელი ფეოდალური კლასი, რომელიც მეფეებს, ხშირად მათი სურვილის წინააღმდეგ, მეზობლებს უსიარებს. ასე, მაგალითად, ლაშქარნი და დიდებულნი გიორგი მესამეს ეუბნებიან: „არა არს ლონე დარჩენისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა, სამინა მეფემან და მოილაშქრეს“ მახლობელი ქვეყნები (ქართ. ცხოვრ. მარიამ დედოფ. გვ. 382). „სხუა უამსა მოვიდეს მეფისა (თამარის) წინაშე მხარგელნი (ზაქარია და ივანე) და ვარამ გაგელი და მოახსენეს: ძლიერო ხელმწიფეო და შარავანდელთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო. იხილე და განიცადე სამეფო თქვენი და ცან სიმხნე და სიქველე სპათა შენთა; გულის ხმა ყავ, რამეთუ მრავალნი მხნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა შორის, რამეთუ არავინ არს წინააღმდგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არა დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი, არამედ ალვიმხედროთ ერაყს, რომ-გურს ზედა, რომელ არს ხორასანი, და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთით ძალი და სიმხნე ჩვენი. აწ უბრძანე სპათა საქართველოსათა მზა იყვნენ ლაშქრობად ხვარასანს. დალათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს მუნ ხვარასანს და ერაყს, არამედ ბრძანე ნიკოფისით დარუბანამდე, (რათა) აღიჭურნენ და მზა იყვნენ“ (გვ. 515-516). თანახმად ამ წინადადებისა, მართლაც დარბეულ იქნა თითქმის მთელი სპარსეთი. ამგვარი ლაშქრობის შემდეგ ქვეყანაში შემოდიოდა უამრავი, პირდაპირ საზღაპრო, სამხედრო დოვლათი და ალაფი. დაპყრობილი ქვეყნებიდან, თუ სწორია პროფ. ი. ჯავახიშვილის გამოანგარიშება, საქართველოს ყოველწლიურად შემოდიოდა ხარკის სახით 75 მილიონზე მეტი დირჟემი (საქართველოს ეკონომიკური ისტორია, გვ. 51-52, 1907 წ.). მაგრამ ამგვარი საფუძველი ეროვნული ეკონომიკის სიძლიერისა შემდეგში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სავალალო შეიქნა სახელმწიფოს ბედისათვის.

სოციალურმა დიფერენციაციამ, წინაპერიოდთან შედარებით, ლრმად და ფართოდ გაშალა ფესვები. ფეოდალური კლასის ორფრთას, საეროს და საეკლესიოს, ეხლა ემატება ვაჭართა წრე. ფულის ლირებულება, ვაჭრობის მნიშვნელობა ეპოქას სავსებით შეუგნია; ამით აიხსნება ის ყურადღება, რომლითაც ვაჭრები სარგებლობენ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელიც საფუძვლად ედო მათ დიფერენციაციას „დიდ“ და, იგულისხმება, „მცირე“ ვაჭრებად. მიუხედავად ამისა, ეს წრე ჯერ კიდევ ვერ ქცეულა კლასად ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ესე იგი კლასად „თავის-თვის“.

დიფერენციალის თავი უჩენია განსაკუთრებით ფეოდალური კლასის საერო ფენაში: იყვნენ მსხვილი, დიდმამულიანი, აზნაურები და აზნაურნი წვრილმამულიანნი, რომელთა რიგებიდან გამოსულნი უმთავრესად ავსებდენ „რაინდთა“ და „ლაშქართა“ კადრებს; იყვნენ „გვარიანნი“, ესე იგი მემკვიდრეობითი, ძველი შთამომავლობის, აზნაურნი და „უგვარონი“ — პირადი ღირსებითა და ქონებით ახლად აღზევებულნი; იყვნენ აზნაურნი „მემამულენი“, რომელნიც მამულით ცხოვრობდენ მხოლოდ, და „მსახურეულნი“, რომელნიც სახელმწიფო სამსახურსაც ასრულებდენ. ამ ჯგუფებს შორის წარმოებდა გამუდმებული, ფარული თუ ცხადი, ბრძოლა სახელმწიფო ორარქიაში გინა თუ სამეფო კაზხე უპირატესობისა და სახელმწიფო საქმეებზე გავლენისათვის.

მეორე ფრთას ფეოდალური კლასისას, როგორც ვიცით, შეადგენდა სამღვდელოება, ეკლესია. ეკლესიაში ამ პერიოდში თავისი განვითარების და ძლიერების უმაღლეს წერტილს მიახწია; ამისი მიზეზია: 1) ეკონომიური ბაზის განმტკიცება უამრავი მამულის, შეწირულების თუ სხვა საშუალებით, ხელში ჩაგდების გამო; 2) საბოლოოდ მოსპობა მე-11 საუკუნის ნახევარში ანტიოქიისაგან დამოკიდებულებისა, რომელიც მატერიალურად გამოიხატებოდა ყოველწლიური გადასახადის მის სასაჩვებლოდ გაღებაში; 3) პოლიტიკურად გაერთიანებასთან ეკლესიურადაც გაერთიანება მთელი საქართველოსი; 4) პოლიტიკური აბსოლუტიზმის გვერდით ეკლესიური აბსოლუტიზმის შემოღება საეკლესიო ცხოვრებაში პატრიარქის ტიტულის დამკვიდრებით მე-11 საუკუნის ნახევარში, რითაც საქართველოს ეკლესია საბოლოოდ გვერდში ამოუდგა — აღმოსავლეთის პატრიარქატებს; 5) „შეუვალობის“ ინსტიტუტის განმტკიცება, რითაც, შეიძლება ითქვას, ეკლესია „სახელმწიფო სახელმწიფოში“ იქცა; 6) მორალური „წმენდა“ თავისი რიგებისა, რომელსაც ეკლესია ახდენდა ამ პერიოდის კრებებზე. სახელმწიფო ცხოვრებასთან ერთად აღგილიაჟვს საეკლესიო ცხოვრების ღრმა და შეუჩერებელ ფეოდალიზაციას. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ეს პერიოდი არის პერიოდი ეკლესიის დემოკრატიზაციისა, რომელსაც საფუძველი თითქოს რუის-ურბნისის კრებამ (1103წ.) ჩაუყარა. საკმარისია გადაიკითხოთ ამ კრების აქტები, რათა დარწმუნდეთ ამ აზრის მცდარობაში; ამ აქტებში ერთი სიტყვაც არაა, რომელიც უარყოფდეს ფეოდალიზმის პრინციპს ეკლესიაში; პირიქით, აქ ჩვენ ვხედავთ ტენდენციას ამ პრინციპის განმტკიცებისა და გაწმენდისას. საქმე ისაა, რომ ულირსი პირები, რომელნიც ეკლესიის მსახურის იდგალს არ შეეფერებოდენ, იყვნენ, რასაკვირველია,

უფლისალურ წრეშიაც, საიდანაც გამოდიოდენ მღვდელმსახურთა, განსაკუთრებით უმაღლესი იერარქიის, კადრები. კრება ვმობს ასეთს პირებს და არა ფეოდალურ პრინციპს, ის აძვევებს თავის რიგებიდან ასეთს ულიტეს იერარქებს და არა ფეოდალურ პრინციპს ერთი სიტყვით, ეს იყო ცდა „თვითკრიტიკის“ გზით თავისი რიგების განმტკიცებისა და მდგომარეობის შენარჩუნებისა და არა ფეოდალურის ადგილზე დემოკრატიული პრინციპის გამეფებისა¹). ასევე უსაფუძვლოა და ისტორიულად გაუმართლებელი ის აზრიც, ვითომც სახელმწიფოს შეუჩერებელმა ზრდამ და საერთო ფეოდალური კლასის უაღრესად განვითარებამ ამ ხანაში ეკლესია მიიყვანა „მარცხამდე, ადრინდელი გავლენის, ზნეობრივი ავტორიტეტის, დამოუკიდებლობის და თვითმართველობის დაკარგვამდე“ (ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 15). არსაიდან ეს არ ჩანს. რამდენადაა დასუსტებული ეკლესია ამ პერიოდში, წინანდელთან შედარებით, ზემონათქვამსაც რომ დავანებოთ თავი, იქიდანაც დავინახავთ, რომ სწორედ ამ პერიოდში იქნა შემოლებული ცერემონიალი მეფის ეკლესიურად კურთხვისა, რომლის დროს ეკლესიის წარმომადგენელი არა მარტო „სცხებდა“ მეფეს, გვირგვინსაც კი ადგამდა თავზე (ეს პრეროგატივა ქუთათლებს ჰქონიათ). სწორედ ამ პერიოდში მოხდა ის, რომ მწიგნობართ-უხუცესად, რომლის დაუკითხავად, როგორც ფაზირთა უპირველესისა, არცერთი სახელმწიფო საქმე არ ჟეთდებოდა, გახდა სასულიერო პირი, — ჭყონ-

¹) ეკლესიის დემოკრატიული ფაქტის გასამართლებლად უჩვენებენ აგრეთვე იმასცაც, რომ ჯიორგი ათონელმა, საქართველოში ყოფნისას, უპატრონოდ დაშოვნილი ბავშვები მონობისაგან გამოიყანა... და ესევითართა შეურაცხთა საქმეთაგან მღვდლად უბიწოდ, მნიდ სარწმუნოდ ქრისტესა შესწირა". მაგრამ ის ბოდიში და ცდა ამ ფაქტის გამართლებისა, რომელსაც ძეგლში ვაპოულობთ, მაჩვენებელია იმისა, რომ ამ შემთხვევაში სმენე გვაქვს არა რაიმე ახალი სისტემის დაჭანოებასთან, არამედ აზხებული სისტემიდან „საკეირგველი“ გამონაკლისის მობოლიშებასთან, რომ ამ ფაქტით გიორგის ისე არ ჰქონია მხედველობაში ფეოდალების მაგიერ იერარქიაში შენები გაეცატონება, როგორც იოსების მონობისაგან და დაგითის მწყემსობისაგან მეუედ გახდომის მაგალითით თანაზე უროვე საქართველოს ტახტზე ბაგრატიოდების მაგიერ მონებისა და მწყემსების დასმა. ასეთი გამონაკლისი ჩატლების კოველთვის იყო; მოციქულმა პავლემ ერთ-ერთი მონაბეჭის დააყენა, მაგრამ ამით ის მონობის პრინციპს არ ამჟღვრებია რომში. გრიგოლ ხანძნთელის ერთეულთი მონასტრის წინამძღვარი, შემდევში ანჩის გვისკონი ზაქარია, ბავშობაში „მწყემსი იყო კრავთა კლარჯეთისა ქვეყანასა „შინა“, მაგრამ ეს გამონაკლისი არ არღვევდა იმ საერთო მოქლენას, რომ ამ ფროს იერარქიული პოსტები ფლითალებს ეკავათ, ხოლო „ნეტარისა მამისა გრიგოლის შენგულთა მონასტრებთა რყენებს მამასახლისნი წათესავის დიდთა ასწაურთა შვილნი“

დიდელი; მართალია, ვაზირთ-უხუცესად სასულიერო პირის გახდომის მიზეზი ჯერ გარევეული არაა, მაგრამ, მგონია არ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ამით გამოიხატებოდა იდეია ეკლესიის აუცილებელი და სწორუფლებიანი მონაწილეობისა სახელმწიფოს მართვა- გამგეობის საქმეში. „დამარცხებული და ავტორიტეტს მოკლებული“ ეკლესია ხელს უწყობს მონარქიის შექმნას და განმტკიცებას! ისიც იქამდის, რომ, როდესაც ბერძნების მიერ მოსყიდული ფეოდალური არისტოკრატია ბითუმად და ცალობით ჰყიდდა ტაოკლარჯვეთსა და მესხეთს, ეს კუთხე საქართველოს შეუნარჩუნა საბა მტბერავმა თავისი პოლიტიკური საზრიანობითა და გაბედული სამხედრო მოქმედებით (ქართ. ცხოვრება მარიამ დედოფ. გვ. 254-5). წელის შეწყობასთან ერთად ეკლესია ებრძვის კიდეც სახელმწიფოს „შეუვალობის“ პრინციპის დაცვისათვის და ამ ბრძოლიდან ის, როგორც დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარის და ულვ დავითის დროის შეტაკებებიდან ვიცით, ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოდის. რასაკვირველია, სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში ეკლესიაც შედიოდა, მატარებელი იყო უფრო მეტი ძალისა, მაგრამ ეს ძალა მას არ მოუპოვებია ეკლესიის დაძაბუნებითა და ავტორიტეტის დაკარგვით.

როდესაც ლაპარაკია საქართველოს სოციალ-ეკონომიურისა და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მეორე პერიოდში, არ შეიძლება დაწვრილებით არ შევჩერდეთ იმ მოვლენაზე, რომელსაც პატრონ-უმობა არ იყო ეწოდება და რომელიც დამახასიათებელია ამ დროის როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური ცხოვრებისა. პატრონ-ყმობა შემდეგი განვითარებაა წინაპერიოდში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა; ეს არის ფეოდალიზმის ის საფეხური, რომელსაც პრეკარულ-ბენეფიციური (საეკლესიო სფეროში-ხარისტიკარული) ან ქართული ტერმინოლოგიით, „შეწყალებითი“ სისტემა ეწოდება. ცნობილია ორი მთავარი სახე ბენეფიციის ან შეწყალებისა. პირველ-მდგომარეობს იმაში, რომ ერთი კაცი, უადგილ-მამულო ან მცირებულებისათვის, მიმართავს მეორეს, უფრო შეძლებულს, თხოვნით ან „აჯით“ მისცეს მას სასარგებლოდ მამული; ისიც იწყნარებს. მის აჯას და „იწყალებს“ მას თხოვნის ასრულებით. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც „შეწყალება“ უაჯოდ, უთხოვნოდაც ხდება ხოლმე; ეს მაშინ, როდესაც შეფეხ ან დიდებული ამათუიმ პირს ერთგულებისათვის, სამსახურისათვის ან რაიმე თვალსაჩინო დამსახურებისათვის უწყალობებს ადგილ-მამულს. პირველი სახის სისტემაში ოფიციალურ-იურიდიულ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონდა, არ იყო განსაზ-

ლოგოული არც დრო, არც პირობები მამულით სარგებლობისა, ყველაფერი დამოკიდებული იყო მწყალობლის კეთილგანწყობილობაზე და იმაზე, თუ რამდენად ასიამოვნებდა მას შეწყალებული და რამდენად დაიშახურებდა მის კეთილგანწყობილებას. ასეთი მდგომარეობა ფართე ასპარეზს უშლიდა მწყალობლის თვითნებურ საქციელს, მას შესაძლებლობა ეძლეოდა ისეთი სამსახური მოეთხოვა თავისი კლიენტისაგან, რომელიც ყოველგვარ ზუსტად ფორმულირებულ პირობებზე უარესი იყო. მეორე სახე ბენეფიციისა ან შეწყალებისა გამოიხატებოდა იმაში, რომ მდგომარეობით სუსტი და ეკონომიურად შეუძლო, მფარველობისა და მზრუნველობის მოპოების მიზნით, თავს შეაფარებდა უფრო ძლიერსა და შეძლებულს, რომელსაც ამასთანავე ერთად გადასცემდა ხოლმე მთელს თავის მამულს; მართალია, ეს მამული ამის შემდეგაც მის პირად სარგებლობაში ჩერებოდა, მაგრამ არა როგორც მესაკუთრისა, არამედ როგორც ზემოთაღნიშნული „შეწყალებულისა“. ორსავე შემთხვევაში მწყალობელი ხდებოდა პატრონად, შეწყალებული კი ყმად.

დამახასიათებელი თვისება პრეკარულ-ბენეფიციური სისტემისა მდგომარეობდა იმაში, რომ მამულის პატრონად, მესაკუთრედ, თუ-გინდ ის საშვილიშვილოდ მისცემოდა ყმას, მწყალობელი რჩებოდა; თუ შეწყალებული მის ან მისი მემკვიდრის ნდობას ვერ გაამართლებდა ანადა სახელმწიფოს რესურსები შემოაკლდებოდა, ნაწყალობევი მამულის ჩამორთმევა ყოველთვის შესაძლებელი იყო. ამ ნიაღავზე წარმოიშვა ჩვეულება, რომლის ძალით პატრონის შეცვლისას ხდებოდა ხოლმე შეცვლა ან ხელახალი დამტკიცება შეწყალების სიგელისა.

პატრონები ურთიერთობის წარმოშობა გამოწვეული იყო ჩვენში სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებითა და გართულებით. სახელმწიფოს გაერთიანებისა და გაძლიერება-გაფართოების პროცესმა, ამ პროცესში მეფისა და სამშობლის წინაშე სხვადასხვა ხასიათის დამსახურებამ ძალზე ვამრავლა „შეწყალებულთა“ რიცხვი; თან ცხოვრების გართულება, დაუნდობელი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა შიგნით, შეტაკებანი გარეშე მტრებთან, რითაც ასე მდიდარია ეს ეპოქა, აუცილებელს ხდიდა, რათა უძლური და ნაკლებად შეძლებული შეკედლებოდა უფრო ძლიერს და მისი მფარველობა ეძია. მეფობის ინსტიტუტი, აბსოლუტური მონარქიის კარის ბრწყინვალება და მრავალრიცხოვნი შტატი, რაც მისაბაძი გახდა ფეოდალური არისტოკრატიისათვის — ერთის მხრით; კულტურის ზრდასთან ერთად ცხოვრების

საჭიროებათა და ფუფუნების საგნეზზე მოთხოვნილებათა ზრდა, რა-
საც ხელს უწყობდა ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარე-
ბა — მეორე მხრით; მოსახლეობის გამრავლებით და მჭიდროდ და-
სახლებით გამოწვეული მიწის სიმცირე, რაც გლეხობას აიძულებს
მემამულის ყოველგვარ პირობას დასთანხმდეს არსებობის შენარჩუ-
ნებისათვის — მესამე მხრით, — ბუნებრივად უწყობდა ხელს „შეწყალე-
ბულთა“ გაძლიერებულ ექსპლოატაციის ფორმების გაჩენას. ეს ყვე-
ლაფერი ნოუიერ ნიადაგსა ჰქმნიდა წინაპერიოდის პრიმიტიულ ურ-
თიერობათა უფრო რთული ურთიერთობითი სისტემის შექმნისათვის,
რომელმაც გამოხატულება პოვა პატრონ-უმობაში, მთავარ ძარღვს
პატრონ-უმური ურთიერთობისას, მისს, ასე ვთქვათ, ლეიბ-მოტივს,
შეადგენს ყმის სამსახური პატრონის წინაშე. ეს „სამსახური“,
გაძლიერებულს, შედარებით წარსულთან, ექსპლოატაციაზე დამყა-
რებული, სხვადასხვა სახისა და შინაარსისა იყო, მაგრამ ის უმთავ-
რესად გამოხხატებოდა პატრონის „ხლებასა“ და სურვილის შესრუ-
ლებაში, მისი ინტერესების დაცვაში ყოველი საშუალებით, თვით
სიკვდილამდეც კი. ამ „სამსახურის“ ნიადაგზე ჩამოყალიბდა „რაინდ-
თა“ კორპორაცია, რომელმაც თავისი კოდექსით ხელი შეუწყო
„ქალის კულტის“ შექმნას ჩვენში და თავისებური ელფერი მისცა
ფეოდალური ცხოვრების მსვლელობას; წარმოიდგინეთ, ეკლესიის
შევეროშიაც კი, რავდენადაც ამ კორპორაციაში შესვლა ხდებოდა
არა მარტო „შეწყალებითა“, როგორც ისტორიკოსი ამბობს, არამედ,
საფიქრებულია, ეკლესიის „დალოცვითა“ -ც.

პატრონ-უმობა საერთო მოვლენა შეიქნა იმდროინდელი ცხოვრე-
ბისა; იშვიათი იყო ისეთი ადამიანი, რა მდგომარეობისაც არ უნდა
ყოფილიყო ის, რომელიც პატრონ-უმური ურთიერთობის გარეშე
დარჩენილიყოს, წარმოიდგინეთ — მონათა წრეც კი ვერ ასცდენია მას,
როგორც ეს ჩანს ვეფხის ტყაოსნის შემდეგი აღილიდან:
„როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრათასისა.“ განსხვავება მხოლოდ
იშვიათი მდგომარეობდა, რომ სოციალური კიბის უმაღლეს სფერულზე
მდგომი ყველასი პატრონი იყო და არავისი ყმა, უკანასკნელ საფეხურშე
მდგომი გლეხი კი ყველასი ყმა და არავისი პატრონი. ყოველ შემთხვე-
ვაში ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: როგორიც არ უნდა ყოფილიყო,
პატრონ-უმობა მაინც ბატონ-უმობა არ იყო; როგორც ზოგიერთებს
ჰგრინა. ბატონ-უმობა, როგორც მიმაგრება გლეხისა მიწაზე და
მისთვის. თავისუფალი მოძრაობის უფლების წართმევა, ვთიქრობ,
საქართველოში არ უნდა ყოფილიყო ფეხმოვიდებული, სანამ აქ საბო-
ლოოდ გამტკიცებულმა მონაცემთა ბატონობამ თავისი ეკონომიკი

პოლიტიკით სრული განადგურება არ გამოიწვია სახელმწიფოსა
გლეხის მიწაზე მიმაგრება შედეგია უმთავრესად მუშა-ხელის ნაკლე-
ბობისა; მე - 12 საუკუნეში, როდესაც მცხოვრებთა რიცხვი 8 მილიონს
აღემატებოდა და როდესაც მუშა-ხელის კადრებს ურიცხვი, მონაც
ქცეული, სამხედრო ტუვები ავსებდენ, საჭირო არ იქნებოდა გლეხი
მიწაზე მიმაგრება.

ასეთი იყო ზოგადად სურათი სოციალ - ეკონომიკურის დ
პოლიტიკური ცხოვრებისა მეორე პერიოდის საქართველოში. საწარ-
მოო ძალთა განვითარებამ, სახალხო მეურნეობის დაწინაურებამ,
სოციალური ურთიერთობის გართულება-გალრმავებამ და პოლიტიკური
ცხოვრების უმაგალითო სიმაღლეზე ასვლამ გამოიწვია არააჩვეულებ-
რივი აყვავება კულტურულ - ლიტერატურულ სფეროში, რასაც ხელს
უწყობდა აგრეთვე ამ დროს გაშენებული საზღვარგარეთული სამო-
ნასტრო ცენტრები (სინას მთა, ათონი, შავი მთა, ჯვარის მონასტერი,
პეტრიწონი), საიდანაც უხვეად შემოდიოდა საერთაშორისო ღირსშე-
სანიშნავი კულტურულ - ლიტერატურული მონაბოვარი. ამ პერიოდი
ჩვენი ლიტერატურისას სამართლიანად ეწოდება „კლასიკური“ ან
„ოქროს“ ხანა. საქმე ისაა, რომ სასულიერო — ლიტერატურული შე-
მოქმედება, რომელიც უკვე პირველი პერიოდის გასულს საქმაოდ ფეხ
მომაგრებულია, გიგანტური ნაბიჯით მიღის წინ და, გამდიდრებული
ახალი მიმართულებითა და ჟანრებით, როგორიცაა მეტაფრასტიკა,
პიმნოგრაფია, ისტორია, ფილოსოფია, იურისპრუდენცია, პოეზია-
თავის განვითარების კულმინაციურ პუნქტს აღწევს არა მარტო და
არა იმდენად ნათარგმნს, რამდენადაც ორიგინალურს ძეგლებში, ამასთან
ერთად ამავე პერიოდში ფითარდება შინაარსით მდიდარი და ფორმით
განუმეორებელი საერო პოეზია, რომელიც ვეფხისტეოსნი
სახით თავის ბრწყინვალების ზენიტში შედის. „კლასიკური“ პერიოდი
ქართული მწერლობისა არ შეიძლება დაწყებულ იქნეს მეათე საუკუ-
ნეზე აღრე, ვინაიდან ტაო - კლარჯეთის შეკლა, ეს საფუძველმდებელი
ქართული ლიტერატურული კლასიკიზმისა, მართალია მერვე - მეცხრე
საუკუნეებში ჩაისახა, მაგრამ ლიტერატურულ მუშაობას მეათედან
შლის, მეცხრე საუკუნეში ის ჯერ კიდევ იმდენად სუსტია, რომ აქ
ვერ მოუხერხებიათ დაწერა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“,
როგორც უკანასკნელშია ნათქვამი. აქ ამდროს გადაწერაც კი ვერ
მოხერხდა ისეთი ძეგლისა, როგორიცაა 864 წლის „მრავალთავი“,
რომელიც გრიგოლ ხანძთელის შეგირდებმა პალესტინაში, საბას ლაგ-
რაში, დაამზადეს. არ შეიძლება ეს პერიოდი მეათე საუკუნეზე გვიან,
მეთერთმეტეში, როგორც ამდეხან იყო მიღებული, იქნეს დაწყებული,

კონაიდან „კლასიკური“, ამ პერიოდს მარტო იმტომ არ ეწოდება, რომ, როგორც ფიქრობენ, მეთერთმეტე საუკუნეში საერთო ლიტერატურა იწყება. განა ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიაში ბევრია უფრო შეტაც „კლასიკური“ ძველები, ვიდრე „ცხოვრება“ გრიგოლ ხანძთელისა გინა თუ ორიგინალური ჰიმნები მიქელ მოდრეკილის კრებულისა? მაშინ რა უყოთ ან სად წავილოთ მეათე საუკუნე? არ შეიძლება ამ პერიოდის დასასრული დავდოთ არც მე-12 საუკუნის ბოლოს, არც შე-13 საუკუნის მეორე ათეულის გასულს, მონლოლების პირველი შემოსევის წელს, როგორც ეს მიღებულია ჩვენში. მართალია, ჩვენი ისტორიის კლასიკურ პერიოდს მონლოლებმა მოუღეს ბოლო, მაგრამ არა მაშინვე, პირველი შემოსევისას, არამედ გაცილებით გვიან, არაუადრეს სამოციანი წლების დამდეგისა. კულტურის ფორმები იშლება მას შემდეგ, რაც დაიწყო „მდგომარეობის“ რღვევა, და ეს შლა - რღვევა ლიტერატურაში უფრო გვიან იჩენს თავს, ვიდრე ვთქვათ, პოლიტიკაში. ასე იყო საჭართველოშიაც: მონლოლების შემოსევის შემდეგ, სამოციანი წლების დაწყებამდე, როდესაც მონლოლო კუნომიურმა პოლიტიკამ გარდაუვალი ინტერვალი დაამყარა ძველსა და ახალს შორის, კიდევ გრძელდება კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედება; ამის დამადასტურებელია მთელი რიგი ამ ხანაში სახელით ცნობილი პირველხარისხოვანი მწერლებისა.

იდეოლოგიური ჰეგემონია აღნიშნულ პერიოდში ეკუთვნოდა თავისთავად იგულისხმება, საერთო და სასულიერო ფეოდალურ კლასს, რომლის ინტერესებსაც ემსახურებოდა მწერლობა. ამ კლასიდან გამოსული ინტელიგენცია იძლეოდა მწერლებს, ეგვენ კლასი, მისი სამხედრო - რაინდული და სასულიერო-იერარქიული წრეები, აგრეთვე უძველია, ვაჭართა და კვალიფიციურ ხელოსანთა კორპორაციები იძლეოდენ მჯითხველებსაც. იდეოლოგიაში დომინანტური ადგილი ეკავა ფილოსოფიას, რომელიც მძლავრად ლვივდება და ვირარღება სწორედ მიმდინარე პერიოდში. სჭარბობდა რელიგიურ — სქოლასტიკური ფილოსოფია, რამდენადაც ორი მთავარი ფილოსოფიური ნაკადი, — დასავლური (ბიზანტიური) — ნეოპლატიზმი, და აღმოსავლური (სპარსულ — არაბული) — სუფიზმი, ან ჟელიგიური წყაროდან მოდია და უშუალოდ (სუფიზმი მაჰმადიანობიდან), ან რელიგიური აზროვნების გასამტკიცებლად იყო გამოყენებული (ნეოპლატიზმი ქრისტიანობაში). ნეოპლატონური ფილოსოფია, რომლის ტიპიური წარმომადგენელია ძოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და იოანე ჭიმჭიმელი, დამკვიდრებულია უმთავრესად გელათის, იყალთოს და გრემის აკადემიებში, რომელნიც ჩვენში თამაშობენ საშუალო საუკუნეთა ევრო-

პიული უნივერსიტეტების როლს. სუფიური ფილოსოფია კი გზას იყაფავს, სხვათა შორის, საერო მხატვრული ლიტერატურის სპარსული ენიდან ნათარგმნი ძეგლების საშუალებითაც. ფილოსოფიური აზროვნება და მწერლობა მიზნად ისახავს კლასიური ბატონობის კონსერვაციას, ამიტომ ის იჩენს ტენდენციას დაეყრდნოს უმთავრესად წარსული დროის ავტორიტეტთა აზრებს და ციტატებს. სწორედ ამით აისახება ეპოქის დამახასიათებელი მოვლენა: გლოსატორობა სამართალში (არსენ იყალთოელი), კომენტატორობა ფილოსოფიაში (იოანე პეტროვი) და თარგმანობა თეოლოგიაში (ეგზეგეტიკური შრომები ამ ეპოქისა). წარსული დროის „ბრძენთა“ და „ფილოსოფოსთა“ აზრებს, როგორც ავტორიტეტს, ხშირად მიმართავს, როგორც ვიცით, ასეთი თხზულების ავტორიც, როგორიცაა ვეფხისტყაოსანი.

ის სოციალური დიფერენციაცია, რომელიც მოხაზული იყო ზემოთ, ნიადაგს ჰქმნიდა იდეოლოგიური დიფერენციაციისათვისაც. ფეოდალური კლასი, როგორც დავინახეთ, ორ მთავარ ფრთად იყო გაყოილი, სასულიეროდ და საეროდ, რომელთაც, საერთოსთან ერთად, განსხვავებული ინტერესებიც ჰქონდათ. ამიტომ იდეოლოგიურ სფეროში ორ მთავარს, ერთომეორის საწინააღმდეგო ნაკადს ვხედავთ: რელიგიურს — ზეციურს და საეროს — ამქვეყნიურს. რელიგიური იდეოლოგიის მესვეურად გამოდის უმთავრესად ექლესია — სასულიერო წოდება, რაც თავისითავად გასაგებია, საერო — ამქვეყნიურისა კი — საერო ფეოდალური წრეები. გარეშე მტრებისაგან მოსვენებული და პოლიტიკურად გაძლიერებული, შინ დაგროვილი სიმდიდრით და გარედან შემოტანილინადავლით განლაღებული, საქართველო ეკონომიკურად გამაგრდა; ამან ოპტიმისტური განწყობილება დაბადა შესაფერ წრეებში, უმთავრესად საერო ფეოდალურ ფრთაში, ამიტომ შენელდა გაჭირვება — დაკნინებისაგან გამოწვეულ პესიმიზმთან დაკავშირებული ასკეტიზმი და ასკეტიკური მიმართულება ცხოვრებისა. ამ წრეებში, კლასიური ბრძოლის პირობებში, თვალი, გული და სული ზეციური სამყაროდან ქვეყნად ჩამოუშვა, შეიგნო ამქვეყნიური ცხოვრების ლირებულება და მშვენება, იმაშიაც დაინახა იდეალი, რომელიც ადამიანის დანიშნულებას შეშვენის, ერთი სიტყვით, შეიმუშავა ამქვეყნიური იდეალები და მისწრაფებანი (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტორია II, 8). ორმა სხვადასხვა იდეოლოგიამ ამ ეპოქაში გამოხატულება პოვა მწერლობის ორს სხვადასხვა სტილში: სასულიეროსა და საეროში. სასულიერო სტილის ემბლემად გვივლინება ამ ეპოქაში მძლავრად შემოჭრილი ბიზანტინიზმი, როგორც გარკვეული კულტურული ტიპი, რომლის განსაკუთრებული აყვავება —

ანვითარება ჩვენი მეორე პერიოდის დასაწყისს, მეცხრე - მეათე საუკუნეს, ემთხვევა; საერო სტილის ემბლემად კი — მაჭმადიანური ახალ - სპარსული კულტურული ორიენტალიზმი, რომელიც, როგორც ცნობილია, აგრეთვე მეცხრე - მეათე საუკუნიდან იჩენს თავს.

სოციალ - ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების აუვავებით შექმნილმა ლალმა და ოპტიმისტურმა სოფლმხედველობამ, რომელიც სრულ კონტრასტს წარმოადგენდა პირველი პერიოდის მისტიკური და პესიმისტურ — მელანქოლისტური სულისკვეთებისას, თავი იჩინა არა მარტო საერო ლიტერატურაში, არამედ სასულიეროშიც, მის ორსა-ვე უანრში: ეპოსსა (ჰაგიოგრაფია) და ლირიკაში (ჰიმნოგრაფია). თუ პირველი პერიოდის მარტვილები, ზეციური სასუფევლის დამკვიდრების მიზნით, სისხლსა ღვრიდენ და ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე უარს აძბობდენ, მეორე პერიოდის წმინდანები, რომელიც „ქვეყნისა ანგე-ლობის და ზეცისა მოქალაქის“ ლოგუნგს აყენებდნენ, ზეციური სასუ-ფევლისაკენ გზას იკაფავენ არა სისხლის დანთხევით და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელის აღებით, არამედ მისი სასუფევლისებრ გარდაქმნით და გადაკეთებით. არც ისე დიდი ცოდნაა საჭირო პირველი პერიო-დისა და მისი მწერლობის ბუნებისა, რომ ვისმე აზრად მოუვიდეს, მაგალითისათვის, გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ ამ პერიოდისა-თვის მიკუთვნება. და ეს არა იმიტომ მარტო, რომ ამ „ცხოვრებაში“ „სახელოვანი ჭაბუკისა“ და „ფრიად შეურაცხი“ ადამიანის დაპირ-დაპირებით („რამეთუ ჭაბუკი ვარ სახელოვანი და რომელსა ვსდევ ფრიად შეურაცხა არს“) ხაზგასმულია ნიშანდობლივად მეორე პერიოდის „მოყმეთა,“ resp. „ჭაბუკთა“ ინსტიტუტის ჩანასახი, არამედ იმი-ტომ, რომ გრიგოლი და მისი თანამოღვაწენი, ტაო — კლარჯეთის „უდაბნოთა ქალაქ მყოფელნი,“ არამც თუ ხელს არ იღებენ ამ ცხოვ-რებაზე, პირიქით, აქეზებენ „მეფეთა აღშენებად ქალაქთა სოფლე-ბითურთ“, და სცდილობენ მათი საშუალებით მოაწყონ და მოაწესრი-გონ ცხოვრება, რათა შემდეგ ხელი დაადონ მას და პეგემონური როლი ითანაშონ იმაში. ცნობილია ამ ძეგლში სარწმუნოებრივ - ზნეობრივი ხასიათის კოლიზია ზენონის დის სამიჯნურო ხლართებისა; პირველი პერიოდის წმინდანი ამ ხლართებს სისხლის დანთხევით და თავის დადებით გახსნიდა, ზენონი კი ამის მაგიერ ბერად შედგება და ამბობს: „მონაგებთა დატევება სისხლთა დათხევას ემზგავსების. “ ავილოთ ეხლა ლირიკა, — ჰიმნოგრაფია. თუ მერვე — მეცხრე საუკუნე-თა ჰიმნოგრაფები აბო ტფილელს, მაგალითად, აქებენ მისი მოწამე-ობრივი მხოლოდ ღვაწლისათვის და ამბობენ: „გიხაროდენ, სანატ-რელო მოწამეო, რამეთუ მიემზგავსე მოციქულსა პავლეს, მსგავსადვე

შისსა თავი მოგეკუეთა და მარტვილთა თანა გვირგვინოსან იქმენ „(ითან საბანისძე), მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფები ხაზს უსვამენ აბოს მოლვაწეობის ამქვეყნიურ მნიშვნელობასაც, როდესაც ხმობენ: „გი-ხაროდენ მეფეთა სიხარულო! შენ საღმრთოითა ნათლითა განანათლენ ქართლსა მყოფნი. არეთა შინა ქართლისათა მზეებრ გამობრწყინდა ნეტარი აბო და პნათობნ ქართლისა მკიდრთა. ევედრე ქრისტესა, რათა დაამხუნეს მტერნი აგარეანნი და ძლევა მოსცეს მეფესა ჩუენსა“ (მიქელ მოდრეკილი). გინა — არსენ ბულმაისიძეს ერთერთს თავის ჰიმნში სარწმუნოებრივი განცდანი ციდან ქეყანაზე გადმოაქვს და საზეიმოდ ღალადებს: „იხარებდ ღლეს, იხარებდ ქართველთა სამეუ-ფოო, რამეთუ არასადა უმრწემეს გყო შენ ქრისტემან..; ერნო ქართ-ლისანო, გიხაროდენ და აღიბყრენით ხელნი და მაღლობა შესწირეთ ხატსა ამას, რამეთუ ესე არს სამეუფოისა ამის სიმტკიცე... და ხშობდით: მოანიჭე მეფესა ჩუენსა ძლევა.“

ერთი სიტყვით, ეპოქის კულტურულ-პოლიტიკურმა სტილმა გამოხმაურება პოვა სასულიერო მწერლობაშიაც კი, სახელდობრ ეპოსში, — ჰაგიოგრაფიაში, — წინანდელი მარტვიროლოგიის ნაცვლად ე. წ. პოლიტეიის (ცხოვრება, მოქალაქობა) გაბატონებით, ხოლო ლირიკაში, — ჰიმნოგრაფიაში, — აღტყინებული სამოქალაქო-პოლი-ტიკური ჰანგების შემოტანით.

ამრიგად, სასულიერო მწერლობის მომდევნოდ და მის შედე-გად ამ პერიოდში ჩნდება და ვითარდება საერო მწერლობა. რა იყო მიზეზი იმისა, რომ საერო მწერლობა სწორედ ამ პერიოდში დაიწყო? სოციალ-ეკონომირი და პოლიტიკურ-კულტუ-რული განვითარება და აყვავება საქართველოსი, რომელსაც ამ პერიოდში ვხედავთ.

საჭიროა ამ ზოგადი დებულების დეტალიზაცია და კონკრეტი-ზაცია, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ის სქემატიზმი და მეხანი-კიზმი, რომელიც ზოგიერთ თანამედროვე მკვლევართა „მარქსისტულ ცდებს“ ანტიმარქსისტულად ჰქონდის. ამ მკვლევართა სქემა ძალიან მარტივია: მეთერთმეტე საუკუნემდე, როდესაც საქართველოში სასუ-ლიერო იდეოლოგია ბატონობს, ჩვენ მხოლოდ სასულიერო მწერ-ლობა გვაქვს, აღნიშნული საუკუნიდან კი ხდება ეკლესიის დაცემა-ჩამოქვეითება და საერო ფეოდალური საზოგადოებრივობის დაწინა-ურება, რაც იწვევს საერო იდეოლოგიისა და მწერლობის აღმოცე-ნებას. აღარ შეგჩერდები იმაზე, რასაც ზამოთაც გაუსვი ხაზი, სა-ხელდობრ: მართალი არაა ისტორიულად, თითქოს 11-13 საუკუნეებში ჩვენში ეკლესია დაცემულიყოს და დაბეჩავებულ-დაკნინებულიყოს; მა-

გრამ, ამასაც რომ დავანებოთ თავი, ამ სქემით ისე გამოდის, თით-
ქოს საერო ლიტერატურის არსებობა შესაძლებელი იყოს მხოლოდ
რელიგიის შესუსტებისა და საეკლესიო ორგანიზაციის დაქვეითებისას.
მაშინ როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ, მაგალითად, სპარსეთში,
სადაც მაჰმადიანური ფანატიზმი მკაცრი სალტეებით ჰქოჭავდა აღა-
მიანის აზროვნებასა და ყოველდღიურსა და ყოველგვარ ცხოვრებას,
ჩვენ ვხედავთ შეუდარებელს ფორმით და შინაარსით საერო ლიტე-
რატურას, რომელიც მასაზე ჩაიკეთა წყარო იყო ჩვენი საერო ლი-
ტერატურის? ¹⁾ რელიგია და ეკლესია საერო მწერლობის არსებობას
ხელს უშლის და აფერხებს საწარმოვო ძალთა პრიმიტიულობა-განუ-
ვითარებლობისას და საერთოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად
გაჭირვებულ-შევიწროებული ცხოვრების პირობებში; ასე რომ არ იყ-
ოს, დასავლეთი ევროპის ბურჯუაზიულ-კლერიკალურ ქვეყნებში საე-
რო ლიტერატურას დღესაც არ ექნებოდა ცოტად თუ ბევრად მნი-
შვნელოვანი ადგილი, ვინაიდან სარწმუნოებრივი გრძნობა იქ ჯერ
კადევ საჭმალი ძლიერია. საერო მწერლობა-ჩვენში არც ისე დაშო-
რებულია სასულიერო მწერლობისაგან, როგორც ეს პირველი შეხე-
დვით შეიძლება ეჩვენოს კაცს; ის დიალექტიური განვითა-
რებაა სასულიერო მწერლობისაც და კანონზომიერად
წარმოიშობა მისგან. ვიღჩე ამ განვითარებისა და წარმოშო-
ბის პროცესს ვაჩვენებდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ბაზა.
რომელზედაც შესაძლებელი იყო ასეთი წარმოშობა და განვითარება.
სასულიერო მწერლობის საეროში გადასვლა, საზოგადოდ — საერო
ლიტერატურის წარმოშობა, შესაძლებელი იყო მკეთრად გამომულავ-
ნებულ კლასიურ წინააღმდეგობათა პირობებში, რომელთაც (წინააღ-
მდეგობათ) ადგილი ჰქონდათ კულტურულ-ეკონომიკურად წელმო-
მაგრებულს და პოლიტიკურად დამოუკიდებელს ფეოდალურ-რაინ-
დულ აბსოლუტურ სახელმწიფოში. კლასიურ წინააღმდეგობათა გაჩე-
ნისა და მათი როლის შესახებ მე უკვე მქონდა ზემოთ ლაპარაკი:
კულტურული ნიადაგი რომ საჭირო იყო საერო ლიტერატურის წარ-
მოშობისათვის, ეს თავისთვალ ცხადია და კომენტარიებს, ვფიქ-
რობ, არ თხოულობს. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ საჭირო იყო ამისა—

¹⁾ აქ უნდღიუთ მაგრავება აკად. ბ. მარტის შემდეგი სიტუაციი: * в
питетущую эпоху грузинской светской литературы религиозное чувство
не вырождалось в мертвенно исключительное настроение, люди были
сами по себе очень сильны в живой вере... Вера в бога в ту пору не
исключала служения искусству, в частности изящной литературе, а скорей
подразумевала" (Древне-грузинские одописцы, ТРАГФ IV, 34 შენიშვ.).

თვის ეკონომიურად წელში გამრთული და პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. მართლაც, ეკონომიური და პოლიტიკური ექსპლოატაცია და აქედან გამომდინარე სიღატაკე და სიღარიბე, გაჭირვება და დაბეჩავება ადამიანის ფსიქოლოგიაში იწვევს სარწმუნოებრივ, ასკეტურ-მისტიკურ სულისცვეთებას და მის შეგნებას ამ ქვეყნის სინამდვილიდან ზეციური სამყაროსაკენ წარმართავს, მაშასადემე—ზელს ვერ შეუწყობს საერო ლიტერატურის იდეალების გაჩენასა და ზრდას. ადვილი გასაგებია ისც, თუ რატომ იყო საჭირო საერო ლიტერატურის აღმოცენებისათვის, რომელიც სადევ-გმირო და სატრაფიალო მოტივებით დაიწყო, ფეოდალურ-რაინდული ნიადაგი: ტრაფობა-მიჯნურობისა და გმირობა-რაინდობის კულტის შექმნა მხოლოდ ფეოდალურ-რაინდულ საზოგადოებაში იყო შესაძლებელი. ძნელი მისახვედრი არც ის არის, რატომ იყო საჭირო მხატვრული საერო ლიტერატურის აღმოცენება-განვითარებისათვის აბსოლუტური მონარქი და მისი სასახლე. მონარქის კარი, მისი სასახლე შეიქნა მთავარი ცენტრი ამდროინდელი ლიტერატურისა, ის იყო ფოკუსი, სადაც თავს იყრიდენ მესვეურნი და მატარებელნი იმ იდეოლოგიისა, რომლის მხატვრულ გაფორმებას საერო მწერლობა იძლეოდა. აქ, მეფეთა კარზე, თავმოყრილი იყო ყველა ლიტერატურული ძალები; ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ყველა, ცოტად თუ ბევრად ცნობილი, მწერლები, რომლებიც, გადმოცემით, რაიმე დიდი თანამდებობის მატარებელნი იყვნენ მეფის კარზე, ცხოვრობდენ სასახლეში, როგორც კარის მგოსნები; ამიტომაც ჩვენმა ლიტერატურამ აღნიშნული ზანისამ მიიღო ხასიათი კარის მწერლობისა ყოველივე მისი დამახასიათებელი თვისებით (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 15). მეფის კარის ბრწყინვალებასთან და მის კეთილდღეობა-წარმატებასთან იყო დაკავშირებული საერო ლიტერატურის წარმატებაც. ფეოდალური ლიტერატურის მეორე ჰერიონის დაწყება მეთე საუკუნის დამდეგიდან, თუ გნებავთ, ამ მოსაზრებითაც შეიძლება გამართლებულ იქნეს: შეიქნა თუ არა მეფის სასახლე, გაჩნდა ფესვები საერო ლიტერატურისა, რომლის ზრდა და განვითარება ამ სასახლის ზრდა-განმტკიცებასთან მიმდინარეობს პარალელურად.

ის ის პირობები, ის ბაზა, ურომლისოდ შეუძლებელი იყო სასულიერო მწერლობის საეროში გადასვლა. ესლა ვაჩვენოთ პროცესი ამ გადასვლისა; ამისათვის საჭიროა ნაჩვენები იქნეს დიალექტური ჭუნება ქრისტიანობისა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს სასულიერო მწერლობას, უნდა აღმოჩნდოს იქნეს მასში ის ერთიმეორის

საწინააღმდეგო და გამომრიცხველი ტენდენციები, რომელნიც დიალექტიურს მთლიანობაში იმყოფებიან.

ქრისტიანობა, ერთის მხრით, ქადაგებს სულსა და საიქაო ცხოვრებას, მაგრამ, მეორე მხრით, ის არ ივიწყებს არც ხორცსა და სააქაოს, ესე იგი-ამქვეყნიურ ცხოვრებას; მან განუჩინა ადამიანს, „რათა იყოს იგი მკვიდრ სოფლისა“ (რომ. IV, 13) და „უზრუნველ“ (I კორ. VII, 32), მან მოციქულის პირით წამოაყენა ასეთი ლოზუნები: „არავინ მოიძულა თავი თვისი, არამედ ზრდის და ფუფუნებს მასო“ (ეფეს. V, 29). ეს ერთი. მეორე—ქრისტიანობა მორწმუნება ყურადღების ცენტრში აყენებს ღმერთს და მისდამი სიყვარულს, მაგრამ ამავე დროს მას გვერდში უყენებს ადამიანსა და ადამიანისადმი სიყვარულს. მართლაც, ქრისტიანობამ ღმერთკაცის (ქრისტეს) სახით აღიარა შესაძლებლობა ღმერთის განკაცებისა და აღამიანის ღმერთად ქცევისა, მან პირდაპირ აუწყა ადამიანს: „ღმერთი ხარ“ შენო (იოან. X, 34, ფსალ. 81,6); ამით აიხსნება, რომ ის ხაზგას-მით ამბობს: „რომელსა არა უყვარდეს ძმა თვისი, რომელ იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უძს შეყვარებად“? „რომელსა უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს ძმაცა თვისიო“ (კათ. იოან. IV, 20-21). ამ შემთხვევაში ქრისტიანობას მხარს უჭერდა ჩვენში ბიზანტიური ნეოპლატონიზმი და პანტეისტური სუფიზმი. ნეოპლატონიზმი, რომელიც საშუალო საუკუნეებში ქრისტიანული დოქტრინის სამსახურში, იყო აყვანილი, პლატონის ფილოსოფიის ნიადაგზე ქადაგებდა, რომ ეს ქვეყანა გამოვლინებაა იდეათა სამყაროსი, თვითეულ ნივთსა და მოვლენას თავისი პროტოტიპი ჰყავს ამათუმი იდეის სიხით, ადამიანი, ქრისტიანობის მიერ გადმოკეთებული პლატონური ფორმულის ენით რომ ვთქვათ, არის „ხატება და მსგავსება“ ღვთისა. პანტეისტური სუფიზმი, რომლის სათავე რელიგიაშია მოძებნილი, ქადაგებს, რომ მთელი ეს ხილული ქვეყანა წარმოადგენს ღვთაების ემანაციას, თვითეულს ნივთში, მოვლენაში და თვით ადამიანში განსახიერებულია ღვთაება. ერთი სიტყვით, ნეოპლატონიზმა და სუფიზმა ოელიგია მიიყვანეს იმ ლოლიურ დასკვნამდე, რომ სიყვარული და „მიჯნურობა“ ღვთაებისადმი, რასაც ის მოითხოვს, არის „სიყვარული“ და „მიჯნურობა“ ადამიანისადმი. ჯმ ნიადაგზე შესაძლებელი შეიქნა სპარსულ ლიტერატურაში წარმოშობა იმ უმდიდრესი და უსრულესი სატრაფიალო-სამიჯნურო პოეზიისა, რომელიც ქალ-ვაჟთა თავდაუიწყებულს, შმაგ სიყვარულში ღვთაებისადმი სიყვარულს გულისხმობს, ასეთს რამეს ადგილი უნდა ჰქონდეს ვეფხის-

ტყაოსანშიაც, სახელდობრ მისი პროლოგის იმ სტროფში, სა-
დაც ნათქვამია:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ქნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა,
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.“

რადგანაც „მას ერთსა მიჯნურობასა კუვიანნი ვერ მიხვდებიან,“ ამის-
თვის „ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცია ხვდებიან“—ო,
ესე იგი—ქვენა, ხორციელი მიჯნურობის სახით მე ვილაპარაკებ იმ
მიჯნურობის შესახებ, რომელიც არის „ტომი გვართა ზენათა“ და
„საქმე საზეო“—ო.

ამნაირად, დიალექტიური ბუნება ქრისტიანობისა, გამახვილებუ-
ლი ნეოპლატონიზმისა და სუფიზმის სოფლმხედველობით, შესაძლე-
ბელს ხდიდა, ზემოაღნიშნულს ნიადაგზე და პირობებში, სასულიერო
მწერლობის საეროში გადასვლას. დიალექტიური კავშირი საეროსა და
სასულიერო მწერლობათა შორის უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის,
თუ შემდეგს მოვლენას გავითვალისწინებთ.

ცნობილია, რომ საერო სტილის მწერლობამ იმთავითვე მოგვ-
ცა ორი მთავარი ეანრი, რომელიც დამკვიდრებული იყო სასულიერო
მწერლობაში: ეპოსი,—საგმირო და სამიჯნურო ოხრობით წარმოდ-
გენილი, —და ლირიკა, —სახოტბო პოეზიაში მოცემული. ჰაგიოგრა-
ფიულმა ბელეტრისტიკამ და შესხმა-ქებითმა ენკომიებმა ქართველი
მკითხველი მისთვის შეუმჩნეველად მიიყვანეს საერო რომანებისა და
ხოტბების სალარომდე. ის მკითხველი, რომელიც იცნობდა, მაგალი-
თისათვის, „წმიდა მხედრების“. თავგადასავალს, —სავმირო საქმეებს
ფორგი ძლევამოსილის, თეოდორე სტრატილატის და ანდრია სტრა-
ტიოტისას, რომელნიც, „ჰუნესა ზედა შემსხდარნი და საჭურველითა
ასხმულნი“, ეპრაციან მოწინააღმდეგეთ, საშინელ მხეცებსა და ვეზა-
ვებს, ზანდიხან რომანტიულ ყაიდაზე, —ქალწულის განსაკუდილისაგან
დახსნისა და გამოყვანის მიზნით, —ადვილად მოჰკიდებდა ხელს ამი-
რან-დარეჯანიანისებურ სიდევ-გმირო მოთხოვნებს. იმ პირთ, რო-
მელნიც იცნობდენ ჰაგიოგრაფიულ ბელეტრისტიკიდან წმიდა მავ-
რას, იუსტინას, ფებრონიას, მარინას, თეოდორას, პელაგიას და
სხვებს, განსაკუთრებით კი ავანტიურას ისეთი „წმიდა მეძავებისას“,
როგორიც იყვენ მარიამ მეგვიპტელი, ტასია მეგვიპტელი, ევდოკია,
მეორე მარიამი (ძმისწული აბრაამისა), მარგარიტა ანტიოქიელი და
სხვ., —არ ეუცხოვებოდათ არც ვეფხისტყაოსნის, არც მაინცადა-
შაინც ვისრამიანის სიყვარული. ის ლიტერატურულ-კომპოზიციური
ხერხები და ელემენტები, რომელიც გამომუშავებული იყო ჰაგიოგრა-

ფიასა და პიმნოგრაფიაში, მაშასადამე—სასულიერო სტილის მწერლობაში, გამოყენებულ და შეთვისებულ იქნა საგმირო-სამიჯნურო ეპოსსა და სახოტბო პოეზიაში. ამ შემთხვევაში, თუ გნებავთ, საქმე გვაქვს უანრის ერთი სტილიდან მეორეში გადასულის მოვლენასთან. შესაძლებლობა ასეთი გადასცლისა უზრუნველყოფილი იყო იმ სოციალ-ფსიქოლოგიური ნათესაობით, რომელიც აახლოვებდა ერთმანეთთან ერთისადაიმავე ფეოდალური კლასის ორ ფრთას—სასულიეროსა და საეროს. განვიხილოთ ჯერ ეპოსი, სასულიეროსი ჰავიოგრაფია და საეროსი საგმირო-სამიჯნურო პოემები. ვაგიოგრაფის „სულიერი“ გმირი პოემებში საერო, ამჭვეფნიურ გმირად ქცეულა. მართლაც, როგორია კომპოზიციური შაბლონი ჰავიოგრაფიული თხრობისა? ჩს ოთხი ელემენტისაგან შესდგება:

1. „წმიდანი“ ჯერ კიდევ ბავშობაში იჩენს სულიერ სიმჟღნიერეს და ისეთს თვისებებს, რომელიც განასხვავებენ მას ამხანაგებისაგან და მოასწავებენ მის სულიერ გმირობას მომავალში (მაგალითად, შუშანიკი იყო „მოშიში ღმრთისაი სიყრმითგან თვისით“), ასევეა პოემებშიც: ესათუის პირი ჯერ კიდევ ბავშობაში იჩენს არაჩვეულებრივს თვისებებს, რომელიც გვიჩვენებენ, რომ ის მომავალში მართლაც არაჩვეულებრივი გმირი იქნება. ასე, მაგალითად, ტარიელი ამბობს თავის თავზე:

„ხუთისა წლისა შევიქენ მსგავსი ვარდისა შლილისა,
ჭირად არ მიჩნდა ლომისა მოკვლა, მართვითა სირისა.“


„ვბურთაობდი, ვთამაშობდი, ვით კატასა, ვხოცდი ლომსა“.

2. დავაუკაცებული „წმიდანი“ ნამდვილი „სულიერი“ გმირი და „ზეკაცია“. ის ებრძვის და სძლევს ხორცს და სხვადასხვა ხასიათის ცოლებას ამ ქვეყნად, ეშმაკს, რომელიც მას ხშირად ზილულად, ადამიანის თუ რომელიმე ცხოველის სახით ეჩვენება, და ისეთს სასწაულებს ასრულებს, რომელიც მას ბუნების კანონებზე მაღლა აყენებენ. ასევეა პოემებშიაც: ტარიელი ამბობს: „მოვიწიფე, დავემსგავს მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“, მისი გმირობა პოემით ხომ ყველასათვის ცნობილია, ანდა „ამირან-დარეჯანიანის“ გმირებისა: რა დაბრკოლებებს არ ებრძვიან და არ სძლევენ ისინი ლომების, დევების, გრძნეულების, გველეშაპების და სხვ. სახით? არას უამბობ მორალური ხასიათის დაბრკოლებათა შესახებ, რომელიც პოემათა გმირებს მიზნის მიღწევაში წინ ელობებიან. ერთი სიტყვით, ისინი ნამდვილი „ზეკაცებია“, მათ მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ ისეთივე ფინტასტიკაა, როგორც „წმიდანების“ სასწაულები.

3 „წმიდანის“ ამქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს განუწყვეტელს „სამსახურს“ ლვთისაღმი და შეუნელებელ ერთგულებას, მისი სიყვარულისათვის ის ითმენს და იტანს. ათასგვარ ასკეტიკურ ლვაწლსა და შრომას, ის ნამდვილი „მიჯნურია“ ლვთისა და მისი აგენტების (განსაკუთრებით ლვთისმშობლის); მათვის ბნედვა, მათ-თვის კვდომა წმიდანებს მიერეკება უდაბნოებისაკენ, სადაც მრავალი მათგანი ათეული წლებით ცხოვრობს ისე, რომ აღამიანის სახეს ვერ ხედავს, და სადაც ისინი შეუნელებლად „ალტობენ ცრემლითა თვი-სითა სარეცელსა თვისსა“. მოვიგონოთ ვეფხისტყაოსნის, ამირანდა-რეჯანიანის, ვისრამიანის და სხვა სატრაფიალო თხუზულებათა გმირები, მათი მიჯნურობა, რაინდული სამსახური და თავდადება სატრაფია-თვის; მათი ველად გაჭრა, სულთქმა-ოხვრა და ცრემლშეუშრობელი ტირილი, რომ მსგავსება ნათელი გახდეს.

4. სულიერი გმირი—„წმიდანი“ ან მსხვრპლად ეწირება თავის მიზანს,—მოწამებრივს სიკვდილს ითმენს, ანდა ხანგრძლივი გაჭირვე-მულ-შევიწროვებული ასკეტიკური ცხოვრების შემდეგ ბუნებრივი სიკვდილით კვდება, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ის კეთილს ბოროტ-ზე ამარჯვებინებს, სულს ხორცზე, საიქიოს სააქაოზე. ასევეა პოემებ-შიც: როგორიც არ უნდა იყოს ბოლო გმირებისა, ისინი მიზანს ახწევენ და ბოლოსდაბოლოს ამბობენ: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ვისაც საფუძვლიანად შეუწავლია ჰაგიო-გრაფიული ლიტერატურა და მუშტრის თვალით უკითხავს ჩვენი შაგმირო-სამიჯნურო პოემები, მისთვის უდავოა ერთობა აღნიშნული ოთხი ელემენტისა.

ეხლა განვიხილოთ ლირიკაორისავე სტილისა, სასულიეროში ჰიმ-ნოგრაფია და საეროში ხოტბითი პოეზია. სასულიერო ჰიმნოგრაფიას, წარმოდგენილს, მაგალითად, აბო ტუილელის „ქებასა“ და მეათე საუკუნის ქართველ გამომეტყველთა ჰიმნებში, სამი კომპოზიციური შაბლონი ახასიათებს: 1) ავტორის მიერ თავისი ულირსობისა და არარაობის აღია-რება, 2) შესხმა და ქება ამათუმი „სულიერი გმირისა“ (წმიდანისა), აღ-ზიშნვა მისი სიდიადე-ბუმბერაზობისა და აღსარება ჰიმნოგრაფიას, რომ მას არ ძალუდს ღირსეულად შეამყოს ის; 3) შესხმა და ქება ლვთისა, რომელიც არის ბრძენი, კეთილი, უხვი და სხვა ატრიბუტებით შე-ძლებული, რომელსაც ყველა, დიდი და პატარა, უნდა ემორჩილებოდეს: აშხოლიუტიზმის ძლევა-მოსილმა მსვლელობამ ქართველ მონარქებს სიცოცხლეშივე მიანიჭა არათუ ავტორიტეტი „მესიის მონათა“ (მწმი-დანის), არამედ „ლვთისა სწორისა“ ტიტულიც ამიტომ საკირველი არ არის, რომ აღტყინებული ელასიურობა გრძნებამ გამოხატულება



პოვა ენაწყლიან, ყალბპათოსიან ხოტბებში, რომლებშიც მოცემულია ყველა ზემოქამოთვლილი ელემენტები სასულიერო ჰიმნოგრაფიისა: დასამტკიცებლად საკმაო დასახელებულ იქნეს ე. წ. „აბდულ-მესია“ და „თამარიანი“.

მე მოვხაზე ზოგადად ის ნიადაგი და გზები, რომელზედაც და რომლებითაც აღმოცენდა და წარმოიშვა ჩვენში საერო მწერლობა. მაგრამ ყველაფერი ეს კიდევ არ კმაროდა, რომ საერო ლიტერატურას ფეხი მოედგა აქ. უკანასკნელი ვერ აღმოცენდებოდა და განვითარდებოდა გარეშე იმ გავლენისა, რომელიც მოიპოვა ჩვენს მწერლობაზე მეცხრე-მეათე საუკუნიდან აღორძინებულმა ახალ-სპარსულმა ფეოდალურმა ლიტერატურამ. მართალია, გარეშე გავლენა საზოგადოდ ფაქტორია და არა მიზეზი, ამიტომ მისი მნიშვნელობა არ უნდა იქნეს ხოლმე გაზვიადებული, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც მასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, და ასეთი შემთხვევა ჩვენ გვაქვს სწორედ ქართული საერო მწერლობის განვითარებაში. გართლაც, რატომ ბიზანტიიში, მაგალითად, არ შეიქნა საერო ლიტერატურა ისეთი ხასიათისა, როგორიც ჩვენში? ბიზანტიია, საქართველოსთან შედარებით, არც ეკონომიურად და პოლიტიკურად ყოფილა ნაკლებად დამოუკიდებელი, არც ფეოდალურ წინააღმდევობათაგან თავისუფალი, არც კულტურულ განვითარებას მოკლებული; ის ამავე დროს სამშობლოა იმ ნეოპლატონიზმისა, რომელმაც როგორც დავინახეთ, მოამზადა გზა სასულიერო მწერლობის სფეროში გადასვლისა ჩვენში. მიუხედავად ყველა ამისა, მან, ბიზანტიის საერო მწერლობა ვერ შექნა, იმიტომ, რომ ის მოკლებული იყო ისეთს გავლენას, რომელიც ჩვენში სპარსულ კულტურას, ფილოსოფიას და ლიტერატურას ჰქონდა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სპარსული ფეოდალური ლიტერატურის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე კლასიური ფსიქოიდეოლოგიის ნათესაობის ნიადაგზე ხდებოდა.

ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ მეათე საუკუნეზე აღრე საერო მწერლობა ჩვენში ვერ დაიწყებოდა; საქმე ისაა, რომ შე-10 საუკუნემდე ამ მწერლობის აღმოცენებისათვის არც სოციალ-ეკონომიური ბაზა არსებობდა, არც ფაქტორი ასალი სპარსული ლიტერატურის სახით. ცნობილია, რომ უკანასკნელი, ახალი სპარსული ლიტერატურა, რომლის ნიშნები მე-9 საუკუნეში ჩნდება, როგორც ფაქტი, მეათე საუკუნიდან გვევლინება. მართალია, მეათე-მეთერთშეტე საუკუნეებში, როდესაც ჯერ არც სოციალ-ეკონომიური ბაზა გამტკიცებული, არც ფაქტორი მწვავედ საგრძნობი, ჩვენში

ბატონობა ჯერ კიდევ სასულიერო მწერლობას ეკუთვნის, მაგრამ ეს
იმას არ ნიშნავს, რომ საერო მწერლობა მე-12 საუკუნის დამდეგამ-
დე არ არხებობდა, როგორც ამდეხან ფიქრობდენ და ზოგიერთე-
ბი დღესაც ფიქრობენ. საერო მწერლობის არსებობა მე-12 საუკუ-
ნეშე გაცილებით ადრე, არა ტრადიციებისა და ელემენტების სახით
მხოლოდ, როგორც ჩვენ ამდეხან ვუჩვენებდით (კ. კეჭელ იძვ.
ქართული ლიტ-ის ისტორია, II, 4-9), არამედ როგორც გარკვეული
რა ჩამოყალიბებული მიმდინარეობისა, ნათელი გახდება, თუ ერთს
გაუგებრობას დავახტევთ თავს. როდესაც საერო მწერლობას მე-12
საუკუნიდან იწყებენ, ალბათ იმ ფაქტიდან გამოდიან უმთავრესად.
რომ უადრესი ძეგლები ამ ლიტერატურისა,—ამირან-დარეჯანიანი
და ვისრამიანი,— მეთერთმეტე საუკუნის გასულზე ადრე ვერ შემო-
ვიდოდა ჩვენს მწერლობაში. მაგრამ ეს ძეგლები წარმოადგენენ უკვე
მეორე საფეხურს საერო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში,
კ. წ. რაინდული ლიტერატურის ძეგლებს, პირველი საფეხური კი
მისი მოცემულია მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ეპიურ-ფეოდალუ-
რი ლიტერატურის სახით. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, ქარ-
თველთა ეროვნულ-პოლიტიკური ფიზიონომიის „დადგინების“ ხანა-
ში, უამრავი ლეგენდები, თქმულებები და საგები იქმნებოდა ამათუ-
იმ ისტორიული თუ ნახევრადისტორიული პირის შესახებ, რომელ-
საც რაიმე ღვაწლი მიუძლოდა აღნიშნული დადგინების პროცესში.
მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში, როდესაც მთლიანი საქართველოს
„დადგინების“ პროცესი წარმოებს, დაწყებულა ამ თქმულებათა
ლიტერატურული დამუშავება, რომელიც წარმოდგენილია ლეონტი
მროველის სახელით ცნობილს „მეფეთა ცხოვრებაში“. ეს ძეგლი იმ-
დენად ისტორიული ნაწარმოები არაა, რამდენადაც თავისებურ-
chanson de geste ქართველებისა, რომელშიც მოცემულია ცდა
ლეგენდარულ „საქმეთა საგმიროთა“ ფეოდალურ გემოზე გადამუ-
შავებისა. ამირან-დარეჯანიანის ყაიდაზე მოხაზული სურათი ჰაოსიან-
თარგამოსიანთა ომისა, ფარნავაზისა, მირვანისა, არშაკისა, ადორ-
კისა, სუმბატ ბივრიტიანისა, ფარსმან ქველისა, აშაზასპისა, მირია-
ნისა და სხვათა მრავალთა, განსაკუთრებით კი ვახტანგ გორგასლა-
ნისა, — ლეონტის შრომას ჰელის ქართველების „მეფეთა ეპოპეად“,
მსგავსად მე-11 საოცუნის ფრანგთა Epopée royale-სა იმაში ას-
ხულია ფოდალიზმის ეპოქა, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ რაინ-
დობას. სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავისდადება, ბრძოლა
უცხო ტომთა, განსაკუთრებით კი „ურჯულოთა“ წინააღმდეგ, პატი-
ვისცემა და „სამსახური“ სიუზერენისადმი, გრძნობა ძმური მეგო-

ბრობა-ერთგულობისა და შევნება მეომრის დანიშნულებისა,—ამ დამა ხასიათებელი თვისებანი ამ ეპოქეაში გამოყვანილი გმირებისა; ქალსა და ქალისადმი სიყვარულს მასში ჯერ აღვილ არ აქვს. მე-12 საუკუნიდან, როდესაც სახელმწიფო ბრივი ცხოვრება აბსოლუტიზმის გზაზე დგება და რაინდთა ინსტიტუტი ყალიბდება თავისი კონკორატიული ეთიკეტითა და წოდებრივი ტრადიციებით, ჩნდება რაინდული რომანი, რომელშიაც რაინდული კურტუაზია, ქალი და სიყვარული მთავარი სტიმულია მამაცობისა და წყარო საგმირო საქმეებისა. ამიერიდან საერო მწერლობა გარევეული, მტკიცე სახის ფაქტია, რომელიც მთელი პერიოდის სიგრძეზე გაბედული ნაბიჯით მიღის წინ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი სტილი, საერო და სასულიერო, მშვიდობიან ურთიერთობასა და კეთილმეზობლურ განწყობილებაში იყვნენ ერთმანეთში; ცხადი თუ ფარული ანტაგონიზმი, რომელიც არსებობდა მათს მასაზრდოებელ სოციალურ წრეთა შორის, რასაკვარველია, აქაც იჩენდა ხოლმე თავს. და შესაფერ გამოძახილს ჰპოულობდა. 1) მე-11 საუკუნის გასულს, როდებაც საერო მწერლობა სავსებით ჩამოყალიბებულ ფაქტად გვევლინება, სასულიერო მწერლობამ, თავისი ბატონობისა და განმტკიცების მიზნით, საერო მწერლობის დისკრედიტიზაცია განიხრახა: ლეონტი მროველის პირით მან საერო პოეზია, როგორც „მუსიკობის“ ერთერთი დარგი, ცოდვად, სიძვა-მრუშობად და ლვის „მცნების გარდახდომად“ გამოაცხადა. ერთ-ერთს აპოკრიფულს თბზულებაში, რომელიც ლეონტის მეოხებით შემოვიდა ჩვენს მწერლობაში და უდიდესი გავლენა მოიპოვა აქ, ნაოქვამია: „ძენი სეითისანი გარდახდეს მცნებასა და ისწავეს სიმღერა და ამათ გამოაჩინეს ქნარი, ებანი და ბობლანი და სტვირი და ნესტვი და ყოველი სახეობა განამრავლეს... და ესმოდა ხმა დედათა, რომელი უკანა შეუხმობდენ მამათა სიმღერასა... მაშინ სდევდეს დედანი უკანა შამათა ურცხვინოდ, ისიძვიდეს და იმრუშებდეს ურთიერთას განცხადება.

1) მას შემდეგ, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ პერიოდში ცხოვრებულ სარწმუნოებრივი გრძნობა არამც თუ არ გამორიცხავდა, პიროვნით — გულრსხომდებული კიდევაც საერო ლიტერატურას, რომ უკანასკნელი კანონზომიერი განვითარდა. სასულიერო მწერლობისა, — იქნება ვისმე ეუცხავოს ფაქტი მათ შორის ბრძოლისა; მაგრამ ეს ღმდენადა საუცხოვო და გასაკვირვი, რამდენადაც შემცველებელებნა: ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ სოციალისტი, რომელსაც გულისხმობა კანონზომიერი განვითარება კაპიტალიზმისა და რომელიც მის წიაღში ისახება, ედება ღმერქტად გააფთრებული ბრძოლისა და დევნისა. კაპიტალიზმის მხრიდ.

ბულად:... სხდეს და იმღერდეს სტვირითა და ბობლნითა და წესტვითა და ებნითა, და ხმა ალტეხისა ისმოდა ჰაერთა „ზედა“ (დაბადებისა-თვის ცისა და ქვეყნისა, ქართ. ცხოვრება, მარიამ დედოფ. გვ.801-802). როგორც ჩანს, ისარი სატრფიიალო - სამიჯნურო პოეზიის წინაალ-მდეგაა უმთავრესად მიმართული. ამ თეორიაში უნდა ვეძიოთ დასა-ჭისი იმ შეხედულებისა, რომელიც გარკვეულს ლიტერატურულ-ჭრებში შემუშავდა ჩვენში და რომელმაც სატრფიიალო - სამიჯნუ-რო პოეზია აღიარა „სპარსთა ზღაპრობად, არაკობად და გოგობი-კობად“, „უსარგებლო თქმულებად“ და „ცუდად ლაყფობად.“ და, თუ მან ვერ მოსპო „წიგნები საერონი, სამლერელად და სალალობე-ლად მსმენელთათვის თქმულნი“, თუ მან ვერ მოაშთო საერო ლი-ტერატურული შემოქმედება, ეს ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრებამ ამავე შეხდულებაში პოეა საძრომი ხვრელი და თავის გასამართლე-ბელი ფორმულიროვა: სატრფიიალო - სამიჯნურო, საგოგო-ბიჭო თხზულებების წერა და თქმა შესაძლებელია. ურჯულო სპარსეთში, კითხვა კი მათი, დედანში თუ დარგმანში, დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს თუგინდ ქრისტიანი ქართველებისათვის. საფიქრებელია, რომ ვეფხისტური სანს მარტო ვახტანგ მეექვსის ეპოქაში არ სთარგმნიდენ სამექაოდ; ეს ტრადიცია, უეჭველია, ძველია, და ამ თვალსაზრისით სავსებით გასაგები ხდება პროლოგის სიტყვები, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი: „ესე ამბავი სპარსული, ქარ-თულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი.“ ყოველ-შემთხვევაში ალნიშნული თეორიის გავლენაში უნდა ვეძიოთ ახსნა იმ გარემოებისა, რომ იშვიათია ჩვენს ძველ საერო მხატვრულ ლი-ტერატურაში. ისეთი მწერალი, რომელიც ბოდიშს არ იხდიდეს და მოტევებას არ თხოვლობდეს წერისათვის და რომელიც თავის ნა-შრომს, არამც თუ ორგინალურს, სპარსულიდან ნათარგმნსაც კი, ამა-თუმი სახით ნაძალადევად არ ამკობდეს სასულიერო-ქრისტიანული ეპენტებით.

III. ბატონ-ყმური ფეოდალიზაციის პრიოდი

(ფეოდალური მონარქიის რღვევის ხანა)

მესამე პერიოდი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, რომელიც მეცამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან მეთექვსშეტე საუკუნის დამლევამდე გრძელდება, ემთხვევა იმ ხანას, როდესაც მე-ორე პერიოდის „პატრონი“, „ბატონად“ და „პატრონ-ყმური“ ურთიერთობა „ბატონ-ყმურად“ იქცევა. ეს არის პერიოდი ფეოდა-

ლური მონარქიის თანდათანობითი რღვევისა და საბოლოოდ და-
შლისა; ამ ხანას მე გამოყოფ ცალკე პერიოდად არა იმიტომ, რომ
შეს მოეცეს ჩვენი მწერლობისათვის რაიმე ახალი მიმართულება და
ახალი იდეიები, გაემდიდრების ის ახალი და მნიშვნელოვანი
ორიგინალური ნაწარმოებით ანდა შეექმნას ახალი კულტურულ-ლი-
ტერატური ცენტრები, არამედ სულ საწინააღმდეგო მოქლნათა მი-
ზეზით; ეს არის პერიოდი ძალის დაკანინების და დაცემისა;
თუ წინა-პერიოდი ამ მწერლობისა იყო კლასიკური ხანა მისი ზრდა-
განვითარებისა, ეს, მესამე პერიოდი, შეიქმნა კლასიკური ხანა მისი
დაქვეითებისა. ამ მოვლენის ბიზეზად უნდა ჩაითვალოს სოციალ-ეკონო-
მიური და პოლიტიკური ცხოვრების უსაზღვრო დაცემა და დაკინება,
შეიძლება ითქვას, განადგურება. რაშ გაძოინვია ეს უკანასკნელი? მე
უკვე აღვნიშნე თავის ადგილას, რომ საქართველოს ისტორიის
ძრწყინვალე ხანა შეორე პერიოდში შექმნილი იყო იმდენად არა სა-
კუთარი საწარმოო ძალთა განვითარებითა და ექსპლოატაციით, რამ-
დენადაც ძლევა-მოსილი ომებით შეცოტანილი სამხედრო აღაფითა
და დაპყრობილი ჟვეყნებისაგან ხარვის აღებით. ასეთ საფუძველზე
დამყარებული „ძრწყინვალება“ ეფემერული გამოდგა, რაც ცენტრა-
ლური აზიიდან ისტორიის ასპარეზზე მონლოლების სახით ახალი სა-
მხედრო ძალის გაძოებაში გამოააშვარავა. როდესაც შონლოლთა
დამპყრობელობითი ტალღა საქართველოს საზღვრებს ეხეთქა, ფეო-
დალური მონარქიის კედლები მძლავრად შეინძრა, ხოლო როდესაც
ეს ახალი ძალა აქ საბოლოოდ დამკვიდრდა და თავისი ეკონომიკური
პოლიტიკის კარნასი დაიწყო ამ მონარქიისაგან თითქმის აღარ-ა
ფერი დარჩა. მონლოლების ბატონობამ შოშელა სახელ-ძიიფოებრივი
აპარატი, რომელიც მერე აღარ გაძთვლებულა. შემდეგს რღვევასა
და განადგურებას ხელს უწყობდა განუწყვეტილი რბევა ქვეყნისა
სპარსელებისა და ოსმალების მიერ, რომელთაც მეთექვსმეტე საუკუ-
ნეში საბო ლოოდ გაინაწილეს. იგი: აღმოსავლეთ-საქართველოში და-
მკვიდრდენ სპარსელები, დასაცლეთში კი ოსმალები. პოლიტიკურ
განადგურებას შედეგად შოპყავა ვაჭრობის ჯერ შესუსტება, მერე კი,
შე-15 საუკუნის ნახევრიდან, როდესაც ოსმალებმა, ბიზანტიის და-
პყრობის შემდეგ, შავი ზღვა ჩაკეტეს და საქართველო მსოფლიო სა-
ვაჭრო გზებს ჩამოაშორეს, სრული თითქმის შეჩერება და მოდუნება.
ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვაჭრობა და სავაჭრო კაპიტალი ჩვენში წარ-
მოადგენდა ცენტრალისტურ ძალას, რომელმაც ხელი შეუწყო
აბსოლუტური მონარქიის შექმნას. როდესაც ეს ძალა მოისპო, გო-
ისპო ცენტრალური ხელისუფლებაც და ქვეყანა მის შემადგენელ ფე-

ოდალურ ერთეულებად დაიყო; უკვე მეთექვსმეტე საუკუნის ნახევარში საქართველო გაყოფილია ოთხ სამეფოდ: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო და იმერეთი, რომელშიაც საუკუნის გასულისათვის ოთხი ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროა: ოდიში, გურია, აფხაზეთი და სეანეთი. ერთი სიტყვით, ქვეყანა დაბრუნდა იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც ის იმყოფებოდა მეორე პერიოდის დასაწყისს მომენტში. ამ ფეოდალურ ერთეულებში, რომელთა სათავეში ნომინალურ მეფეებს და მეთაურებს ვხედავთ, დაიწყო თავაშვებული თარეში ღილგვარიანი ფეოდალებისა, რომელნიც გამუდმებით ებრძვიან, არბევნება და აწიოკებენ ერთიმეორეს და მეფეებს, მეფეები კიდევ ერთმანეთსა და ფეოდალებს. ყველა ესენი იმას სცდილობენ, რომ ერთიმეორეს ორმო ამოუთხარონ ფეხქვეშ და, რაც შეიძლება, მეტად ასია-შოვნონ აღმოსავლეთის დესპოტებს. პოლიტიკური პასივობა, ინტ-რიგანობა, დესპოტთა წინაშე ეფემერულ უფლებათა შენარჩუნებისთვის. მლიქვნელობა და სამარცხინო მუხლთდრეკა, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი რენეგატობა,—აი დამახასიათებელი თვი-სება ამ ეპოქის მესვეური ფეოდალური კლასისა. ვაჭრობის განად-გურებამ გამოიწვია ქალაქების დაცარიელება და მათი რიცხვის შე-მცირება, ამასთან ერთად საქალაქო ცხოვრების მოდუნება. გაბატონდა კიდევ კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, მისი სიმძიმე კისერ-ზე დააწვა განსაკუთრებით გლეხებს, რომელნიც, როგორც ზემოთ იყო შენიშნული, ამ პერიოდში ებმიან ბატონყმობის მძიმე და აუ-ტანელ უღელში და უსაშინელესი ექსპლოატაციის სავნად ხდებიან ცხოვრების სხვა საშუალებას მოკლებული ფეოდალების ხელში. ეპო-ქის მიერ შემდეგში წამოყენებული ლოზუნგი—„ყმის ყველა ბატონისა არის“, თავისუფლებას უსპობს გლეხებს და საბოლოოდ ამაგრებს მათ ბატონის ადგილ-მამულსა და პიროვნებას. ეხლა, ამ პერიოდში, თავი იჩინა ახალმა ფორმამ მათი ექსპლოატაციისამ: საწარმოო ძალ-თა სრულმა განადგურებამ გლეხები მე-16 საუკუნის ნახევრიდან გახდა საექსპორტო საგნად, მათ ასობით და ათასობით სისტემატი-ურად ჰყიდიან ტყვედ აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებში. ამ გარე-მოებამ, მუდმივ და განუწყვეტელ ომიანობასა და რბევა-წიოკობასთან ერთად, გამოიწვია სოფლების გაპარტახება და მოსახლეობის რიცხვის დაცემა, ერთი სიტყვით—ცხოვრების უშუალო მწარმოებელი მუშახელის შემცირება, რამაც ქვეყანა წარმოუდგენელ გაჭირვებაში ჩააგდო.

რღვევა-შლილობა, რასაკვირველია, ეკლესიასაც შეეხო; გამთი-შეელმდე, ცენტრისაგან მსრბოლმა ტენდენციამ ეკლესიის სფეროშიაც

იჩინა თავი და აქაც დაიწყო მთლიანი ორგანიზმის საეკლესიო-ფეო-დალურ ერთეულებად დანაწილება (ქართლი, იმერეთი, სამცხე-საათა-ბაგო). საზოგადოებრივს შეგნებაში კვლავ გაბატონდა რელიგიური იდეოლოგია; გაჭირვებამ, უბედურებამ და ამ ქვეყნად გამოსავლის უქონლობამ მეორე პერიოდის ლალი, ოპტიმისტური სოფლმხედველობის ნანგრევებზე გაამეფა მწვავე პესიმიზმი, უარყოფა ამ ქვეყნიური ცხოვრებისა და საიქაოს მისტიური სამყაროსაკენ აღმაფრენა. ამას ხელს უწყობდა შეგნებულად ეკლესიაც, რომელმაც მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მარცხი აღამიანის ხორციელი ბუნების თავაშვებისა და ცოდვათა გამრავლების შედეგად გამოაცხადა. ქვეყნის აღსასრულისა და მეორეთმოსვლის მოახლოვების მოლოდინში (დროც კი იყო მისი დანიშნული 1397 წელი) ის საზოგადოებას მოუწოდებდა სინანულისაკენ, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ეკლესიისა და მის მსახურთა გავლენისა და მნიშვნელობის გაძლიერება და გადიდება.

ამ პირობებში მოსალოდნელი იყო, რომ სასულიერო მწერლობას ასპარეზი გაეშლებოდა და ის იმ პრიორიტეტს მოიპოვებდა. რომელიც მას ოდესაც ეკუთვნოდა, მაგრამ ეს არ მოხდა, მისი ზრდა - განვითარების ისტორია, შეიძლება ითქვას, მეორე პერიოდით გათავდა, მას შემდეგ მას სიცოცხლის ნიშან - წყალი აღა გამოუჩენია არასდროს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანტონ კათოლიკოზის შკოლას), განსაკუთრებით ამ მესამე პერიოდში. ეს გასაკვირველიც არაა: კულტურული დონის უმაგალითო დაცუმისა და საშინელი შლა - რღვევის პროცესში, როდესაც აღამიანი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ზრუნავს მხოლოდ, როდესაც დანგრეული და გაპარტახებულია კულტურული და ლიტერატურული ცენტრები, მწერლობის განვითარებაზე საერთოდ შეუძლებელია ლაპარაკი, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სასულიერო მწერლობის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ მეათე საუკუნიდან ქართული სასულიერო მწერლობა იკვებებოდა მხოლოდდამხოლოდ ბიზანტიური მასალებითა და წყაროებით; ბიზანტიის კულტურულ - ლიტერატურული ენერგია კი მეოუთხმეტე საუკუნის ნახევრიდან, როდესაც ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, სულერთიანად დაიშრიტა და ჩაქრა. წყაროს დახშვის გამო ქართული ლიტერატურული შემოქმედებაც უნდა დახშულიყო დაიხშო კიდევაც.

რაც შეეხება საერო მწერლობას, საერთო კანონს ვერც ის ასცდა: შეირყა თუ არა, ფეოდალური პარტიკულიარიზმის გაბატონებით, პრინციპი პატრიონ - ყმური ურთიერთობისა ყოფილს მონარქიაში.

ჩაქრა თუ არა ბრწყინვალება ამსოდუტური მონარქის სასახლისა, რომელშიაც უმთავრესად შეფარებული იყო საერო ლიტერატურა, შესუსტდა და დაეცა ეს უკანასკნელიც. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ამ პერიოდის პირველი ნახევრის შესახებ, მეორე ნახევარში კი, მე - 15 საუკუნის მიწურულიდან, იმას დაეტყო ნიშანი ოდნავი მოძრაობისა. მართალია, თავიანთი უზარმაზარი იმპერიის შექმნის გზაზე, ჩინგის-ხანისა და თემურ-ლენგის ურდოებმა, აზვიროთებული ტალღებივით, წალეკეს ყველაფერი, რაც წინ შეხვდა მათ, მაგრამ უშედეგოდ არ ჩაუვლია დაპყობილი ქვეყნებისათვის ამ იმპერიის შექმნას. საუკეთესო ისტორიკოსების პირით (ე. ბროუნი, თ. ლინდერი, ე. ჰერცფელდი, ვ. ბარტოლდი) დღეს მეცნიერაბაში აღიარებულია, რომ, რამდენადაც ამათუმი ერის კულტურული ცხოვრებისათვის მნიშვნელობა აქვს სხვა ერებთან დაახლოვებას და კავშირს, მონღოლთა დამპყრობელობითი პოლიტიკით შექმნილმა ფართე მსოფლიო ურთიერთობის ნიადაგმა აანაზღაურა ისტორიაში ის ზიანი, რაც მათ კაცობრიობას მიაყენეს: ამ ნიადაგზე გაფართოვდა ფარგლები გეოგრაფიული ცოდნისა და ამასთან დაკავშირებით გონებრივი და ლიტერატურული ჰორიზონტი წინააზისა, რომელიც უშვალოდ გადაეჯაჭვა მატერიკის მთავარ ნაწილს. გაფართოვდა კულტურული სფერო კერძოდ ქართველთა ცხოვრებისაც, ვინაიდან მონღოლთა იმპერიის რკალში მოქცევის შემდეგ ქართველებს უხდებათ შოგზაურობა შორეულს, „უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა“ (ქართ. ცხოვრ. მარიამის ვარიანტ. გვ. 608), და ეძლევათ შემთხვევა გაიცნონ ცხოვრება, ზნე — ჩვეულება და კულტურა უცხო ქვეყნებისა. ამ შედეგებმა ჩვენში თავი იჩინა უმთავრესად მეთუთხმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და უკვევლად ხელი შეუწყო მომაკვდავი საერო ლიტერატურის ოდნავ მოსულიერებას. ამასთან ერთად სხვა რამესაც ჰქონდა მნიშვნელობა ამ შემთხვევაში. ეს მოსულიერება იყო შედეგი, ერთს მხრით, ეკონომიკური ძალების უკანასკნელი დაჭიმვისა ალექსანდრე დიდის (1412—1442) დროს, რომელმაც თანამედროვეთ დაანახვა აჩრდილი ყოფილი მონარქიისა, ხოლო მეორე მხრით, აღმოსავლეთ - სპირსეთში მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ჰერატის შეოლის ჩამოყალიბებისა, იმ შეოლისა, რომელიც აღმდგენელია სპარსული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებისა და ტონის მიმცემი შემდეგიდროის სპარსული და მთელი მაკმადიანური აღმოსავლური ლიტერატურისა. შეუძლებელია გამოძახილს ამ ლიტერატურული მოძრაობისას, რომელმაც მოიცვა აღმოსავლეთი ჩინეთიდან და ინდოეთიდან მოყოლებული აღერბეიჯანისა და მცირე აზიის

(რუმი) საზღვრებამდე, ჩვენამდინ აცრა მოელწია და ასეთუისე თავი
არ ეჩინა მიძინებულს ქართულს მწერლობაშიაც, განსაკუთრებით
სუფევიდების დროიდან, როდესაც, საქართველოს სპარსეთის პოლი-
ტიკურ სფეროში მოქცევის გამო, ამ ორ ქვეყანას შორის უშუალო
ურთიერთობა დამყარდა კვლავ; მაგრამ მოძრაობის წიშანი, რომლის
შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ, იმდენად უმნიშვნელო, სუსტრ და მინიმა-
ლურია; რომ ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება მთლიანად ამ პერიოდის
დახასიათებას როგორც „დაცემის“ და „დაკანინებისას.“ ის გამოი-
ხატება სპარსული ფანტასტური საგმირო - სამიჯნურო ეპოსის
მოტივების ულაზათო „რუსთველური“. შაირით გადამლერებაში.
ვინაიდან წელში გატეხილი საზოგადოებრივობა თხოულობს გამამხნე-
ვებელ მოტივებს მწერლობაში; ამიტომ მთავარი ლიტერატურული
უანრი ეპოქისა არის საგმირო ეპოსი, წარმოდგენილი „მეფეთა წიგნის“
ვერსიებით. რომანტიული ეპოსი წარმოდგენილია ვეფხ ისტყაოს-
ნის დამატება - გაგრძელებით; თუ ამას დაუმატებთ უცნობი
მთარგმნელის „იოსებ - ზილიხანიანს“ (თუ ის ამ ეპოქისაა მართლა და
არა უფრო გვიანის), საფსებით ამოწურული იქნება ამ პერიოდის საერთ
ლიტერატურული პროდუქცია.

IV. အေကြောင်းပွဲခုပါန် အေကြောင်းပွဲခုပါန် ဒေသရှိနှင့် အေကြောင်းပွဲ

(ბურჟუაზიული რენესანსის განთიადი)

მეოთხე პერიოდი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც ფეოდალიზმის დეკადანსს ემთხვევა, გრძელდება მე-17 საუკუნის დამდეგიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრაშიდე. ჯერ მისი მოცულობის შესახებ, მე-16 საუკუნის გასულისათვის, როდესაც მეფის გვარეულობის შტოებს ჩამოერთვა უფლება ტახტის ძიებისა, შეიძლება ითქვას, დამთავრდა პროცესი ყოფილი მონარქიის შინაგანი რღვევისადა მისი ფეოდალურ ერთეულებად დანაწილებისა. მე-17 საუკუნიდან, იმ მიზეზთა გაშო, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება ლაპარაკი, იშუება პროცესი თვით ფეოდალური სტრუქტურის თანდა-თანობითი რღვევისა (ეს არ უნდა აურიოთ ფეოდალური მონარქიის რღვევას; რომლის შესახებ წინაპერიოდში ვლაპარაკობდით; ფეოდალური მონარქიის რღვევა არამცთუ არ ნიშნავს ფეოდალური სტრუქტურის რღვევას, პირიქით ხელს უწყობს მის გამტკიცებას): ამ-თავად მეტს ყურადღებას თხოულობს ჩვენგან მეორე მიჯნა ამ პერიოდისა.

ჩვენ, რომელნიც მიჩვეულნი ვართ პერიოდებად დაყოფისას ქრონიკოსი პრინციპით ხელმძღვანელობას (ძველი, საშუალო, ახალი, უახლესი), მე - 19საუკუნის პირველი ნახევრის მწერლობის მოქცევა მეჩვიდმეტე - მეთვრამეტე საუკუნეთა. მწერლობასთან ერთს რკალში, ალბათ, გაგვაკვირვებს და გვეხამუშება კიდეც. ეს იმიტომ, რომ მე - 19 საუკუნიდან იწყება ახალი, როგორც იტყვიან, ევროპიული, ხანა ჩვენს ცხოვრებაში, და ამ ხანის მწერლობასაც, ამიტომ, ახალს ვუშოდებთ. მაგრამ აქ გასაკვირვი არაფერია.

საქმე ისაა, რომ ახალი, ევროპიული ხანა, რომელზედაც მიუ-
თითებენ, იწყება ნამდვილად და არსებითად მე-19 საუკუნის მეორე
წახევრიდან, პირველი ნახევარი მისი კი უშუალო გაგრძელებაა წინა
ხანისა. ამ რას ამბობს ამის შესახებ ამხ. ფ. მახარაძე: „მეცნრამეტე
საუკუნის განმავლობაში საქართველომ განიცადა ღრმა ცვლილებანი
საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათისა. ის, რაც საუკუნეების
განმავლობაში უცვლელად და შეურყევლად ჩაიტაროდა, ამ საუკუნეში
ძირიანად შეირყა და სრულიად სხვა სახე, სხვა ფერი მიიღო, საქართვე-
ლოს ყოველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, აგებული
ბატონ-ყმურ და ფეოდალურ ნიადაგზე, მეცნრამეტე საუკუნის განმავ-
ლობაში სამუდამოდ დაინგრა. ეკონომიკურა წარმატებამ შექმნა
ახალი ხანა, საიდანაც იწყება ქართველი ხალხის გამოსვლა თანამე-

დროვე მოქალაქობრივი ცხოვრების სარბიელზე. უნდა ვთქვათ, რო ამ ცვლილებამ თავი იჩინა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. პირველს ნახევარში ჩვენ ვხედავთ განწირულს, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრ ფეოდალურ კლასს — თავადა ზნაურობას.. ბატონ - ყმობა, ნატურალური მეურნეობა, კუთხური ან კარჩაკეტილი ცხოვრება ჯერ კიდევ თავის ძალაშია. ძველი სამეფოები და სამთავროები კარგა ხანია მოისპო, მაგრამ წინანდელი დაყოფა არსებითად ისევ არსებობს: იმერეთი, სამეგრელო, გურია, ქართლ - კახეთი, თოთვული მათგანი ისევ თავისთვის ცხოვრობს, კარდაბშული, განცალკევებული... ამ შავბნელი სურათის შეცვლა იწყება მეორმოცდათე - მესამოცე წლებიდან “ (საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში, ქურნალი მნათობი 1926 წ. № 2, გვ. 154 — 155).

მართალია, მე-19 საუკუნის დამდეგს საქართველოს ფეოდალური კლასმა დაკარგა პოლიტიკური უფლება, მაგრამ მხოლოდ ქართლ - კახეთში, საერთოდ კი პროცესი პოლიტიკური ლიკვიდაციისა სამოცან წლებამდე გრძელდება: იმერეთი საბოლოოდ შემოერთებულ იქნა 1815 წელს, ჯავახეთი, სამცხე და ფოთი 1829 წ., გურია 1839 წ. აფხაზეთი 1864 წ., ხოლო სამეგრელო 1867 წ. ამასთან ისიც უნდა გვასოვდეს, რომ პოლიტიკური ძალა - უფლების შებლალვას ქართული ფეოდალური კლასი პასიურად არ შეხვედრია: ნაწილი ბატონიშვილებისა და დიდი ფეოდალებისა ნაცალი ფეოდალური ჯიუტობია და შეურიგებლობით ებრძვის ახალს ცენტრალურ ხელისუფლებას და საუკუნის პირველს ნახევარში მთელს რიგს აჯანყებებისას აწყობს მას წინააღმდეგ. უნდა გვასოვდეს აგრეთვე ისიც, რომ ფეოდალური კლასმა პოლიტიკური ძალა - უფლება დაკარგა არა აბსოლუტურად: ჩვენ ვიცით, რომ მაშენდელს რუსეთის იმპერიაში თვითმპურობელ ბიუროკრატიას ტახტის ბურჯად ისევ ფეოდალური კლასი ჰყავდა მიწნეული და მართვა - გამგეობის აპარატიც უმთავრესად მას ჰქონდა ჩაბარებული. ამ მხრივ არც ქართული ფეოდალური კლასი შეადგენდა გამონაკლისს; ამას ამტკიცებს „ჩინ-ორდენებისა“ და „აპელატების ძიება, რამაც აზარტული ხასიათი მიიღო საუკუნის პირველსავე ნახევარში. ამან დააჩქარა პროცესი ფეოდალური კლასის სამეფისკარი მსახურეულ არისტოკრატიად ქცევისა, რომლის ნიშნებს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ერეკლე მეფის დროიდან, მკვეთრად ვაძნევთ. როგორც უნდა იყოს, პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა ლიტერატურაში კრიზისი არ გამოუწვევია; ცნობილია, რომ პოლიტიკის შეცვლის შემდეგ ლიტერატურა ინერციულად კიდევ შეიძლება განაგრძობდეს მსვლელობას წინანდელი გზით, მისი კურსის შეცვ

სისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სოციალ-ეკონომიკური აზის შეცვლას აქვს, ეს უკანასკნელი კი მე-19 საუკუნის პირველს ახევარში ისეთივე რჩება, როგორიც იყო შინასაუკუნეში: იგივე უმური პარტიკულიარიზმი და კარხაკეტილობა, იგივე გაბატონებული ნატურალური მეურნეობა, იგივე ულტობელი ექსპლოატაცია გლეხურობისა, წარსული ღროის ბატონ-ყმურ ურთიერთობაზე აგებული მის შესახებ დაწვრილებით იხ. ფ. მახარაძის ზემოდასახელებულ ერილში), იგივე ფეოდალურ-მონარქიული ურთიერთობა, რომლის სქემა ასეთია: სათავეში დგას უდიდესი ფეოდალი—იმპერატორი და მისი თადგილე, ისიც დიდმამულიანი ფეოდალი; მათ ქვეშ—თავადებისთი ვიწრო წოდებრივი ორგანიზაციით, რომელშიაც „უჩინო“ და ემამულო აზნაურს არ შეესვლებოდა; თავადებს ქვეშ—აზნაურები, რომელნიც მათი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდენ აღმოსავლეთ-აქართველოში 1833 წელს, იმერეთსა და გურიაში კი 1848 წელს; თავადაზნაურთა ქვეშ კი გლეხები, რომელთა „განთავისუფლება“ მხოლოდ 1864 წელს მოხდა. ძველი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობა აუკუნის პირველს ნახევარში ჯერ კიდევ იმდენად მტკიცე იყო, რომ ურთიერთობათა გამომხატველის ვახტანგის კანონების მოქმედება ხოლოდ 1859 წელს იქნა გაუქმებული ჩვენში. ეს ერთი!

მეორე,-მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შემცირებას
ხენ ვითვალისწინებთ ჩვეულებრივ სამი ადამიანის შემოქმედებით,
სენი არიან: აღ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნიკ. ბარათაშვილი.
სგრამ სრულიად არ ვიღებთ მხედველობაში იმ პირთ,-რიცხვი მათი,
ასებული ხელნაწერებით, ათეულებს აღწევს,-რომელნიც ამ გარდა-
ვალ ხანაში ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას ეწევიან, რო-
ორც ჩვენში, ისე რუსეთში!). ნუ დაგვავიწყდება, რომ სამეფო გვარე-

აი ეს მწერლები, პირველ რიგში უფრო მნიშვნელოვანი. ავალიშვილი გიორგი, აგრატიონი დაშიტრა, ვეკერძო იარი იოანე, დაკით ალექსი შვილი-შესაიშვილი, რე-ცურად სახელ უბუღა, თუმანიშვილები გიორგი და დიმიტრი, იმანვ ბატონი-ვალი (მისი „კალმასობით“), იონა ხელაშვილი, ლარაძე პეტრე, გაიობ რექტორი, იორან ბატონიშვილი, შელიჭიშვილი იოსები, მურატოვი ივანე. მეორე რიგში :ბატონიშვილები ვახტანგ, დავით, ალმასხან, ფანაოს, ბაგრატ, თევლე, მ.რიკ.მ, ქეთე-ან და გოგოლი, ბარათა შვალები ბარიძი, ზალ და ბარამ, ბეჭთაშილი ლევის-გალობა, გულეკანოვი მელქუა, ერისთავი ელიზარ. მაკევა სვიმონ, მუშირიძევი-სექტ, ფერშანგოვი სტეფან. ქაბულაშვილები დავით, ოთარ და თამაზ, თუმანი-შვილები დავით და პავლე, წინაშელდურიშვილი სვიმონ, ფათალოვი გოდერძი, დო-ზეგილი სოლომონ, რაზმაძე სოლომონ და სხვა. განა შეიძლება გამრთდებულ ქნეს, ოლდესაც მე-19 საუკუნის პირველი ნაუერის მწეოლობის მიმოხილვისას დაპარაკობენ მხოლოდ ალ ჭა ჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნიკ. ბარათაშვილის სამსახურები, ჩამოთვლილ მწერლებს კი, რიგონდ ეკივითები არ იყენებ ისინი, სავ-შესახებ, ჩამოთვლილ მწერლებს კი, რიგონდ ეკივითები არ იყენებ ისინი, სავ-შებით უკუიან გვერდს? ამ მწერალთა მუშაობასთან დაკავშირებით ვინ იცის რო-დერ გამუჯუბოდა სამი ხემოდასახელებული პოვტის შემოქმედება?

ულობა, რომლის წევრნი, იშვიათი გამონაკლიკით, ყველა მონაწილეობას ღებულობდა ლიტერატურაში, მთლიანად გადაბარგებულ იქნა რუსეთში; მათ, ნებით თუ უნებლიერ, მიჰყეა თითქმის მთელი კულტურული ძალა ქართველებისა (განშეორდა ვახტანგ მეექვსის დროინდელი ამბავი), გამრავლებული შემდეგში მრავალრიცხოვან აჯანყებათა მსხვერპლით. ამ, ჩვენთვის უმეტესად უცნობ, პირთა მუშაობა, რომელსაც, სამწუხაროდ და სამარცხინოდ, ჯერ მკლევარის ხელარ შეხებია და რომელიც სამოციან თითქმის წლებამდე არ შეწყვეტილა, წარმოადგენს უშუალო გაგრძელებას წინასაუკუნის ლიტერატურული მუშაობისას, ის არის „ხორცი ხორცოაგან და ძვალი ძვალთაგან“ ამ მუშაობისა, და განა დასახელებული სამი მწერალი დაშორებულია ამ პირთა შემოქმედებისაგან? თითქმის ყველა მკლევართა აზრით, მათი პოეზია, განსაკუთრებით ჭავჭავაძისა და ორბელიანის, მოტივებით, შინაარსით, ფორმით, ლექსთაწყობით და ენით უშუალო ნატეხია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიისა. ჩვეულებრივ მათს შემოქმედებაში ხაზს უსვამენ რომანტიკიზმს, როგორც ახალ მოვლენას, მაგრამ მათი რომანტიზმი, რომლის ფესვები და ელემენტები მე-18 საუკუნეში ჩანს, სხვა არაფერია, თუ არა გამოტირილი იმ შერყეული და ფეხქვეშიდან მიმავალი სოციალ-ეკონომიური ნიადაგისა, რომლითაც მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ორგანიულადაა გადაბმული წინასაუკუნესთან.

ამრიგად, მე-17 საუკუნიდან მეცხრამეტის ზახევრამდე ჩვენ ერთსადაიმავე ფორმაციის ლიტერატურასთანა გვაქვს საქმე. თავისთავად იგულისხმება, ამათუმ ხანგრძლივი პერიოდის ფარგლებშიაც თვითეული წინასაუკუნე აუცილებლივ განსხვავდება რითმმომდევნოსაგან; ამ თვალსაზრისით მეოთხე პერიოდიც შეიძლება ორ ხანად იქნეს გაყოფილი: პირველი- მეორამეტე საუკუნის გასვლამდე, მეორე- მეცხრამეტის პირველი ნახევარი. პირველს ხანაში საქართველო. მიუხედავად მისი მძლავრი ლტოლვისა დასავლეთისაკენ, ჯერ კიდევ აღმოსავლეთის კულტურულ-პოლიტიკური გავლენის სფეროში იმყოფება, სპარსული ლიტერატურა ჯერ კიდევ მძლავრი და უშუალო, ფაქტორია ქართული ლიტერატურული. შემოქმედებისა. მე-19 საუკუნის პირველს ნახევერში კი ქართული კულტურა და ლიტერატურა რუსეთის გზით საბოლოოდ უკავშირდება ევროპას და აღმოსავლეთთან კავშირსა სწყვეტს. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროის მწერლობა სავსებით თავისუფალია აღმოსავლური

სპარსული, მოტივებისა და ტენდენციებისაგან; არა, ასეთი მოტივები და ტენდენციები ახლაც საკმაოდ ძლიერია იმაში, მაგრამ აქ ისინი მიღებულია როგორც მემკვიდრეობა წინასაუკუნის ქართული ლიტერატურული სინამდვილისა და არა როგორც უშუალო გამოძახილი სპარსული პოეტური ჩანგისა.

მეოთხე პერიოდშიაც იმავე ფეოდალურ სტრუქტურასთანა გვაქვს საქმე, რომელზედაც აგებული იყო საქართველოს ცხოვრება წინათ; ეს ცხოვრება ეხლაც იმავე თავშეუკავებელი დეგრესის გზით მიღის, რომელიც წინა, მესამე, პერიოდში დაიწყო. მხოლოდ ეხლა იმაში ისეთ მოვლენას ვამჩნევთ, რომელსაც წინათ არ პქონია ადგილი და რომელიც ბურჟუაზიული რენესანსის განთიადი ს მომასწავებელია; ეს არის ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის ელემენტების ჩასახვა, რომელიც ვაჭრობის ზრდა-განვითარების და სავაჭრო კაპიტალის გაძლიერების ნიადაგზე შეიქნა შესაძლებელი. ფეოდალური სტრუქტურის დეგრესისა და მის დაკნინება-დეკადანს იწვევს იმდენად არა გარეშე ძალების პერმანენტული თარეში ქვეყანაში, რამდენადაც ფეოდალური საზოგადოებრივობის წიაღში ამ ახალი ურთიერთობის ჩასახვა, რომელიც მას თანდათან უღრღნის ფესვებს და იქამდის არყევს მას, რომ საჭირო შეიქნა ლიტერატურაში ასეთი ნაძალადევი და ტენდენციური ლოზუნგის წამოყენება:

თავის პატრონსა დამონდით კარგ-გულად, ნუ ავპირეთა,

სჯულის თავთ, ეპისკოპოსთა, თავმდაბლად ემსახურეთა! (არჩილი) მეჩვიდმეტე საუკუნიდან ისახება ელემენტები ამ ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობისა, მეთვრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრიდან, ეს ელემენტები ყველასათვის შესამჩნევი ხდება, მეცხრამეტე საუკუნის პირველს ნახევარში კი მას სამკუდრო-საკიცოცხლო იერიშები მიაქვს თუთხმეტსაუკუნოვან, თუ მეტი არა, ფეოდალურ-მოხუცე, რომელიც სამოციანი წლებიდან, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ ძლეულია. 1)

როგორი იყო სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარება ჩვენი ქვეყნისა მეოთხე პერიოდში?

სოციალური დიფერენციაცია მთავარ ხაზებში იგივე რჩება, რაც წინაპერიოდებიდან ვიცით: ფეოდალური კლასი ორ ფრთად იყოფა: საეროდ და სასულიეროდ. საერო ფეოდალური კლასი თავის მხრივ

1) მართალია, ბურჟუაზიულ ელემენტებს, და საქმ.ოდ ძლიერს, ჩვენ მცოლე პერიოდშიაც ვარჩენეთ, მაგრამ ამ პერიოდ ესათვის ჩვენ არ შეგვაძლო გვაწოდებია „ბურჟუაზიის განთიადი“, რადგ. ნაც მას, ცნობილი ისტორიული პირობების გამო, არ მოჰყოლია ფეოდალური სტრუქტურის შეცვლა ბურჟუაზიულით.

ორ ჯგუფს იძლევა: მსხვილ და წვრილ-მამულიან აზნაურობას. სიტყვა „თავადი,“ რომელიც წინათ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, ეხლა იღებს სოციალურ შინაარს, ის აღნიშნავს დიდ ბატონს, თავს, უფროსს რომელიმე მსხვილი ფეოდალური საგვარეულოსას. თავადებს, რომელნიც ფართოდ სარგებლობდენ ე. წ. „შეუვალობით,“ ჰყავდათ თავიანთი აზნაურები, მსახურები და გლეხები. მსახურთ, მებეგრე გლეხთან შედარებით, უკეთესი უფლებრივი მდგომარეობა ჰქონდათ, იუმცა, საერთო შლილობის დროს, მათი მდგომარეობაც ირყეოდა და გლეხისას უახლოვდებოდა. მე-17 საუკუნის დასასრულიდან დასავლეთ-საქართველოში ჩნდება კატეგორია ე. წ. მოჯალაბე გლეხთა, რომელთა მდგომარეობა მებეგრე გლეხისაზე უარესი იყო (ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, გვ. 79-81, თბილისი 1920 წ.). მდგომარეობა გლეხებისა, რომელსაც კისერზე აწვა მძიმე ულელი ბატონ-ყმობისა; იმდენად უნუგეშო და მძიმე იყო, რომ XVII — XVIII საუკუნეთა მანძილზე მან გამოიწვია მთელი რიგი აგრარული ხასიათის მოძრაობისა. ცნობილი მოგზაური შარდენი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში სწერს: „მებატონეებს დიდი უფლება აქვთ ყმებზე, ისინი მთელი თვეების განმავლობაში, რამდენიც სურთ, ამუშავებენ ყმებს და არც ჯამაგირს და არც საზრდოს აძლევენ მათ. მათ ხელი მიუწვდებათ ყმების ქონებასა, თავის-უფლებასა და სიცოცხლეზედაც კი. ბატონები ჰყიდიან ყმების შვილებს ანდა მონებადა ჰყავთ სახლში.“ არც მე-18 საუკუნეში გაუმჯობესებულა გლეხობის მდგომარეობა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ასეთი ადამიანიც კი, როგორიც იყო დავით გურამიშვილი, გულმოდგინედ არბევს და „როზგავს“ თავის ყმებს (რუსეთში) და მათვის სხვა დანიშნულებას ვერ ხედავს, თუ არა-

უნდა მხვნელთა და მთესველთა, მწიდვნელთა გინა მბარავთა მზის ალმოსვლათგან ჩასკლამდე შიგ არ შეხეული კარავთა; ცხელის ოფლითა დამწვართა, ჩრდილთ ქვეშ მიუკარავთა, რაც იმუშაონ, ჭამონ და აჭამონ ქვეყნის მფარავთა.

ყმების მდგომარეობა უფრო გამწვავდა მე-19 საუკუნის პირველს ნახევარში, როდესაც ბატონის უსაზღვრო ექსპლატაციას თანდაერთო ექსპლოატაცია ბიუროკრატიული აპარატისა: მათ კისერზე დააწვდი არმია მექრთამე „ჩინოვნიკებისა“ და „კაპიტან-ისპრავნიკებისა,“ რომელთა გაუმაღლობამ არაერთი წმიდა გლეხური აჯანყება გამოიწვია ამ ხანაში. მაინცდამაინც სანატრელი არც იმ გლეხის მდგომარეობა იყო, რომელიც ეკლესიას ეკუთვნოდა, რადგანაც მკ-

ლესია უფრო მეტად სარგებლობდა „შეუვალობით,“ ვიდრე თავადა-აზნაურობა, რაც მას მეტი ექსპლოატაციის საშუალებას აძლევდა; ამით აიხსნება, რომ მე-18 საუკუნეში გლეხთა მასიური პროტესტი განსაკუთრებით საექლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობის წინააღმდეგაა მიმართული.

თუ აღნიშნულ კლასებსა და ჯგუფებს ჩვენ მიუმატებთ აღებ-მიცემობის ხელმძღვანელ ვაჭართა ჯგუფს (და არა კლასს ჯერ-ჯერობით), აგრეთვე საამქრო სისტემაზე აღმოცენებულ ხელოსანთა კორპორაციას და მანუფაქტურული და მსხვილი მრეწველობის ელე-მუნტების ჩასახვით შექმნილ მუშათა წრეებს, მივიღებთ სრულს სურათს იმდროინდელი ჩვენი სოციალური ყოფისას.

ეკონომიკური მდგომარეობა, იმისდა მიხედვით, მოსვენებული იყო თუ არა ქვეყანა გარეშე მტერთა თავდასხმისაგან, ხან წინ იწევდა, ხან ქვეითდებოდა. ასე, მაგალითად, ვახტან V შავნავაზის დროს ქვეყანა გარეშე მტრებისაგან შედარებით მოსვენებული იყო. ამით აიხსნება, ალბათ, რომ ამ მეფის სასახლის მოწყობილობამ და სიმდიდრემ გაკვირვებაში მოიყვანა თვით განათლებული ევროპიელი შარდენიც კი, რომელიც, ზედმეტი არაა აღვნიშნოთ, ამბობს: „დაბალი წოდებისანი სულ ლორის ხორცსა სჭამენ... დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ იმისთანა კარგი სანოვაგე, როგორიც საქართველოშია, არსად სხვა ქვეყანაში არ იქნება. არც ისეთი ქვეყანა იქნება, რომ იმდენსა და ისეთს კარგ ღვინოს სვამდენ, როგორც საქართველოში. საპალნე ღვინო აქ ფასობს რვა ფრანკი, ასე ფასობს უკეთესი ღვინო, ხოლო ცოტა მდარე არც ამის ნახევარი ღირს. არც სხვა სანოვაგეა ძვირი“. ეკონომიკის მთავარ ბაზას შეადგენდა კარგაკეტილი ნატურალური მეურნეობა, სასოფლო მეურნეობის უპირატესობით: მისდევდენ უმთავრესად მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, მებალეობა-მევენახეობას. უყრადღებოდ არ რჩებოდა არც სხვა დარგები სახალხო მეურნეობისა; განვითარდა, განსაკუთრებით მე-18 საუკუნიდან, სხვადასხვა დარგის ხელოსნობა, 1) თავი იჩინა საუკუნის მეორე ნახევარში მანუფაქტურულმა (ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება) და ნაწილობრივ მსხვილმა მრეწველობამ სამთა-მაღნო საქმიანობის წამო-

1) ხელოსნობას რომ ფართედ ჰქონდა კარგი გაღვბული, ეს ჩანს მე-17 საუკუნის მისიონერის, ბერნარდე ნეაპოლის, მოხსენებიდან, სადაც ნათქვამია: ბავშები, განვითარდა თუ არა რესა ან სულ ბევრი ათი წლისა, მშობლებს ჩვენგან გაჰყავთ და აყენებენ ხელობაზე“ (თამარა შვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 254-5).

წყებით. მაღნეულობის დამუშავების მნიშვნელობა შეგნებული ჰქონდა ჯერ კიდევ თეიმურაზ პირველს, რომელიც ამ საქმისათვის ოსტატებს თავდაპირველად ოსმალეთში ეძებდა, მერე კი რუსეთიდან იწვევდა; მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მას მიაქცია ირაკლი მეორემ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახტალისა და ალავერდის ქარხნებს, ეს მაღნები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელ ეკონომიკაში: 1780 წელს ახტალის მაღნებმა მისცა ირაკლის 63200 მანეთის ოქრო-ვერცხლი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ამ პერიოდში აღებ-მიცემობის განვითარებამა და სავაჭრო კაპიტალის ზრდამ, რაც მე-17 საუკუნის პირველი ნახევრიდან იჩენს თავს დასავლეთ-ევროპასა და რუსეთთან ურთიერთობის დამყარების გამო. ცნობილია, რომ ევროპის კაპიტალს აღმოსავლეთისაკენ გზას უკაფავდა ჯვარი და სახარება, კათოლიკეთა მისიონერებმა ამ მხრივ საქართველოსაც დაატყვეს კვალი. მას შემდეგ, რაც მე-17 საუკუნის დამდეგს რომში, საქართველოს მიზეზით, პროპაგანდის კოლეგია დაარსდა და ევროპიელ მისიონერებს კვლავ გაეხსნათ საქართველოში. შემოსასვლელი გზა, რომელიც XVI საუკუნეში თითქმის სრულიად დაკეტილი იყო მათთვის ოსმალთა მიერ; მას შემდეგ, რაც ცნობილმა ნიკიფორე ირბახმა, თეიმურაზის დავალებით, საგანგებო მისით, თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა შემოიარა, — კათოლიკეთა მისიონერები, სხვადასხვა ორდენებისა და შიმართულებისა, მკვიდრად იკიდებენ ფეხს. ამათ კვალდაკვალ მოჰყვებიან უკან სხვადასხვა კომერსანტები, რომელნიც მისიონერთა ეკლესიებსა და მონასტრებს ბაზად იყენებენ თავიანთი კომერციული საქმიანობისათვის და, აქ შესვენებით, სპარსეთსა და ცენტრალურს აზიაში გადაიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით ქართველები დიდად აფასებდენ ამ მხრივ მათს მნიშვნელობას. ცნობილი შარლენი, რომელიც ჩვენში 1671 წელს იყო, სწერს: „მეფემ (ვახტანგ V) შემომითვალა: ძლიერ მსურს ევროპიულები დასახლდენ საქართველოში, და გვიბრძანა: თუ აღებ-მიცემისათვის მოვლენ ევროპიულები, გავანთავისუფლებ ყველა გადასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენ. ჩემი საბრძანებელია შავზღვამდე, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში, დიდი პატივი ოსმალეთში და ამიტომ ევროპიელები ინდოეთში მისელა-მოსვლისათვის საქართველოზე უკეთესს გზას ვერ იძოვნიან. თუ ერთხელ სცადეს და ამ გზით გაიარეს, მერე აღარ დასტოვებენ ამ გზით სიარულს“. ცხადია, ასეთი ცდები უშედეგოდ არ დარჩებოდა და ის ინტენსიური მუშაობა მისიონერებისა, განსა-

კუთრებით მე-18 საუკუნეში, რომლის მეოხებით კათოლიკობამ უმაღლეს სამღვდელო წრეებშიც კი გაიკაფა გზა, ბოლოსადაბოლოს იყო შედეგი დასავლეთ-ევროპის კაპიტალის აქტივობისა.¹⁾ მე-19 საუკუნის პირველს ნახევარში ევროპასთან საქართველოს ვაჭრობამ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო. ამხ. ფ. მახარაძის ცნობით, რუსეთმა, საკუთარი ინტერესების კარნახით, საჭიროდ დაინახა 1832 წლამდე არ გაეტარებია ჩენენში ის სადამოქნო ტარიფი, რომელიც რუსეთში მოქმედებდა და რომელიც მფარველობითს სისტემაზე იყო დამყარებული. ამის შედეგი ყოფილა ის, რომ სწორედ ამ ხანებში ტფილისელ ვაჭრებს გაუბამთ ურთიერთობა ევროპის ბაზრებთან, როგორც, მაგალითად, მარსელთან, ლაიპციგთან, ტრიესტთან და სხვ. შემოტანილი საქონლის ნაწილი ტფილისელ ვაჭრებს სპარსეთში გაჰქონდათ, ასე რომ ევროპის აღებ-მიცემობა სპარსეთთან ხდებოდა ვაშინ ტფილისის საშუალებით (საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში. ფურნ. „მნათობი“, 1926 წ. № 3, გვ. 187—8).

საქართველოს ვაჭრობის შესახებ ამ პერიოდში აღმოსავლეთთან და დასავლეთთან ცნობები შემოუნახავთ ევროპიელებსაც, რომელნიც სავაჭრო საგნებსაც კი აღნიშნავენ. საქართველოში 1631 წელს ჩამოსული არქანჯელო ლამბარტის ცნობით, წინა-საუკუნეებში მიმქრალი ვაჭრობა კვლავ გამოცოცხლებულა მე-17 საუკუნის პირველს ნახევარში; ამ დროს სამეგრელო და მისი საშუალებით მთელი საქართველო აწარმოებს ვაჭრობას სპარსეთთან და ოსმალეთთან, საიდანაც შემოჰქონდათ ნოხები, ტყავეულობა, ლნავირები, მაუდი, რკინეულობა, სპილენძი, მატყლი, ქსოვილები, თევზეულობა, დანები, შაქარი, მარილი და სხვ. საქართველოდან გაჰქონდათ თაფლი, სანთელი, აღგილობრივი ტილო-ხამი, ძაფეულობა, აბრეშუმი, სელის კაკალი და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო მოსაგებიანი საექსპორტო საგანი ყოფილა აღამიანი. ზემოდასახელებული შარდენი სწერს: „ტფილისიდან ბლომა ლვინო მიაქვთ სომხეთს, მიღიას და ისპაანს... აქ ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ, აბრეშუმის მოვლა კარგად იციან. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთს, არზრუმს და სხვა ქვეყნებში... ტფილისი დიდი არ არის, მაგრამ ძლიერ დასახლებულია და გამაგრებული... აქ რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა: დიდრონი ბაზრები, ქვით ნაშენი და სუთთად შენახული... ღუქნებიც კარგად

¹⁾ კათოლიკობას საქართველოში ხელი შეუწყვია აღებ-მიცემის ზრდისა და სავაჭრო ტრადიციების შექმნისათვის, განსაკუთრებით XVII—XVIII საუკ. ამის შესახებ იხ. ზ. ჭიჭინაძის „ქართველ კათოლიკთა ვაჭრობა“, ტფილისი 1905 წ.

შორის მიღებილია, სუფთად შენახული, ისინი ჩამწკრივებულია მაღლობზე, დიდი მოედნის პირს“. ტურნეფორი 1702 წელს სწერს: „ტფილისი საკმაოდ ვრცელი და კარგად დასახლებული ქალაქია... უმთავრესი სავაჭრო ტფილისისა არის ტყავები და ბეწვეულობა, რომელიც გააქვთ სპარსეთს და კონსტანტინოპოლის არზრუმიდან. ადგილობრივი აბრეშუმი ტფილისში არ შემოაქვთ, რომ ბაჟი არ გადაიხადონ, მას ადგილობრივ ჰყიდულობენ ტფილისის სომხები და პირდაპირ ჰეზავნიან ზმირნასა და ხმელთაშუა ზღვის ნავთსაყუდლებში ფრანგთათვის მისაყიდად. ტფილისის მიღამოებიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან ყოველ წლივ იგზავნება 2000 აქლემის საპალნე ენდრო; არზრუმიდან ენდრო შეაქვთ დიარბერჯირს, საცაშით ლებავენ ფარჩეულობას პოლონელთა ქარხნებისათვის; საქართველო ბევრ ენდროს აძლევს ინდოსტანსაც“ (Сборник сведений о Кавказе, т. VI, 283—5).

განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ პერიოდის ქართველთა ცხოვრებაში რუსეთის სავაჭრო კაპიტალმა. რუსეთთან ურთიერთობა სისტემატურ ხასიათს იღებს ალექსი მეფის დროიდან, რომელიც საგანგებოდ ელჩებსა ჰეზავნის ჩვენში და თეიმურაზ პირველსაც სტუმრად ლებულობს. ეს ურთიერთობა უფრო საქმიანი ხასიათისაა, ელჩებს დავალებული აქვთ მუშტრის თვალით შეისწავლონ ჩვენი ქვეყანა, მისი საწარმოო ძალები, სასოფლო მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა, მოსახლეობა, დამოკიდებულება სხვა მეზობელ ქვეყნებთან და სხვ. გიგანტური ნაბიჯით მიემართება აღმოსავლეთისაკენ საქართველოს გზით რუსეთის სავაჭრო კაპიტალი განსაკუთრებით პეტრე დიდის დროიდან, რომელმაც ფეხი მოიმაგრა აზოვისა და კასპიის ზღვებზე, მან საქართველოშიც გადმოიხდა და ვახტანგ მეექვსესთან პოლიტიკური ურთიერთობის დაჭრაც კი მოინდომა იმ მიზნით, რომ ვახტანგის ხელით ვაეკაფა რუსული კაპიტალისათვის სპარსეთში გზა. ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად უფრო აღრე „შეუერთდა“ რუსეთს, ვიდრე პოლიტიკურად; მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც საქართველო, უფრო კი მისი აღმოსავლეთი ნაწილი, სულერთიან დაპყრობილი ჰყავს რუსეთის კაპიტალს, ის რუსეთის ბაზრადაა ქცეული, ტფილისი რუსეთის საქონლის საწყიობია, იქამდის, რომ ბეწვეულობას აქედან აგზავნიან არა მარტო სპარსეთსა და არზრუმს, არამედ ყირიმშიც კი. წინანდელი პრიმიტიკული გაცვლითი ვაჭრობა თანდათან ადგილს უთმობს ფულზე ვაჭრობას, რაც იწვევს ფულის მოთხოვნილების ზრდას; მის ნაკლებობას, მიუხედავად საბაჟოებისა და საგადასახადო სისტემის მოგვა-

რებისა, ავსებენ ძველებური ნაცადი გზით—უცხოეთიდან შემოსული ხარკით. 1785 წელს განჯა-ერევნის სახანოებიდან შემოსული ხარკი უდრიდა 400 ათას მანეთს. XVII-XVIII საუკუნეებში იმდენად ძლიერია ვაჭართა წრე, რომ არჩილ მეფე და დავით გურამიშვილი მისს „ზნეობის“ კოდიფიკაციას ახდენენ. უფრო გართულდა სავაჭრო ურთიერთობა მე-19 საუკუნის პირველს ნახევარში, როდესაც აღებ-მიცემამ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. სავაჭრო ურთიერთობისა და კაპიტალის ზრდამ გამოიწვია პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობის თანდათანობითი რლვევა და შლა, რამდენადც ვითარდებოდა აღებ-მიცემა, იმდენად მატულობდა და იზრდებოდა ამ რლვევის და დაშლის პროცესი. ეს იწვევდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ზრდას, ერთი მხრით, და ფულის საჭიროების ზრდას საზოგადოებაში, მეორე მხრით. ფულის მოთხოვნილება უმთავრესად თავად-აზნაურობას განუვითარდა, რომელიც არაფერს აკეთებდა, სამაგიეროდ ბევრსა ხარჯავდა. ამან გამოიწვია მე-19 საუკუნის პირველს ნახევარში სავაჭრო კაპიტალის ზრდა, თავად-აზნაურობის მიერ აღგილ-მამულისა. და ყმების დაგირავება-გაყიდვა და საერთოდ მისი დავალიანება (ფ. მახარაძე, საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში, ჟურნ. „მნათობი“ 1926 წ. № 3, გვ. 191).

პოლიტიკურად საქართველო ამ პერიოდში გაყოფილია სამ. სამეფოდ: ქართლი, კახეთი, იმერეთი,—და ოთხ სამთავროდ: გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი (სამცე-საათაბაგო უკვე 1625 წლიდან ოსმალეთმა შეიირთა). ამ სამეფო-სამთავროებს შორის დაუსრულებელი ქიშპობა, კინკლაობა და შფოთი იყო, რასაც ართულებდა ხშირად გაუგებრობა ეკლესიასთან, რომელიც „შეუვალობის“ პრინციპის წყალობით წინანდებურად „სახელმწიფოს სახელმწიფოში“ წარმოადგენდა (ისიც გაყოფილი იყო მცხეთისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოდ, უკანასკნელიდან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ერთ დროს ოდიშის საკათოლიკოზო გამოეყო) და. პოლიტიკურ ძალა-უფლებასაც კი იღებდა ხელში, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მალაქია კათოლიკოზის დროს, რომელმაც 1625 წელს გურიელობაც კი დაიკავა. როგორც თვითეული სამეფო, ისე სამთავრო, თავის მხრივ, რამდენიმე კარჩაკეტილ და, „შეუვალობის“ წყალობით, თითქმის დამოუკიდებელ საერისთაოდ ნაწილდებოდა; ამ საერისთაოთა სათავეში მდგომი ფეოდალები გამუდმებულ ბრძოლასა და კინკლაობას აწარმოებდენ როგორც ურთიერთ შორის, ისე მეფე-მთავართა წინააღმდეგ. ასეთი დანაწილება ქვეყნისა დამუჰპველი იყო, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა იმ დროსაც კი. ამი-

ტომ ამ პერიოდის დასაწყისიდანვე იჩენს თავს მისწრაფება ეროვნული მთლიანობის აღდგენისაკენ. ასეთი მთლიანობის აღდგენისათვის საჭირო იყო ჯერ შინაური, ფეოდალური ძალების აღაგმვა, ამ შეჩივ სოლომონ პირველმა იმერეთში და ირაკლი მეორემ ქართლში გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს (რაჭის, ქსნისა და არაგვის საერისთაოს გაუქმება), მაგრამ ფეოდალური სისტემა იმდენად ფეხგამდგარი იყო ჯერ კიდევ, რომ ირაკლი უნებლიერ უწყობს ხელს მის არსებობის გაგრძელებას, როდესაც სახელმწიფოს ნაწილებს ფეოდებად ურიგებს თავის შვილებს. აღნიშნული მთლიანობის აღსაღენად საჭირო იყო უფრო მეტად ცალკე სამეფო-სამთავროების გაერთიანება. ამ აზრს გაბედულად ქადაგებს მწერლობა ფეშანგი ფაშვიბერტყაძის და დავით გურამიშვილის პირით, ხელს ჰყიდებს მის პრაქტიკულად განხორციელებას ვახტანგ V შავნავაზი და წვრილი აზნაურული წრიდან გამოსული გიორგი სააკაძე, მაგრამ ყველაზე უფრო მძლავრი ფაქტორი ამ შემთხვევაში გამოდგა სავაჭრო კაპიტალი. მისი გამაერთიანებელი, ცენტრალისტური ტენდენციებით აიხსნება, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნსხევარში ფაქტიურად გაერთიანდა ქართლ-კახეთი, დაისვა მძლავრად საკითხი სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისა და დასავლეთ-საქართველოს აღმოსავლეთ-საქართველოსთან გაერთიანებისა, რამაც გამოხატულება პოვა 1792 წლის ტრაქტატში. ეს საკითხი იმდენად მომწიფებული და რეალური იყო, რომ უკვე მე-18 საუკუნე, განსაკუთრებით კი ირაკლი მეორის დროის სამეფო კარი და საზოგადოების შეგნებული ნაწილი აბსოლუტისტური სულისკვეთებითა გაულენთილი. სამწუხაროდ, ქართული სავაჭრო კაპიტალი ჯერ იმდენად არ იყო წელგამაგრებული, რომ მას შესძლებოდა ამ საქმის სისრულეში მოყვანა, ეს წილად ხვდა უკვე უცხო კაპიტალს, რომელიც მე-19 საუკუნეში რუსული ბურჟუაზიის სახით შემოიჭრა ჩევნში.

რუსულ ბურჟუაზიას დიდი ხნიდან ეკაფებოდა გზა ჩევნში, საქართველოს მდგომარეობას ართულებდა იმდენად არა შინაური უთანხმოება და არეპ-დარუვა, რავდენადაც გარეშე მტრების პერმანენტული თარეში. ქრისტიანული საქართველო გარშემორტყმული იყო ისეთი ქვეყნებით (სპარსეთი, ოსმალეთი, კაეკასიის მთიელები), რომელნიც მაჭმადიანობას აღიარებდნენ და, თავიანთ ზნე-ჩევეულებასთან ერთად, მაჭმადიანობას ახვევდენ ქართველებს თავზე. ამიტომ ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის, წარმოებული, რასაკირველია, ეკონომიკური ინტერესების კარნახით, იღებდა ხოლმე სარწმუნოებრივი ომის ხასიათს, რაც ჩევნი ცხოვრების მესვეურთა პოლიტიკას გარ-

კვეულ მიმართულებას აძლევდა. ქართველი მეფეები მაჰმადიანთა წინააღმდეგ დახმარებას ეძებენ ორი გზით: დასავლეთი ევროპის (თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ირაკლი II) და ჩრდილის. ჩრდილის გზა უფრო მოკლე გამოდგა, თან ის კონფესიონალურადაც უფრო მისაღები იყო ქართველებისათვის (როგორც რუსები, ისე ქართველები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ), ამიტომ რუსული ორიენტაცია საბოლოოდ იმარჯვებს ჩვენში: 1783 წელს ქართველები შედიან რუსეთის „მფარველობაში“, რომელიც 1801 წელს სრული ინკორპორაციით შეიცვალა. ამ გარემოებამ ქართულ ფეოდალურ კლასში, რომელმაც დაკარგა პოლიტიკური ძალა-უფლება, გამოიწვია იმედის სრული გაცრუება და უკმაყოფილება, რამაც გამოხატულება პოვა როგორც ლიტერატურაში, რომანტიზმის განვითარების სახით, ისე მთელ რიგ შეთქმულება-აჯანყებაში. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დაკურნაშებული საქართველო ეროვნულად და კულტურულად გაერთიანდა.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში ლტოლვა აღმოსავლეთისა-კენ საქართველოს გზით დასავლეთიდან ევროპიულის, ხოლო ჩრდი-ლოეთიდან რუსული კაპიტალისა, ასეთივე ლტოლვა სამხრეთიდან საქართველოსაკენ სპარსეთისა და ოსმალეთისა, ერთის მხრით, რუ-სეთისაგან თავდაცვის მიზნით, მეორე მხრით — ჩვენი ქვეყნის ხელში ჩაგდების გულისათვის, საქართველოს ხდის ერთერთ იმ ქვეყნად, სადაც თავს იყრის, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ბურუუზის ინტე-რესები. ამ გარემოებას აუცილებლივ უნდა ჩაეთრია ეს ქვეყანა, რო-მელიც, ბუნდოვანად მაინც, უკვე გრძნობდა ფულის მნიშვნელობას და ფეოდალური არტახების მოშვების აუცილებლობას, ამ მსოფლიო ორომ-ტრიალში, და ისიც ფართედ ულებს, თუ ალებინებენ, კარებს ყველა ქვეყნიდან აქეთკენ გამოქანებულთ. წრე მისი საერთაშორისო ურთიერთობისა გაფართოვდა: მას პირდაპირ უხდება საქმის დაჭერა დასავლეთ — ევროპასთან, რუსეთთან, სპარსეთთან, ოსმალეთთან, სო-შხებთან და ქველი ბიზანტიის მონაგონარ ბერძნებთან; ორი წლის განმავლობაში ქართველთა ჯარის ირაკლი მეორის მეთაურობით ლაშქრობა ნაღირ-შაჰის დროს ინდოეთში ფარდას ჰედის მის თვალ წინ შორეული აღმოსავლეთის ფეერიულ საიდუმლეობას. ასე რომ მართალი იყო შარდენი, როდესაც სწერდა: „ქართველებს მი-სვლა-მოსვლა აქვთ მრავალ ხალხებთან; თვით საქართველოში ყვე-ლას აქვს უფლება იცხოვროს თავისი რჯულისა და ჩვეულებისამებრ, თავისუკლად ილაპარაკოს ამ საგანზე და დაიცვას თავისი შეხედუ-ლება. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარ-ლება. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარ-

ჟელებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, ევროპიელებს. სომხები ბე-
ვრნი არიან აქ, ისინი ქართველებზე უფრო მდიდრებია, დაბალი
მოხელეების აღვილები უმეტესად მათ უჭერიათ*. ყველაფერი ეს შე-
საძლებლობას ჰქმნიდა წინაპერიოდში მითერფლილი და მიძინებული
ტრადიციები კულტურული ცხოვრებისა კვლავ გაცოცხლებულიყო;
და ეს ასეც მოხდა. მართლაც, მიმდინარე პერიოდში საქართველოში
თავი იჩინა საკმოდ ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მო-
ძრაობამ: გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე, იხსნება
პირველდაწყებითი და საშუალო საფეხურის სკოლები (სემინარია
ტფილისისა და თელავისა, კეთილშობილთა სასწავლებელი მე-19 სა-
უკუნ.), მუშავდება პროექტი და გეგმები უმაღლესი სკოლისა გორში,
შემოღებულ იქნა წიგნის ბეჭდვის ხელობა, საფუძველი დაედო
მნიშვნელოვან წიგნთსაცავებს, გაიზარდა წერაკითხვის მცოდნეთა
წრე, განსაკუთრებით ქალთა შორის, როგორც ამას მოწმობს კაპი-
ტანი იაზიკოვი: „что же принадлежит до благородных
женщин, они все писать умеют“; გაფართოვდა წრე ლიტერა-
ტურულ მოღვაწეთა, ამ წრეში მოექცა ეხლა სამეფო ოჯახის და
გვარეულობის წევრებიც, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები.
გამრავლდა რიცხვი უცხო ენათა მცოდნე პირებისა, გაჩაღდა
ახალი ცენტრები ლიტერატურული მუშაობისა საქართველოს გარე-
შეც, განსაკუთრებით რუსეთში, საღაც, მეთვრამეტე საუკუნიდან
მოყოლებული, ისტორიული ჩარხის ტრიალი შეუჩერებლივ მიერეკე-
ბა ცხოველმყოფელ კულტურულ ძალებს, რო მელნიც ინტენსიურად
მომუშავე და პროდუქტულად ნაყოფიერ შეკოლას ქმნიან აქ. საუ-
კუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ აღმოსავლურ ტრადიციათა
გვერდით ფეხს იკიდებს ახალი, ევროპიული ზნე-ჩვეულებები: ევრო-
პიული სუფრის მოწყობილობა, ფაიფურის, ჭურჭელი, ევროპიული
კოსტუმი, ქალების ქოლგა, „შლაპა“ და სხვ. იწყება აღორძინე-
ბა მეცნიერების სხვადასხვა დარგისა, როგორიცაა: შედიცინა, ლინ-
გვისტიკა, ასტრონომია, გეოგრაფია, ისტორია, ფილოსოფია (შემო-
დის ვოლტერიანობა), იურისპრუდენცია და თეოლოგია; ანტონ კა-
თოლიკოზის „მზამეტყველებაში“ უკანასკნელად იელვა დიდიხნის
მიძინებულმა ქართულმა თეოლოგიურმა აზროვნებამ, რომელმაც
აღნიშნულ თხზულებაში მოგვცა მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი.
მეცნიერებასთან ერთად ისახება თეატრი და პერიოდიკა („ქართული
გაზეთი“ და „ტფილისის უწყებანი“ მე-19 ს.).

აზეირთებულ მდინარეს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვ-
რებისას ჰქმნიან სხვადასხვა მიმართულების და მნიშვნელობის ნა-

კადნი, ოომელნიც პირველობისათვის ეცილებიან ერთმანეთს. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, ოომ ამ პერიოდში საერო კულტურა ებრძვის სასულიეროს; სასულიერო სფეროში იბრძვიან მაჰმადიანობა და ქრისტიანობა, ქრისტიანობაში—კათოლიკობა და მართლმადიდებლობა. საერო სფეროში ებრძვის დასავლური, რუსულ-ევროპიული კულტურა აღმოსავლურს,—სპარსულ—ოსმალურს, ვაჭრულ-ხელოსნური აგრარულს; ბოლოსდაბოლოს კი მთელი ეს დუღილი არის ბრძოლა ახალი ბურუუზიული კულტურის ელემენტებისა ფეოდალურ, ბატონ-ყმურ კულტურასთან. ბრძოლა კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში, ოომელიც, საბოლოო ანგარიშით, სოციალ-ეკონომიურ ნიადაგზეა აღმოცენებული, გამოძახილს პპოულობს ამდროინდელ მწერლობაში.

მეოთხე პერიოდის ლიტერატურაში თავი იჩინა გამოცოცხლებისა და წინსვლის უტყუარმა ნიშნებმა, გამოცოცხლებას ვამჩნევთ შწერლობას როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. საუკუნეებით ნაანდერძევი ნაკადი სპარსული ლიტერატურისა, ოომელსაც ამ პერიოდში თანერთვის ოსმალურ-თურქული მწერლობის ნაკადიც, თავისთავად იგულისხმება, ეხლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი ლიტერატურის წინსვლისა, თუმცა ეს ნაკადი თანდათან სუსტდება და ადგილს უმზადებს ევროპიულ-რუსულ მოტივებს.

ფეოდალური კლასი, ოომლის სტაბილიზირებულ მდგომარეობას თანდათანობით არყვს და შეუჩერებლივ ულრღნის ფესვებს ახლად ჩასახული სოციალური ელემენტები, მობილიზაციას ახდენს მთელი თავისი ძალებისას და გაორკეცებული ენერგიით იბრძვის ამ ელემენტების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ის მკვეთრ იარაღად იყენებს მხატვრულ სიტყვასაც, მხოლოდ საჭირო შეიქნა აღნიშნული იარაღის ისე ჩამოყალიბება და მომარჯვება, ოომ ის საგრძნობი და გასაგები გამხდარიყო ამ ელემენტებისათვის. საქმე ისაა, ოომ ახალი სოციალური წრეებიდან გამოსული მკითხველისათვის გაუგებარია სილრმე სარწმუნოებრივი გრძნობისა და პერიოქული პათოსი რაინდული ეპიკისა, მას უფრო იზიდავს სიმარტივე, ჯანსაღი აზრი და რეალისტური გადმოცემა სინამდვილისა. აღნიშნულმა მოვლენამ განსაზღვრა ხასიათი და მიმართულება ამ პერიოდის მწერლობისა და შემოიტანა იმაში ყოველივე ის ახალი, რაც ასე დამახასიათებელია მისი, სახელდობრ:

1. ეროვნული მოტივისა და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერება. გაჩნდა მთელი რიგი მწერლებისა, ოომელნიც ღრმად ჩასწვდენ გულში თანამედროვეობას და ფო-

ტოგრაფიული თითქმის სისწოლით პლატედეს ხარ კარგი განვითარება და კართველოს თანამედროვე ვითარებაში წარუშლელი ბეჭედი დაასგა ამ კატეგორიის ნაწარმოებთ, რომელთა ხასიათი, მიმართულება და ლეიბ-მოტივი გამომხატველია ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობისა. ეროვნული სული ჩანს, არაიშვიათად, თვით უცხო ენიდან ნათარგმნს თუ გადმოკეთებულს თხზულებებში, რომლებშიაც, არის შემთხვევა, საკუთარი სახელები ქართულს სახეს ღებულობს, ქართულ ენას ლაპარაკობენ სხვადასხვა ერები ამათუმი თხზულებისა.

2. თემატიკის გაფართოება. ცხოვრების ახალმა სიომ მოითხოვა მწერლობაში თემატიკის გაფართოება იქამდის, რომ ლიკ ტერატურაში გაბედულად და მკაფიოდ წამოყენებულია პრობლემა სოციალური ბოროტებისა და უთანასწორობის შესახებაც კი; რით აიხსნება; რომ ერთი ლარიბია და უბედური, მეორე კი; მდიდარი და თითქოს ბედნიერი (გაბაასება წუთი-სოფელთან, განსაკუთრებით არჩილის)? მართალია, საკითხი გადაჭრილია ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაზრისით, მაგრამ ამ დროისათვის ჩვენში თვით საკითხის დასმაც სიმპტომატიურ და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თემატიკის გაფართოება აუცილებელი იყო ამ პერიოდში, ვინაიდან ეხლა ცხოვრებაში გარკვეულ ადგილს თხოულობენ, საკმაოდ საგრძნობლად, ის სოციალური წრეები, რომელთაც ფეოდალური ლიტერატურა წინათ ყურადღებას არ აქცევდა; ესენია: ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები ან „მუშავნი, დილით ღამემდინ მყეფენი“ (არჩილი) და მუშები (ჩანა სახის სახით). ჩნდებიან ვაჭრულ-ხელოსნური წრიდან გამოსული პოეტები და მელექებები, როგორც, მაგალითად, საიათნოვა, სტეფანე მკერვალი, მებალე დავითა, პაჭუა, ბლიაძე, კოტაშვილი და სხვა, და მწერლობაში იჭრება ვაჭრულ-ხელოსნური მოტივები, განსაკუთრებით ე. წ. „ყარაბილულ-აშულური“ პოეზიის სახით. ვაჭრულ-ხელოსნურსა და გლეხურ მოტივებს ეხებიან ფეოდალური წრიდან გამოსული პოეტებიც (არჩილი, დავით გურამიშვილი, განსაკუთრებით იგავ - არაკების ავტორები), მაგრამ ეს მოტივები აქ ფეოდალურ პრიზმაშია გადატეხილი. ამ პერიოდის ვაჭრულ წრეს, საერთოდ ბურჟუაზიას, ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა საკუთარი კლასიური მწერლობის შექმნისა; გვაქს მხოლოდ ერთადერთი გაუბედავი და მორცხვი ცდა ამ დარგში პოემა „სარიდონიანის“ სახით, სადაც ვაჭრული ტენდენციები და ვაჭრის იდეალიზაცია აშკარად გამოსჭვივის.

3. ამ პერიოდის ლიტერატურის დამახასიათებელია ახალი ლიტერატურული სტილები. სუკუნებით გამტკიცებული ფეოდალურ-რაინდული ფანტასტიკის გვერდით ამ დროის მწერ-

ლობაში თავს იჩენს, ოოგორც ჩეაქცია მის წინააღმდევ, ახალი
რეალისტური, თუ შეიძლება ითქვას პირობით, მიმართულება და
სტილი; ეს, რასაკვირველია, შედევია ბურეაზიული ტენდენციების
ჩასახვა - გაჩენისა, ოომელსაც ამ პერიოდში ვხედავთ. ფანტასტიკის
მაგიერ ლიტერატურა თხოულობს „მართლისა“ თქმას, ის, ზოგიერთი
პოეტების პირით (ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, არჩილი, თემურაზ II)
ჰგმობს სპარსულიდან ნაჭორ ამბებს და მწერლებს, ოომელნიც დროსა
და ენერგიას ხარჯავდენ ისეთ პირთა და ამბავთა შესაქებად, ოომელ-
ნიც არ ყოფილია და არ მომხდარან ნამდვილად. ამის პასუხია ის
„რეალიზმი“ (რასაკვირველია, არა თანამედროვე გაგებით), ოომელ-
იც მოცემულია საისტორიო პოემებსა და „ზენობათა“ კოდიფიკაცია-
ში (არჩილი, თემურაზ II). ეს ერთი, მეორე — ეპოქის აბსოლუტის-
ტური სულისკვეთება, ოომელიც თავს იჩენს განსაკუთრებით ირაკლი
მეორის დროს და კარზე და ნაწილობრივ განხორციელდება კიდევ, პეტენის
ახალ ლიტერატურულ მოვლენას. სამეფისკარო არისტოკრატიისა
და ახლადჩახახული ბურეუაზიის ხელით საფუძველი ეყრება ახალ კულ-
ტურას, ოომელიც შეშვენის გამარჯვების გზაზე შემდგარ აბსოლუ-
ტიზმს და ოომელიც ევროპაში ცნობილია კლასიციზმის ან, უფრო
სწორად, ფსევდოკლასიციზმის სახელით. ამისი ნიშნებია:
ამ ხანის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოდას,
ოომელიც ქებათა-ქებას ასხამს ეპოქის დიდების შემქნელ ბრძენ
მეფეებსა და ძლევა-მოსილ სარდლებს (ირაკლის, დავით სარდალს,
ასპინძის და რუხის ბრძოლას, ფოფის აღებას, „პავლეს სასახლეს—
ჭავჭავაძე, „ზელმწიფევ ჩვენო“ გრ. ორბელიანის „საღლევრძელოდან“
და სხვა.), აგრეთვე ელეგიას და იდილია — პასტორალს
(დავით გურამიშვილი). ბ) ყველაზე მეტად სამეფისკარო არისტო-
კრატიული კლასიციზმი თავს იჩენს ახლად ჩასახულ დრამატურლიაში,
მისი კლასიკური თემებით და „სამეულის მთლიანობით“ (იფილენია
ჩასინისა, ალათოკლე ვოლტერისა და ნათარგმნი პიესები ალ. ჭავ-
ჭავაძისა). გ) პოეზიის თეორიის რეგლამენტაცია, წარმოდგენილი
მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში“ (დ) ზრუნვა ენის პურიზმისათვის და
თეორია „შტილის“ შესახებ, ოომელიც მუშავდებოდა ანტონ პირვე-
ლის სამეცნიერო-ლიტერატურულ შეკოლაში და ოომელსაც ესარჩელე-
ბოდენ ამ პერიოდის გასულს ე. წ. „მამები.“ მესამე, — რუსეთის შე-
მოსვლით გამოწვეულმა იმედების გაცრუებამ და პოლიტიკური ძალა-
უფლების დაკარგვამ, ხოლო სავაჭრო კაპიტალის შემოჭრით სოცი-
ალური ბატონობის ბაზის შერყევამ და მამა — პაპეული ბუნაგებიდან
თანდაგობით გამოძევებამ მზრდის მას სულის სიმშვიდე დაუ-

კარგა და ფეოდალურ ლიტერატურაში დაბადა ახალი მიმართულება, რომელსაც რომანტიზმი მი ეწოდება (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი). უნდა შევნიშნოთ, რომ რომანტიზმის ელემენტებს ჩვენ გარკვევით ვამჩნევთ ქართულს მწერლობაში, თუ უფრო აღრე არა, მე - 18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც, განსაკუთრებით კართულ ემიგრაციაში. დაკარგვა სამშობლოსი, ნაცნობ - მეგობრებისა და ნათესავებს დაშორება, დაკარგვა პოლიტიკური ძალა - უფლებისა (რუსეთში უფრო აღრე, ვიდრე საქართველოში) და სოციალური მდგომარეობის შერყევა, არ ის ნიაღავი, რომელზედაც აღმოცენდა ქართული ფეოდალური კლასის რომანტიზმის ელემენტები. დასასრულ, რომანტიზმთან დაკავშირებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მე - 18 საუკუნის გასულს ჩვენს მწერლობაში ჩნდება, დავით ბატონიშვილის „ახალი შიხის“ მეოხებით, სან ტიმენტ ტალიზმის ნიმუშიც, რომელმაც უფრო იელვა მერე გრიგოლ ორბელიანის „ტფილისიდან პეტერბურლამდე მოგზაურობაში.“

4. ახალ სტილთან ერთად ლიტერატურაში ჩნდება ახალი ფანტაზია; ასეთებია: ა) საისტორიო ეპოსი; მე-17 საუკუნიდან მთელი რიგი პოეტებისა მიმართავს მშობლიურ სიუჟეტებს და დამღრის სამშობლოს წარსულიდან ამათუიმ ეპოქას, ამბებს და პირებს; ფეოდალური კლასის პოზიციაზე მდგომი, ის მისტირის ფეოდალური საქართველოს წარსულ დიდებას. ამ მწერალთა პოეზია გამსჭვალულია ეროვნულ - ნაციონალური ტენდენციითა და სულით, ისინი ცრემლებსა ღვრიან სამშობლოს. სავალალო მდგომარეობის გამო და წყევლა - კრულვას უთვლიან იმ პირობებს, რომელთაც ასეთი მდგომარეობა შექნეს. ამ ნიაღავზე წარმოიშვა საისტორიო ეპოსი, რომელიც საკმაოდ მდიდრადაა წარმოდგენილი. ბ) იგავ-არაკული ფაბლი; ამ პერიოდის სოციალურმა სიღუხვირემ და პოლიტიკურმა რეჟიმმა საუკეთესო ნიაღავი შექნა ე. წ. „ეზოპეს ენის“ წარმოშობისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, იგავ - არაკებში პოლობებს გამოყენებას. იგავ - არაკებში გამოყვანილი ცხოველები, განსაკუთრებით მელია, არის ამავე დროს პროგნოზი ფეოდალური კლასის რლვევისა და ბურეუაზიული ეპოქის მოახლოვებისა, როდესაც ცხოვრებაში გამეფდება ხერხი და საზრიანობა. გ) სატირა; ცხოვრების ზოგიერთ მესვეურთა სივერაგემ, სამღვდელოების ანგარებამ და ყოფა - ცხოვრების ამათუიმ მოვლენების დროისათვის შეუფერებლობამ ხელი შეუწყო სატირის განვითარებას, განსაკუთრებით მე - 18 საუკუნის მეორე ნახევარში. დ) მოგზაურობა - მემუარები; როგორც ვთქვით, ამ პერიოდში გაფართოვდა ქართველთა საერთა-

შორისო ურთიერთობა, რაც, სხვადასხვა მიზნით, შორეულ ქვეყნებში იწვევდა მათს წარმომადგენლებს; ნახულის, გაგონილის აღწერა საინტერესო მასალას აძლევდა თანამედროვე მკითხველებს, რომელიც ასე მოწყურებული იყვნენ უცხო ქვეყნებისა-და იქაური ზნე - ჩვეულების გაცნობას. ე) ქება, — ეხლა ჩვეულებაში შემოდის ისეთი თხზულებების წერა, რომელიც წარმოადგენ „ ქებას “ ან „ შესხმას “ ამათუმ საგნისას; შეიძლება, ეს გამოძახილი იყოს ხოტბითი პოეზიის განვითარებისა საზოგადოდ, რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი. განსაკუთრებით გავრცელებულია ანბანთ-ქება, ხილთა-ქება და სასახლის ქება. ვ) გაბაასება და მორალიტე, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილია ალეგორიული ფიგურები, მაგალითად — სიცოცხლე, სიკვდილი, წუთი - სოფელი, გაჭივრება - სილარიბე, ადამიანი ხომ თავისთვალ. ეს გამოწვეულია ეპოქაში გაბატონებული დიდაქტურ-მორალური ტენდენციით, რომელსაც მიზნად ჰქონდა ცხოვრების გარდაქმნა ამთუმ მიმართულებით. ზ) მაჯამა, ესე იგი „ ლექსი აქა იქ თქმულები, “ რომელთა ქრებული „ შეყრილად ითარგმანების; “ ეს არის კრებული აღტაცებული, თავისებური ლექსით დაწერილი ხოტბებისა, რომელთა საგანია სიყვარული, სილამაზე და ლვინო (თემურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI და სხვა,). პ) მანემდის გაბატონებული ეპოსის გვერდით საპატიო ადგილს იკავებს უშუალო, მწვავე განცდების გამომხატველი მსუბუქი ლირიკა, რომელიც-მე - 18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, შეიძლება ითქვას, პირველ ადგილს იჭერს მწერლობაში.

5. ცხოვრების ახალი ნაკადი და მიმართულება ხელს უწყობს, ერთის მხრით, პროზაული სტილის დემოკრატიზაციის, მეორე მხრით — ახალ მიხ წევებს ლექსთაწყობის დარგში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული ლიტერატურული ენა, სქოლასტურ-მწიგნობრულ ნორმებზე აგებული, რომელიც ასე შეეფერებოდა მაღალი ფეოდალური კლასის გემოვნებას, სულხან-საბა ორბელიანის პროზაში („ სიბრძნე სიცრუისა ”) შესამჩნევ ცვლილებას განიცდის მისი გამარტივების, თუ შეიძლება ითქვას — გახალხურების გზით; ამით ტრადიცია დაირღვა, მწერლობაში თავი იჩინა ნაპრალმა, რომელიც თანდათან ლრმავდება და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სულერთიან ნოქავს ძველ ნორმებს. რაც შეეხება ლექსთაწყობას, ის გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ განვითარებისა და გამარტივების გზით. მამუკა ბარათშვილმა პირველმა დაამსხვრია ტრადიციული ფორმები ქართული ვერსიფიკაციისა, რომელიც რუსთველური შაირით და ჩახრუხაული ლექსით იყო შებოჭილი; მან

მოგვცა ის მრავალფეროვანი საზომი ლექსთაწყობისა, რომელიც მერმე ასე გამოიყენა შემდეგმა თაობამ, მან პირველმა შემოიტანა ლიტერატურაში ხალხური სიმღერების კილო და პირველმა გამოიყენა ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად. შემდეგი ნაბიჯი, მის მიერ გატკებნილ ბილიკზე, გადადგა დავით გურამიშვილმა, მას მიჰყება ბესიკი და საიათნოვა, რომლის მუხამბაზები გამოხმაურებას ჰპოულობს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეზიაში. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტები ამ მხრივ გამგრძელებელნი არიან მე-18 საუკუნის პროსოდიული მუშაობისა.

6. პესიმიზმი, ფიდეიზმი, დიდაქტიზმი და ეროტიზმი მწერლობისა. მიმდინარე პერიოდის ცხოვრებაში ახალი სოციალური ელემენტებისა და ნაკადის ჩასახვა, რომელიც წყალს უყენებდა ფეოდალური კლასის მდგომარეობას და თანდათანობით უღრღნიდა მას ფესვებს, შეუმჩნეველი ლიტერატურაში, რასაკვირველია, არ რჩებოდა. ყველაზე აღრე ეს პროცესი, თუ გნებავთ, ვახტანგ მეფემ ასახა, როდესაც „ქილილა და დამანაში“ ხაზგასმით ამბობდა:

უგვაროს მისცა სოფელმან სიდიდე, მეფეთ დარობით,
პირი უჩვენა ბედმა და დასვა ყოვლთ ზემოთ ხარობით;
გვარიანსა და მეცნიერს პური აჭამა ზარობით,
არ შეაცილა კარსა და დარჩენ სულ გარის-გარობით.

(„მეფის ლექსი „ქილილა-დამანაში“)

ეს პროცესი, ქვეყნის საერთო პოლიტიკურ აფორიაქებასთან ერთად, რომელსაც თანერთვოდა ამათუმ მწერლის პირადი ცხოვრების უკულმართობა, ფეოდალურ ლიტერატურაში იწვევდა პირველს რიგში მწვავე პესიმიზმს, შემდეგ კი ფიდეიზმს, დიდაქტიზმს და ეროტიზმს. იშვიათია ისეთი პოეტი, რომელიც უარყოფით არ უყურებდეს ცხოვრებას და არ ჰქოლავდეს მას, რომელიც სარწმუნოებასა და მისტიურ სამყაროში არ ეძებდეს გამოსავალს ანადა აღვირახსნილი ეროტიკა-ჰედონიკის მორევში არ სცდილობდეს მწვავე სევდის ჩახრჩობას. დამოძღვრა-დარიგება და მორალი, ფორმალისტური დიდაქტიკა, რომლის მიზანია სახელმძღვანელო დებულების მიცემა ცხოვრების ლიანდაგიდან გადავარდნილი ადამიანისათვის, ხომ საგანგებო დიდაქტურ-მორალურ დარგსა ჰქმნის ამ პერიოდის მწერლობაში! მეორე მხრით ეს დიდაქტიზმი თავისთავად სიმპტომია სავაჭრო ელემენტების ჩასახვა-გაძლიერებისა.

პესიმიზმს, ფიდეიზმს და დიდაქტიზმს შეგნებულად და ხელოვნურად აღვივებდა და აძლიერებდა მწერლობაში ის სასტიკი ფეო-

დალურ-კლერიკალური რეაქცია, რომელსაც სათავეში მოექცა უალ-რესად ნიჭიერის და თანამედროვე განათლების მწვერვალზე მდგომის ანტონ კათოლიკოზის შეკოლება. შედეგები ამ რეაქციისა, რომელშიაც გვესმის კვნესა ამოწურული, წყალშემდგარი ფეოდალურ-კლერიკალური კლასის სულისა და მოწოდება თავისი ჰეგემონური პოზიციების შენარჩუნება-განმტკიცებასაკენ, იყო, ერთის მხრით, აღიარება თეორიულად სასულიერო მწერლობის პრიმატობისა, რომელიც შევეთრად მოცემულია მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში“, შეორე მხრით კი—შემოჭრა ლიტერატურაში სიმბოლიზმისა და ალეგორიზმისა, რომელიც ჩელიგიურსა და პატრიოტულს ეროტიკაში ეძებს განსახიერებას (არჩილი, დავით გურამიშვილი, ვახტამგ VI). მაგრამ ეს რეაქცია უძლური შეიქნა, მან ვერ შესძლო დატრიალებული ბორბლის შეჩერება: ფეოდალურ-კლერიკალური კლასი ისტორიას ჩაბარდა სამუდამოდ და მისი ლიტერატურა დღეს ისტორიული კვლევა-ძიების საგანსაღა წარმოადგენს.

შე გავათავე ჩემი სქემატური მიმოხილვა, რომელიც, იგულის-
ხმება, მეტს კონკრეტიზაციას და დეტალიზაციას თხოვულობს; ეხლა
მინდა დასკვნების სახით ნათქვამს რეზიუმე გაუკეთო და შემდეგი
დებულებანი წამოვაყენო:

1. მარქსისტულ-სოციოლოგიური მეთოდით განხილული, ქართული ლიტერატურის ისტორია სამს პერიოდს იძლევა: ფეოდალურის, ბურჯუაზიულს და პროლეტარულს. აქედან ყველაზე გრძელი ისტორია ფეოდალურ ლიტერატურას აქვს. ფეოდალური ლიტერატურა ის ლიტერატურაა, რომელსაც ჩვეულებრივ „ძველს მწერლობას“ ვაძახით.

2. ამ ლიტერატურას ვუწოდებთ ფერ და ლურს იმიტომ, რომ ის იშლება იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩარჩოებში, რომელიც ფერდალიზმის სახელითაა ცნობილი. ფერდალური განვითარების პერიოდები განისაზღვრება თვით ფერდალიზმის სტადიალურ-ეტაპური განვითარებით. ფერდალიზმა კი ჩვენში, სანამ ის დეკადანსის გზაზე შედგებოდა, სამი სტადია განვლო: პარიკული, პატრონ-ყმური და ბატონ-ყმური. მე ამათ ვუწოდებ სტადიას, ეტაპს და არა ახალ ფორმაციას (არის გამოთქმული ისეთი მოსაზრება, თითქოს ბატონ-ყმობა ახალი ფორმაცია იყოს), რადგანაც ექსპლოატაციის ფორმა, რომელსაც მარქსი „მთელი საზოგადოებრივი წყობილობის იღუმალ საფუძვლად“ სთვლის, სამსავე სტადია-

ში ერთიდაიგივე იყო, მხოლოდ პირველს სტადიაში ეს ექსპლოატაცია ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე მეორეში, მეორეში უფრო ნაკლებად, ვიდრე მესამეში; ექსპლოატაციაში პირადი თავისუფლება მესამე სტადიაში უფრო მეტადაა შეზღუდული, ვიდრე მეორეში, მეორეში უფრო მეტად, ვიდრე პირველში.

3. პირველი პერიოდი ფეოდალური მწერლობისა, როდესაც ის საკუთრივ „ქართლის“ (აღმოსავლეთსაქართველო) ტერიტორიაზე იშლება, ემთხვევა „ადრინდელი ფეოდალიზმის“ ხანას, რომლის დამახასიათებელია ჩვენში ე. წ. პარიკული ურთიერთობანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ეს პერიოდი გრძელდება მწერლობის დაწყებიდან მეცხრე საუკუნის გასვლამდე, როდესაც ქართლში აღდგენილ იქნა მეფობის ინსტიტუტი. სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობა ქართლისა ჰეგემონიას ანიჭებს ეკლესიასა და სასულიერო იდეოლოგიას, რომელიც გამოხატულებას ჰქოულობს სასულიერო სტილის მწერლობაში. სასულიერო-ფეოდალური მწერლობა, საკუთარი ტრადიციების უქონლობის გამო, მიმართავს მონათესავე სოციალური წრეების მწერლობას უცხოეთში, აქედან ლიტერატურაში გაბატონებულია მთარგმნელობა, ტერძოდ ორიგინალურ შემოქმედებაში—მიმბდოდველობა. იდეოლოგიურ სფეროში იბრძვის ორი მიმართულება: სირო-პალესტინური და ელინოფილური; ეს ბრძოლა სოციალური წარმოშობისაა: სიროპალესტინური მიმართულების მატარებელია დაბალი საფეხურები ფეოდალური ხაზოგადოებრივობისა. ელინოფილურის—მაღალი, მბრძანებელი, ოფიციალური საფეხურები. მწერლობაში ორი ჟანრი გვაქვს: ეპოსი, წარმოდგენილი ჰაგიოგრაფიითა და აპოკრიფებით, და ლირიკა, წარმოდგენილი ჰიმნოგრაფიით. „მდგომარეობა“ ეპოქისა, აუტანელი, მწვავე პირობები ცხოვრებისა მწერლობას გარკვეულ კოლორიტს ასვამს: ჰაგიოგრაფიაში გაბატონებულია მარტინოლოგია, ჰიმნოგრაფიაში—პენიტენცია.

4. მეორე პერიოდი ფეოდალური ქართული მწერლობისა, რომელიც იშლება გაურთიანებული საქართველოს ტერიტორიაზე, ემთხვევა „პატრონ-ყმური“ ფეოდალიზმის ხანას და გრძელდება. მეათე საუკუნის დამდევიდან მეცამეტის სამოციან წლებამდე. ეს ორის ხანა აღდგენილი მეფობის გარშემო საქართველოს გაერთიანებისა, განმტკიცებისა და მისი ძლიერ ფეოდალურ მონარქიად ქცევისა, რომლის დროს სხვადასხვა სოციალური ჯგუფები სხვადასხვა როლს თამაშობდა; გადამწყვეტი მნიშვნელობა კი ვაჭრობისა და სავაჭრო კაპატალის განვითარებას ჰქონდა. ფეოდალური მონარქია აშენებულია

პატრონ-ყმურ პრინციპზე; ეს პრინციპი დამახასიათებელია როგორც
სოციალური, ისე პოლიტიკური ცხოვრებისა, ის გაბატონებულია
ეკლესიაშიც კი, რომელიც ამ პერიოდში თავისი ძლიერების უმაღლ-
ლეს საფეხურზე ავიდა. საწარმოო ძალთა განვითარებამ, სახალხო
მეურნეობის დაწინაურებამ, სოციალური ურთიერთობის გართულე-
ბა-გამძაფრებამ და პოლიტიკური ცხოვრების უმაგალითო სიმაღლეზე
ასვლამ გამოიწვია არაჩვეულებრივი აყვავება კულტურულ-ლიტერა-
ტურული ცხოვრებისა და შექმნა „კლასიკური“ ხანა ქართული მწერ-
ლობისა. კლასიკური ხანა იწყება მეათე საუკუნის დამდეგიდან და
გრძელდება მეცამეტის სამოციან წლებამდე. მწერლობა მიზნად ისა-
ხავს საერო და სასულიერო ფეოდალური ფრთების, რომელთაც
იდეოლოგიური ჰეგემონია ეკუთვნის, კლასიური ბატონობის კონსერ-
ვაციას. სოციალური დიფერენციაცია თავს იჩენს იდეოლოგიურ დი-
ფერენციაციაში: იდეოლოგია სასულიერო—ზეციური, და საერო—
ამქვეყნიური, აქედან ორი სტილი მწერლობისა: სასულიერო და
საერო. საერო ლიტერატურა დიალექტიური განვითარებაა სასულიერო
მწერლობისა. ეს განვითარება, რომელიც გამოწვეული იყო ქრი-
სტიანობის დიალექტიური ბუნებით და მასში ნეოპლატონიზმისა და
სუფიზმის ელემენტების შექრით, შესაძლებელი გახდა კულტურულად
და ეკონომიურად წელმომაგრებულს და პოლიტიკურად სუვერენულს
აბსოლუტიურ ფეოდალურ-რაინდულ სახელმწიფოში სოციალ-კლა-
სიურ წინააღმდეგობათა ნიაღაგზე. სასულიერო და საერო მწერლო-
ბათა დიალექტური ურთიერთობის მაჩვენებელია საერო ეპოსსა და
ლირიკაში სასულიერო ეპოსისა და ლირიკის დამახასიათებელი კომ-
პოზიციური ხერხების გადასვლა, რაც შესაძლებელი იყო სოციალ-
ფიქოლოგიური ნათესაობის ნიაღაგზე, რომელიც აახლოვებდა ფეო-
დალური კლასის ორ ფრთას—სასულიეროსა და საეროს. ფაქტო-
რი საერო ლიტერატურის წარმოშობისა არის სპარსული ლიტერა-
ტურული გავლენა, რომელიც კლასიური ფსიქო-იდეოლოგიის ნათე-
საობის ნიაღაგზე ხდება. საერო და სასულიერო სტილს შორის, მათ
მატარებელ სოციალურ დაჯგუფებათა შორის არსებული ანტაგონიზ-
მის გამო, წარმოებს მწვავე ბრძოლა, რომელმაც მევეთრი გამოხა-
ტულება ლეონტი მროველის თეორიაში პოვა. საერო მწერლობის
ფესვები მეათე საუკუნეში ჩნდება, ვითარდება ის აბსოლუტური მო-
ნარქის სასახლეში, რომელიც სამეფისკარო მწერლობის ხასიათს აძ-
ლევს მას. ეპოქის ცხოველმყოფელი, ოპტიმისტური სტილი გავლენას
ახდენს მწერლობის უანრულ ფორმაციაზე: სასულიერო ეპოსში ბა-

ტონობს ე. წ. „პოლიტეიია“, საეროში—სატრფიალო-რაინდული მოტივები; ლირიკაში, როგორც სასულიეროს, ისე საეროში—აღტყინებული ოდა, რომელიც ასე შეშვენის ეპოქის საერო და სასულიერო აბსოლუტისტურ სულისკვეთებას.

5. მესამე პერიოდი ფეოდალური ქართული მწერლობისა, რომელიც ბატონ-ყმურ ურთიერთობათა დასაწყისს ხანას ემთხვევა, გრძელდება მე-13 საუკუნის სამოციანი წლებიდან, როდესაც იწყება პროცესი ფეოდალური მონარქიის რღვევისა, მე-16 საუკუნის დამლევადე, როდესაც სრულდება პროცესი აღნიშნული რღვევისა. მარცხი ფეოდალური მონარქიისა, რომელიც მას მოუვიდა მონარქიის რღვევა მონარქიის მონარქიის რღვევა მონარქიის მომდევნო საუკუნეებში გამოწვეულია ეკონომიური ცხოვრების უმაგალითო დეგრესით, განსაკუთრებით კი ვაჭრობის განადგურებით. სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების რღვევას მოჰყვა კულტურისა და ლიტერატურის არაჩეულებრივი დაცემა-დაკნინება. სასულიერო მწერლობა სულერთიან დაიშრიტა, ნაჩვენები ზოგადი მიზეზის გარდა, მისი მასაზრდოებელი ბიზანტიის განადგურების გამო. დაკნინდა და დაეცა აბსოლუტური მონარქიის სასახლესთან ერთად მასში თავშეფარებული საერო მწერლობაც, რომელიც ეხლა სპარსული ფანტასტიკის ულაზათო გადამლერებით იკვებება, ისიც მხოლოდ მე-15 საუკუნის გასულიდგან, სპარსეთში ე. წ. ჰერატის ლიტერატურული შეკლის ჩასახვის შემდეგ.

6. მეოთხე პერიოდი ფეოდალური ქართული მწერლობისა, რომელიც ფეოდალიზმის დეკადანს ემთხვევა, გრძელდება მე-17 საუკუნის დამდეგიდან მე-19 ს. ნახევრამდე. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერლობა უნდა ამ პერიოდში იქნეს განხილული, ვინაიდან მისი სოციალ-ეკონომიური ბაზა იგივეა, რაც წინასაუკუნის მწერლობისა, რომლის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს ის. ფეოდალური სტრუქტურის რღვევას იწვევს იმდენად არა გარეშე ძალების პერმანენტული თარეში, რავდენადაც ფეოდალური საზოგადოებრივობის წიაღში ისეთი მოვლენის გაჩენა, რომელიც ბურუუაზიული რენესანსის განთავის მომასწავებელია; ეს არის ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის ელემენტების ჩასახვა, რომელიც ვაჭრობის ზრდა-განვითარებისა და სავაჭრო კაპიტალის გაძლიერების ნიადაგზე შეიქნაშესაძლებელი. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებას ორნაირი შედეგი ჰქონდა: ა) მან საქართველოში გააღვიძა ცენტრალისტურ-აბსოლუტისტური, გაერთიანებისაკენ მიმართული სულისკვეთება,

ბ) გააფართოვა და გაშალა რეალი ქართველთა საერთაშორისო ურთიერთობისა, რამაც ხელი შეუწყო წინაპერიოდში მიფერფლილი და მიძინებული კულტურული ტრადიციების გაცხოველებას და ამასთან დაკავშირებით მწერლობის გამოღიძებასაც. ახლად ჩასახული ბურუუაზიული ელემენტები, მართალია, ფეოდალიზმის მომხსნელ ძალად ჯერ ვერ გამხდარან, მაგრამ იმდენად უღრღნიან მას ძირს და არყევენ, რომ აუცილებელს ხდიან მის წაქცევას. წყალ-შემდგარი და შერყეული „მდგომარეობა“ ფეოდალრი კლასისა მის ლიტერატურაში თავს იჩენს დიდაქტიზმის, პესიმიზმის, ეროტიზმის და ფიდეიზმის სახით, რასაც ხელოვნურად აღვივებს მძაფრი კლერიკალური რეაქცია მე-18 საუკუნისა. ეს კლასი გაორკეცებული ენერგიით იბრძვის ახალი სოციალური ელემენტების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მკვეთრი იარაღად მხატვრულ სიტყვასაც იყენებს. ამ გარემოებამ კი გამოიწვია ის ახალი მოვლენანი, რომელთაც ჩვენ ვხედავთ მეოთხე პერიოდის მწერლობაში, სახელდობრ: ეროვნული მოტივისა და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერება, თემატიკის გაფართოება, ახალი ლიტერატურული სტილები, ახალი ჟანრები, პროზაული სტილის დემოკრატიზაცია და ახალი მიღწევები ლექსთაწყობის დარგში.

7. ზოგადად, ჩვენს ძველს მწერლობაში იმავე ლიტერატურულ სტილებსა და ჟანრებთანა გვაქვს საქმე, რომლთაც აღგილი აქვთ სპარსულსა და ბიზანტიურ-ევროპიულ ლიტერატურაში. ეს აისნება სოციალ-ფსიქოლოგიური ანალოგიებით, ქართულს სინამდვილეში იმავე კლასიური ჯგუფებისა და ნათესაური ფსიქო-იდეიური განშუყობილების არსებობით, რომელთაც შემოქმედებითი როლი უთამაშნიათ უცხოეთში. რადგანაც ფეოდალიზმი, იქნება ის აზიური, ევროპიული თუ ქართული, არსებითად, თავისი ბუნებით, ნაციონალური ნიუანსების გარეშე, ყველგან ერთია, გასაგები ხდება, რომ ფეოდალური ქართული მწერლობა ერთნაირად იკვებება როგორც ბიზანტიურ-ევროპიული, ისე სპარსული ლიტერატურული წყაროებიდან.

8. ეს სტილები და ჟანრები ჩვენში შედარებით მეტს ერთფეროვნებას და, თუ შეიძლება ითქვას, კონსერვატიულობას იჩენენ. აისნება ეს საქართველოს წარსულში ერთისადაიმავე ისტორიული პროცესების განმეორებით. საქართველოს ისტორიის ცვალებადობასა და რევენდობას იწვევდა ბრძოლა ნატურალური მეურნეობის ფორმებსა და სავაჭრო კაპიტალის ელემენტებს შორის. მართლაც, ჩვენი მწერლობის პირველს პერიოდში ჩვენი ქვეყანა გარეშე ძალების (სპარსეთი, არაბეთი, ბიზანტია) მეოხებით დაჭასასულია და დაყოფილი

პატარ-პატარა ფეოდალურ ერთეულებად. მეორე პერიოდში, განსაკუთრებით სავაჭრო კაპიტალის ზეგავლენით, ამ ერთეულებიდან იქმნება აბსოლუტური ფეოდალური მონარქია, რომელშიაც, გარეშე მტრებს რომ დაეცლიათ, მე-14 საუკუნისათვის მაინც მოსალოდნელი იყო. იტალიური რენესანსისა და პეტრარკა-ბოკაჩიოს გამოხმაურება. ეს მონარქია დაირღვა გარეშე ძალთა (მონლოლები, სპარსელები, ოსმალები) მეოხებით, ასე რომ მესამე-მეოთხე პერიოდში მეორდება ნაცნობი სურათი: ქვეყანა დაქსაქსულია ისეთსავე ფეოდალურ ერთეულებად, როგორც პირველს პერიოდში. გარკვეული ხანიდან, მე-17 საუკუნიდან, სავაჭრო კაპიტალის ზეგავლენით, ამ ერთეულებში კვლავ იწყება გამაერთიანებელი ტენდენციების ზრდა და ლტოლვა აბსოლუტიზმისაკენ, რომელიც საბოლოოდ ხორციელდება მე-19 საუკუნის დამდეგს უცხო, რუსული კაპიტალის შემოჭრით და საქართველოს რუსეთის მონარქიის შემადგენლობაში მოქცევით.

9. უცხო ლიტერატურაში ცნობილი მიმღინარეობანი ქართულ მწერლობაში შედიან არა იმწამსვე, არამედ საკმაო დაგვიანებით; ამის მიზეზია ისტორიული პროცესის დავვიანებული მსვლელობა საქართველოში, უკანასკნელის ეკონომიკურად ჩამორჩენილობა და აქედან— ინერტობა მისი პოლიტიკურ-კულტურული ზედნაშენებისა.

10. დგალექტიკა მწერლობის განვითარებისა, რომელიც დამოკიდებულია ბაზისა და ზედნაშენის ურთიერთობაზე, გამოიხატება ლიტერატურული ჰეგემონების ცვლაში, ძველი სტილისა და უანრის დაცემასა და მისთვის ახალის დაპირისპირებაში. ზოგადად ეს პროცესი შემდეგს სურათს იძლევა: ეკლესიას ებრძვის და სცვლის სასახლე, სასახლეს უკანასკნელ პერიოდში ებრძვის ახალი ბურჟუაზიული ელემენტების ჩანასახი, რომელიც, თუმცა ამ პერიოდში ვერ სცვლის მას საბოლოო, ყოველ შემთხვევაში საგრძნობლად არყევს; სასულიერო-ფეოდალური მწერლობა დიალექტიურად გადადის საერო-ფეოდალურში, უკანასკნელის წიაღში თავს იჩენს ელემენტები „მესამე კლასის“ მწერლობისა. საერთოდ კი მთელი სატორიულ-ლიტერატურული პროცესი ჩვენში წარმოადგენს ორი იდეოლოგიისა და კულტურული ნაკადის, აღმოსავლურისა და დასავლურის, ბრძოლას,

25